საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№24 (448)
4 - 10 ივლისი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ავტომობილების სავალდებულო ტესტირების პირობები და ტესტირების ცენტრების მისამართები

24

ბახტაძემ, ისევე, როგორც თავის დროზე ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნებისას, ისეთი სტარტი აიღო, რომ შეიძლება ხელი შეუწყოს გადაჭარბებული მოლოდინების გაჩენას. როგორც მის წინამორბედებს, ეს საშუალოვადიან პერსპექტივაში მასაც თითქმის გარანტირებულად მზარდი უკმაყოფილების ფასად დაუჯდება. თუმცა ოცნება იმაზე, რომ ოდესმე გვეყოლება მთავრობა, რომელიც გადაჭარბებულ მოლოდინებს შექმნის და შემდეგ დაპირებებს შეასრულებს, ალბათ, მაინც ნაადრევია

3

# ივანიშვილის ახალმა მთავრობამ მუშაობა ძველი ტყუილით დაიწყო

4

## ცინიზმი დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის განუყოფელი ნაწილია



## «მცირე მთავრობის» დიდი აფერა

9

## «უცხოეთის ჯაშუში არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებში ლგბტ-თა უფლებების დაცვასა და საქართველოს ეკლესიის მიერ სხვა რელიგიების მიმდევართა ჩაგვრის ჩასმას ითხოვენ»

10



## ევროკავშირის რეკომენდაციები ქართველებისთვის

8

## დაწინაურებული ევროპიდან რუსეთმა საკუთარ ნიადაგზე გადმონერგა სწავლა-მეცნიერება და დღესაც იქიდან ეზიდება «წყალსა და ჯავარს განათლებისას»

18

## რას უნდა ელოდოს საქართველო ნატოს სამიტისა და ტრამპი-პუტინის შეხვედრისგან

6



„მსოფლიო ახალი წესრიგის შექმნის პროცესშია. საქართველომ ამას ალღო უნდა აუღოს; რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს, გვინდა — არ გვინდა, ის ჩვენი მეზობელია. რაც შეეხება დასავლეთს, მას საკუთარი პრობლემები აქვს, საკუთარი ხედვები პოლიტიკაში. სიტყვით კი გვიჭერენ მხარს, მაგრამ სინამდვილეში არის კი საქართველოს კეთილდღეობა მათი ზრუნვის საგანი?“

## «ქართული ოცნება» არ ყოფილა ქართველთა ოცნება

5



ქოც-ნაცებო, ის ორპარტიული რეზოლუცია მიიწებეთ გავაზე და გქონდეთ იქ მანამდე, სანამ მაგ რეზოლუციით შეშინებული რუსეთი სოხუმსა და ცხინვალს არ დაგვიბრუნებს...

კვირის ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველოს მოსახლეობის 15-20%-ს საბჭოთა კავშირი ენატრება

**ცენტრ „ემპათიისა“ და „ღია უნივერსიტეტის“ Statecraft-ის მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 15-20% -ს კვლავ საბჭოთა კავშირის ნოსტალგია აქვს.** კვლევა ჩატარდა კონტიგენტში, რომელიც მოიცავს 2008 წლის ომით დაზარალებულ, ასევე აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას. „მოსახლეობის 15-20% კვლავ ელოდება რუსეთის ფედერაციისგან დახმარებას. ფიქრობენ, რომ ეს არის ერთადერთი გზა საქართველოსთვის“, — განაცხადა ცენტრ „ემპათიის“ დირექტორმა, საერთაშორისო ექსპერტმა **მარიამ ჯიშკარიანმა.**





## საპატრიარქოს სპეციალური განცხადება

**„როგორც ჩვენთვის მასმედიის საშუალებით ახლახან შეიქნა ცნობილი, 6 ივლისს თბილისში, სპორტის სასახლეში, იგეგმება „ქართველი ხალხის ეროვნული ყრილობა“, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის და ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნას.**

ეს არის პოლიტიკური განაცხადი, რისი უფლებაც საზოგადოებას აქვს, მაგრამ შევნიშნავთ, რომ ვრცელდება არასწორი ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ყრილობა იმართება **მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი)** კურთხევით, რასაც მეუფე უარყოფს. ასევე გაკეთდა განცხადება ამ ღონისძიების მიმართ კათოლიკოს-პატრიარქის ინფორმირებულობაზე, რაც რეალობას საერთოდ არ შეესაბამება. შეკრების მიზნებსა და გეგმებზე როგორც საზოგადოებისთვის, ისე ჩვენთვის 2 ივლისს შეიქნა ცნობილი და, ბუნებრივია, მას ვემიჯნებით. კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოს საპატრიარქო პოლიტიკური ხასიათის ამგვარ ღონისძიებებთან დაკავშირებული ვერ იქნება. ეს არის საერო პირთა საქმე და მათი გადასაწყვეტი, მიიღონ მასში მონაწილეობა თუ არა“, — ნათქვამია განცხადებაში.



## საქართველოს პატრიარქმა აბიტურიენტები დალოცა

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აბიტურიენტები სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ლოცვის დასრულების შემდეგ დალოცა და მათ მისაღებ გამოცდებზე წარმატებები უსურვა.**

„ჩვენ ვლოცავთ აბიტურიენტებს, რომლებიც გამოცდებს აბარებენ. ღმერთმა დაგლოცოთ. კარგი ნიშნები დაგეწეროთ“, — თქვა პატრიარქმა.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2 ივლისს დაიწყო და 26 ივლისს დასრულდება. წელს ეროვნულ გამოცდებზე 39 000-მდე აბიტურიენტია რეგისტრირებული.

## 1 ივლისიდან 13 200 სამართალდამცველს ხელფასი 250 ლარით მოემატა




**პოლიციელებს 1 ივლისიდან ხელფასი 250 ლარით მოემატათ. 13 200 პოლიციელის ხელფასის მატებაზე 19 ივნისს პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.**

„ჩვენ კარგად გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული პოლიციელის სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური გარანტიების კომპონენტი. პოლიციელისთვის, რომელიც ზრუნავს სხვა მოქალაქის უსაფრთხოებაზე, დღევანდელი ხელფასის 250 ლარით მომატება არ არის იდეალური, თუმცა ეს არის ის, რაც დღეს შევძელით“, — განაცხადა გიორგი გახარიამ. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სოციალური გარანტიების ძირითადი კომპონენტი მხოლოდ ხელფასი არ არის.

## ქიმიური შეტევა ბათუმზე

**ახლახან ბათუმში, პორტის ტერიტორიაზე აღმოცენდა ქიმიურად აქტიური და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უაღრესად საშიში, აზოტის კარბამიდისა და დაუმუშავებელი გოგირდის მთები. ამ ნივთიერებების გადატვირთვისა და დასაწყობების პროცესი ყოველდღიურად ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს.**



მოცემული მასის გადამუშავებისას წარმოიქმნება საკმაო რაოდენობის მტვერი, რომელიც მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმსა და ეკოსისტემაზე. მეცნიერთა მტკიცებით, აღნიშნული მტვერი არის კანცეროგენული, ანუ სხვადასხვა სიმსივნის გამომწვევი. მისი ჩასუნთქვა იწვევს ბრონქების ქრონიკულ ანთებას, ცვლის ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციას და ა.შ. გადაჭარბებული რაოდენობით ნიტრატების გაბნევა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ახლომდებარე ფლორასა და ფაუნას, გრუნტის წყლებსა და სხვ.

ამიტომ გადატვითვისა და დასაწყობების ზონები საკმაო მანძილით უნდა იქნას დაშორებული საცხოვრებელ უბნებს, ხოლო მუშები აუცილებლად უნდა აღიჭურვონ შესაბამისი თავდაცვის საშუალებებით.

**გოჩა გოგუაძე,**
**ეკოლოგი**

## რა ღირდა ბენზინი სსრკ-ში და რა ღირს ახლა

**ახლა, როდესაც ბენზინის ფასი კატასტროფულად მაღალია, გავიხსენოთ საბჭოთა კავშირი: სსრკ-ში 1969 წლის 1 იანვრიდან 10 ლიტრი А-76-ის მარკის ბენზინი 75 კაპიკი, ხოლო АИ-93-ის მარკისა 95 კაპიკი ღირდა. შესაბამისად, 1 ლიტრი ბენზინის ღირებულება 7,5 და 9,5 კაპიკი ყოფილა.**

არსებობდა სხვა მარკის საწვავიც, მაგრამ განვიხილოთ **А-76** და **АИ-93**, როგორც ყველაზე გავრცელებული საწვავი, მითუმეტეს მაშინდელი АИ-93 და ახლანდელი АИ-92 თითქმის ერთი და იგივეა, ამიტომ შესაძლებელია მათი ფასების პირდაპირი შედარება.



რამდენი ბენზინის ყიდვა იყო შესაძლებელი ერთი თვის ხელფასით ნახევარი საუკუნის წინათ ქვეყანაში, რომელიც უკვე აღარ არსებობს?

მაშ, ასე: 1969 წელს საბჭოთა მოქალაქის საშუალო ხელფასი შეადგენდა 115 მანეთსა და 60 კაპიკს. მაშინ, როდესაც 10 ლიტრი ბენზინის ღირებულება იყო 95 კაპიკი, ერთი თვის ხელფასით შესაძლებელი იყო 1 216 ლიტრი АИ-93-ის ყიდვა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, დღეს საქართველოში ერთი თვის საშუალო ხელფასი 1 070 ლარია, ხოლო ერთი ლიტრი АИ-92-ის ფასი საშუალოდ 2,5 ლარია, ე.ი ერთი თვის ხელფასით შესაძლებელია 428 ლიტრი საწვავის შეძენა.



ეს ყველაფერი — 1969 წლის მონაცემებით, მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში საწვავი ოდნავ გაძვირდა — 10 ლიტრზე 5 კაპიკით. აქედან გამომდინარე, 10 ლიტრი АИ-93 1 მანეთი გახდა, თუმცა ასევე გაიზარდა ხელფასებიც. შედეგად, თვეში შესაძლებელი იყო გაცილებით მეტის — 1 320 ლიტრი ბენზინის ყიდვა.

1978 წელს ყველაფერი შეიცვალა — ბენზინი ორჯერ გაძვირდა, 10 ლიტრი АИ-93-ის მარკის ბენზინი უკვე 2 მანეთი ღირდა. ფასი კი ყველა ბენზინგასამართ სადგურზე ერთნაირი იყო, რადგან მას სახელმწიფო ადგენდა.

1981 წელს ბენზინი ისევ გაძვირდა და 10ლ АИ-93 უკვე 4 მანეთი გახდა.

ბენზინის ფასებს ამერიკულ დოლარებში თუ გადავიყვანთ, 70-იან წლებში 1ლ საწვავის ფასი 7 ამერიკული ცენტი ყოფილა, რადგან მაშინ სსრკ-ში 1 აშშ დოლარი დაახლოებით 70 კაპიკი ღირდა. სსრკ-ში 1ლ ყველაზე ძვირი ბენზინი 28 ამერიკული ცენტი გამოდიოდა, დღეს კი 1ლ ბენზინის ფასი 1 აშშ დოლარია, მაშინდელთან შედარებით დაახლოებით 3,5-ჯერ ძვირი.

## როგორ უნდა მოვიქცეთ ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს

### რჩევები

**საქართველოში ჰაერის მაღალი ტემპერატურაა. სიცხეების გამო აქტიურდება სხვადასხვა დაავადება, ამიტომ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი რეკომენდაციებს ავრცელებს.**

**საჭიროა, დაიცვათ რამდენიმე წესი:**

**1.** დაიცავით ჰიგიენა. ხშირად დაიბანეთ ხელები;

**2.** საკვები პროდუქტები აუცილებლად მაცივარში მოათავსეთ;

**3.** არ შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზეზე ყოფნა; ჰაერის მაღალი ტემპერატურის პირობებში, უნდა ეცადოთ, დახურულ შენობაში, გრილ ადგილზე იყოთ;

**4.** სასურველია, ტემპერატურა არ აღემატებოდეს 22-28 გრადუსს;

**5.** დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ დიდი ოდენობით წყალი;

**6.** უნდა მოვერიდოთ კრემიანი, მაღალკალორიული საკვების მიღებას. მიღების შემთხვევაში კი, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს საკვები დამზადებულია შესაბამისი სტანდარტების დაცვით;

**7.** ღამით გააღეთ ფანჯრები და დატოვეთ ღია დილამდე, სანამ გარეთ სიგრილე იქნება (თუ ეს სახიფათო არ არის). დღისით შეამცირეთ სახლში სიცხის შეღწევა – დახურეთ ფანჯრები, ჟალუზები და დარაბები, განსაკუთრებით მზის მხარეს;

**8.** მიიღეთ გრილი შხაპი ან გამოიყენეთ ყინულის პაკეტები, სველი პირსახოცი და სხვ. ქუჩაში გასვლისას ატარეთ ნატურალური მასალის, ღია ფერის თავისუფალი ტანსაცმელი, ფართოფარფლებიანი



ქუდი ან კეპი, ან ქოლგა და მზისგან დამცავი სათვალე;

**9.** თუ იგრძენით თავბრუსხვევა, სისუსტე, ფორიაქი, ძლიერი წყურვილი ან თავის ტკივილი, სასწრაფოდ შეაფარეთ თავი გრილ ადგილს და გაიზომეთ სხეულის ტემპერატურა. მიიღეთ წყალი ან ხილის ნატურალური წვენი. თუ გაქვთ კუნთების მტკივნეული სპაზმი (განსაკუთრებით ფეხებში, ხელებში ან მუცელზე), საჭიროა ელექტროლიტების შემცველი ხსნარების (მაგალითად, რინგერის) მიღება; თუ აღნიშნული სიმპტომები ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს;

**10.** ზღვაზე ყოფნის შემთხვევაში, მზის აბაზანები მიიღეთ დილის 11 საათამდე ან საღამოს 5 საათის შემდეგ.

**საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არ იცის ეკონომიკის ანბანი, საფუძვლების არცოდნა დღევანდელ პერიოდში დაახლოებით იგივეა, რაც წერა-კითხვის არცოდნა ასი წლის წინათ. თუ პრემიერმინისტრი აპირებს, განათლების სფეროში ინვესტიციები „სამჯერ გაზარდოს“, ურიგო არ იქნება, ამ მიმართულებით შესაბამისი პროგრამა აამოქმედოს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მამუკა ბახტაძე დღეს ტელეეკრანზე ყოველდღე ჩნდება და ახალ ინიციატივებზე საუბრობს, მაგრამ, „ენ-დი-აის“ კვლევებს თუ დავუჯერებთ, პრემიერმინისტრად დანიშვნამდე მასზე გამოკითხულთა 43 პროცენტს არაფერი სმენოდა. ინფორმაცია ძალიან ბევრია, ამიტომ, ალბათ, უნდა გავარკვიოთ, სად მთავრდება პიარი და იწყება საქმე.**

# ბახტაძის სტარტი

## ბახტაძე თავის გამოსვლებში ძალიან კარგად აღწერს პრობლემებს, მაგრამ მათი მოგვარების გზებზე პრაქტიკულად არაფერს ამბობს

ბახტაძის ურთიერთობა საზოგადოებასთან შეგვიძლია ოთხ ეტაპად დავყოთ:

* რჩეულიშვილებთან და ბეჟუაშვილებთან მუშაობის პერიოდში მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მის შესახებ არაფერი იცოდა.

* როდესაც რკინიგზის უფროსად მუშაობდა, მედია მასზე დროდადრო წერდა, თუმცა იშვიათად, ვიდრე იმავე, ან თუნდაც უფრო დაბალი რანგის პერსონებზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ **მას ყურადღების ეპიცენტრში ყოფნა არ სიამოვნებს.**

* ფინანსთა მინისტრად მისი დანიშვნის შემდეგ ვითარება შეიცვალა — **მას ნაკლებად „აპიარებდნენ“, როგორც წარმატებულ მინისტრს** (ალბათ, სწორედ აქედან მოდის ზემოთ ნახსენები 43%), მაგრამ 2017 წლის ნოემბრიდან ხშირად ახსენებდნენ, როგორც გიორგი კვირიკაშვილის შემცვლელს. უფრო სწორად, სავარაუდო შემცვლელების არაფორმალურ რეიტინგში ის, გიორგი გახარიას შემდეგ, სტაბილურ მეორე ადგილს იკავებდა.

* მეოთხე ეტაპი მას შემდეგ დაიწყო, რაც ბახტაძე პრემიერის პოსტზე წარადგინეს. სახელისუფლო პროპაგანდა მის თითოეულ ნაბიჯს ნონ-სტოპ რეჟიმში აშუქებს. თუ ბახტაძეს მის ორ წინამორბედს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ჯერ კიდევ შს მინისტრად მუშაობის პერიოდში აქტიურად ცდილობდა საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, ხოლო კვირიკაშვილის გაპიარება რეალურად მხოლოდ პრემიერად დანიშვნის შემდეგ დაიწყო. არის მნიშვნელოვანი სხვაობაც — კვირიკაშვილს, ღარიბაშვილის პრემიერობის ფრიად ნერვული პერიოდის შემდეგ, სტაბილურობა და მასთან დაკავშირებული პოზიტივი უნდა განესახიერებინა, ხოლო ბახტაძე ცდილობს, კვირიკაშვილის სახელობის „ზასტოის“ ფონზე, დინამიკურ ცვლილებებთან ასოცირდებოდეს.

საზოგადოების განწყობა საქართველოში ერთგვარი ქანქარაა, რომელიც არასოდეს ჩერდება: ერთ მხარეს სტაგნაციაში გარდამავალი სიმშვიდეა, მეორე მხარეს — ქაოსში გარდამავალი ცვლილებები. **ბახტაძე პრემიერად იმ დროს დაინიშნა, როდესაც მოსახლეობა რეფორმების აუცილებლობაზე ლამის ერთხმად შეთანხმდა. შესაბამისად, ბახტაძე ცდილობს, ახალგაზრდა რეფორმატორის კარგად ნაცნობი როლი მოირგოს. მას ბევრი ბონუსის მოტანა შეუძლია, თუმცა არსებობს რისკიც, რადგან კოლექტიური არაცნობიერის სიღრმეში, ალბათ, შენახულია მოგონებები იმაზე, რა უბედურება დაატრიალეს ცოტა ხნის წინათ ახალგაზრდა რეფორმატორებმა, რომლებიც სწორედ ასე რიხიანად საუბრობდნენ და თავი კომპეტენტურად მიაჩნდათ უკლებრივ ყველა სფეროში. მაგრამ, ვინც არ რისკავს, არც შამპანურს სვამს და არც პრემიერმინისტრად ინიშნება.**

„ქართული ოცნების“ ლიდერები თავიდან სტრუქტურულ რეფორმებზე ისე საუბრობდნენ, თითქოს რომის იმპერიას შლიდნენ (ან აერთიანებდნენ, რა მნიშვნელობა აქვს). საბოლოო ჯამში, ზედაპირზე დარჩა მხოლოდ იუსტიციის და სასჯელაღსრულების სამინისტროების შერწყმა, რომელიც დიდად არავის გაუპროტესტებია და განათლების სამინისტროს გაერთიანება კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (ის, თავის მხრივ, გასული წლის ნოემბერში ორი შესაბამისი სამინისტროს შერწყმის შედეგად შეიქმნა). ამ შემთხვევაში კრიტიკა გაცილებით მეტი იყო — უპირველესად, „წითელი“ და განსაკუთრებით „ვარდისფერი“ ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებიც შიშობენ, რომ ახალი სისტემა სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღებას გაურთულებს; აგრეთვე, იმ კომენტატორების მხრიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს სხვადასხვა მისიის მქონე უწყებებია და მათი გაერთიანება „ჰუმანიტარულ საქმეთა“ სუპერსამინისტროში გაუმართლებელია. ამ ვნებათაღელვის ფონზე თითქმის ვერავინ შეამჩნია ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაძლიერება, რომელსაც შეუერთდა სივრცითი განვითარების კომპონენტი ეკონომიკის სამინისტროდან, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირების გაუქმებული სამინისტროდან მემკვიდრეობად ერგო დევნილების განსახლების ფუნქცია. აგრეთვე, მსჯელობენ იმაზე, რომ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, განათლების სამინისტროს ნაცვლად, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელოს. ასეთი გაძლიერების გამო ის, სავარაუდოდ, აღარ იქნება „გარდამავალი პრიზი“ გავლენიანი დაჯგუფებების ბრძოლაში (როგორც ადრე იყო) და პირველი პირის (ფორმალურად — ბახტაძის, რეალურად — ივანიშვილის) კონტროლს დაექვემდებარება. საბოლოოდ კი, სამინიტროების რაოდენობა ჯერ (ნოემბერში) 18-დან 14-მდე, შემდეგ კი (წელს) 14-დან 11-მდე შემცირდა.

**მოსახლეობას მსგავსი ცვლილებები, როგორც წესი, მოსწონს, მითუმეტეს, როცა არწმუნებენ, — ეს ბიუროკრატიის გავლენისა და შემოსავლების შემცირებას მოასწავებსო, თუმცა ნოემბრის ცვლილებებს მსგავსი არაფერი მოჰყოლია და, ალბათ, უნდა დაველოდოთ იმ მომენტს, როდესაც შესაბამისი ხარჯები მშპ-ს 6,4 პროცენტიდან, დაპირებისამებრ, 3,9 პროცენტამდე შემცირდება. მამუკა ბახტაძის აზრით, ამას ორი წელიწადი დასჭირდება.** ბუნებრივია, მთავრობა შეეცდება, წინა პლანზე პრობლემის სიმბოლური მხარე გამოიტანოს. „აუცილებლად წარვადგენ ახალ ინიციატივას, რომელიც არა მხოლოდ ჯიპებს, არამედ ზოგადად ავტოპარკს — განსაკუთრებით ე.წ.



**ბახტაძემ, ისევე, როგორც თავის დროზე ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნებისას, ისეთი სტარტი აიღო, რომ შეიძლება ხელი შეუწყოს გადაჭარბებული მოლოდინების გაჩენას. როგორც მის წინამორბედებს, ეს საშუალოვადიან პერსპექტივაში მასაც თითქმის გარანტირებულად მზარდი უკმაყოფილების ფასად დაუჯდება. თუმცა ოცნება იმაზე, რომ ოდესმე გვეყოლება მთავრობა, რომელიც გადაჭარბებულ მოლოდინებს შექმნის და შემდეგ დაპირებებს შეასრულებს, ალბათ, მაინც ნაადრევია**

პერსონალურ მანქანებს შეეხება. ბუნებრივია, ის სიტუაცია, რომელიც ამ მხრივ ზოგიერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში არის, სრულიად მიუღებელია, მე ვიტყოდი, კატეგორიულად მიუღებელი“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ. ეს ისევ „შავი ჯიპების“ კარგად ნაცნობი თემაა, რომელსაც არაერთი, მათ შორის ბოლო მთავრობა იყენებდა და ზომების მიღებით იმუქრებოდა — ავტოპარკის რადიკალური განახლებიდან, სხვა ფერის მანქანების შერჩევამდე. სიტუაცია კი კვლავ „კატეგორიულად მიუღებელია“.

აქ, ალბათ, საინტერესოა სხვა რამ: **აქვს თუ არა ხელისუფლებას პოლიტიკური ნება და რესურსი იმისთვის, რომ ხარჯები არა ორი წლის, არამედ უფრო მცირე დროის მონაკვეთში შეამციროს (იგივე ეხება ავტოპარკს)?** ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ წინასაარჩევნოდ (2018, 2020) სახელმწიფო მოხელეების ნაწილის გადამტერება „ქართული ოცნებისთვის“ სარისკოა, მაგრამ პრობლემას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს — მოსალოდნელი, წინასწარ ანონსირებული, მაგრამ „გადადებული“ შემცირება სახელმწიფო მოხელის თავზე ჩამოკიდებული დამოკლეს მახვილია, რომელიც აიძულებს მას, გააკეთოს ყველაფერი თანამდებობის შესანარჩუნებლად. ნაციონალები სწორედ ამ ტაქტიკას იყენებდნენ.

**ბახტაძე თავის გამოსვლებში ძალიან კარგად აღწერს პრობლემებს, მაგრამ მათი მოგვარების გზებზე პრაქტიკულად არაფერს ამბობს.** მაგალითად, უცნობია, როგორ აპირებს ის იმ ვითარების შეცვლას, რომელზეც შემდეგი რამ თქვა: „საქართველოს ერთ მილიონამდე მოქალაქე სოფლის მეურნეობის სექტორშია თვითდასაქმებული. მათი შემოსავლები, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მინიმალურია და ისინი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10%-ს ქმნიან, როდესაც დასაქმებულთა დანარჩენი ნაწილი, ანუ 750 ათასი მოქალაქე, მთლიანი შიდა პროდუქტის 90%-ს ქმნის... როდესაც ასეთ მნიშნელოვან სექტორში ნატურალური მეურნეობა დომინირებს... რა თქმა უნდა, ეს იწვევს მხოლოდ სიღარიბეს და ვერ იწვევს განვითარებას. შემიძლია დაგპირდეთ, რომ ამ მიმართულებით იქნება ფუნდამენტური რეფორმები“. პრობლემა აღწერილია ზუსტად და კონკრეტულად, მაგრამ გამოსავალზე ნათქვამია მხოლოდ „ფუნდამენტური რეფორმები“. მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა **ძირფესვიანი, თამამი** ან **რევოლუციური** რეფორმები და ეს აბსოლუტურად არაფერს შეცვლიდა, ვინაიდან იმ მომენტამდე, სანამ პრემიერი არ მონიშნავს პრობლემის მოგვარების გზებს, მსგავსი პასაჟების სერიოზულ განხილვას აზრი არ ექნება.

დღეს საზოგადოება ასეთ ნიუანსებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს, რადგან მთავრობის შეცვლამ ბევრი სიახლე მოიტანა, ამასთანავე, მოქმედებს დადებითი ეფექტი, რომელიც უკავშირდება საგადასახადო შეღავათებს მცირე ბიზნესისთვის, ხელფასების გაზრდას (პოლიციელებისთვის, მეხანძრეებისთვის, პედაგოგებისთვის), ბიზნესმენებისთვის დავალიანების ნაწილის ჩამოწერას (დაახლოებით 30 ათას კომპანიას 550 მილიონ ლარამდე დავალიანება ჩამოეწერება) და ა.შ., მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს საზოგადოება აუცილებლად აღმოაჩენს სიცარიელეს „ფუნდამენტური“ განცხადებების უკან, ზუსტად ისე, როგორც ეს კვირიკაშვილის შემთხვევაში მოხდა.

ეკონომიკური სტატისტიკა ბოლო დროს ნამდვილად გაუმჯობესდა და 6,1%-იანი ზრდა წლის პირველ ნახევარში (7,5% მაისში) „საქსტატის“ მანიპულაცია არაა — ექსპორტიც გაიზარდა და მსხვილი საწარმოების ბრუნვაც (სხვა საქმეა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ დადებითი ცვლილებები ვერ იგრძნო), მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ის მუდმივად უარესდება, თითქმის არავინ უარყოფს. მას, ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, ან ხელისუფლების პროპაგანდისტს, ან, უბრალოდ, გიჟს უწოდებენ.

საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არ იცის ეკონომიკის ანბანი, ვერ გაუგია, რა დგას ამ ციფრების უკან — რა ზრდაზე საუბრობს პრემიერი, რას ნიშნავს მშპ, რა მნიშვნელობა აქვს ექსპორტს და ა.შ. ცხადია, დეტალებში ჩაღრმავება ყველას როდი სჭირდება, მაგრამ საფუძვლების არცოდნა დღევანდელ პერიოდში დაახლოებით იგივეა, რაც წერა-კითხვის არცოდნა ასი წლის წინათ — ის ქვეყნის განვითარებას აფერხებს. მცირე ბიზნესის წარუმატებლობა ხშირ შემთხვევაში ელემენტარული უნარების არარსებობიდან, ეკონომიკის ანბანის არცოდნიდან მოდის. **თუ პრემიერმინისტრი აპირებს, განათლების სფეროში ინვესტიციები „სამჯერ გაზარდოს“, ურიგო არ იქნება, ამ მიმართულებით შესაბამისი პროგრამა აამოქმედოს.**

ბახტაძემ, ისევე, როგორც თავის დროზე ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნებისას, ისეთი სტარტი აიღო, რომ შეიძლება ხელი შეუწყოს გადაჭარბებული მოლოდინების გაჩენას. ახალი პრემიერი პროპაგანდის სივრცეში ტაქტიკურ უპირატესობას იღებს, მაგრამ ეს, ისევე, როგორც მის წინამორბედებს, ეს საშუალოვადიან პერსპექტივაში თითქმის გარანტირებულად მზარდი უკმაყოფილების ფასად დაუჯდება.

თუმცა ოცნება იმაზე, რომ ოდესმე გვეყოლება მთავრობა, რომელიც გადაჭარბებულ მოლოდინებს შექმნის და შემდეგ დაპირებებს შეასრულებს, ალბათ, მაინც ნაადრევია.

ეკონომიკური აღმავლობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში ყველაფერი გაძვირდა, დაწყებული კვების პროდუქტებით, დამთავრებული მედიკამენტებითა და კომუნალური გადასახადებით. მაგალითად, 2018 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით, სურსათზე ფასებმა 1,8 პროცენტით მოიმატა, განსაკუთრებით გაძვირდა ხილი, ზეთი, ხორცი და თევზეული.**

# ივანიშვილის ახალმა მთავრობამ მუშაობა ძველი ტყუილით დაიწყო

## ცინიზმი დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის განუყოფელი ნაწილია

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ მონაცემს თუ დავუჯერებთ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბოლო პერიოდში უპრეცედენტო მასშტაბს აღწევს. ვაჭრობა, საფინანსო საქმიანობა, დამამუშავებელი მრეწველობა და სხვ., კვლევის თანახმად, ის დარგებია, რომლებმაც, ხელისუფლების სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად თურმე ყველა სირთულესა თუ გამოწვევას გაუძლო და მიმდინარე წლის მაისში (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 7,5%-ით გაზარდეს. იმავე შეფასებაში აღნიშნულია, რომ 2018 წლის პირველი ხუთი თვის საშუალო რეალური ზრდა 6,1%-ს შეადგენდა, რაც, მთავრობის მოქმედი თუ აწ უკვე ყოფილი წევრების შეფასებებით, ბოლო რამდენიმე წლის რეკორდული მაჩვენებელია...**

ცხადია, აღნიშნული კვლევის გამოქვეყნებას „მეოცნებეების“ უმაღლეს ეშელონებში მყისიერად მოჰყვა რიხიანი განცხადებები და ტრაბახი ყბადაღებული „ეკონომიკური ბუმის“ შესახებ. მეტიც, ოლიგარქის მიერ ახალხელდასხმულმა პრემიერმა **მამუკა ბახტაძემ** მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი იმაზე სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მისივე თქმით, შთამბეჭდავია ფისკალური და საგარეო პარამეტრების გაუმჯობესების მაჩვენებელიც, რაც თურმე მთავრობის მიერ გატარებული სტრუქტურული რეფორმების პირდაპირი შედეგია. ბახტაძემ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებზეც ისაუბრა და დასძინა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია გაოცებულია საქართველოს ეკონომიკური რეფორმებით(!)...

ბახტაძის კომენტარზე არანაკლებ ხმამაღალი იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის, **დიმიტრი ქუმსიშვილის**, შეფასება. ექსმინისტრმა მონაცემის გამოქვეყნებას სოციალურ ქსელში ვრცელი სტატუსი უძღვნა და „ეკონომიკური ბუმისა თუ შეუქცევადი აღმავლობის“ ასახვა უკვე ოფიციალურად სრულიად საქართველოს ამაყად მიულოცა: **„კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ: მაისის თვის რეალური ეკონომიკური ზრდა 7,5%-ია...“.**

მოკლედ, **პოლიტელიტამ, განსაკუთრებით — მთავრობამ, ამ ერთ კონკრეტულ კვლევაზე დაყრდნობით, რომლის სანდოობაც ცალკე საკითხია, ხალხს ნამდვილი სამოთხე დაუხატა: ეკონომიკა საათივით აწყობილ, დღითიდღე მზარდ და განვითარებად მიმართულებად წარმოუდგინა, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკა — უშეცდომო, იდეალურ გეგმად.**

ამ ყველაფრის შემყურე და გამგონე თითოეულ მოქალაქეს, ალბათ, წამიერად დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ოლიგარქის ექვსი წლისწინანდელი ომახიანი დაპირება მისი მმართველობის მესამე და მეოთხე წლებში ეკონომიკური სასწაულების თაობაზე პირნათლად შესრულდა, თუმცა ერთია შთაბეჭდილება და ილუზია, მეორე — სინამდვილე. მოცემულ შემთხვევაში **„ქოცელიტის“ მხრიდან იმ პოლიტიკურ ჟინთვეზსა და ბაქიბუქს, რომელიც „საქსტატის“ ციფრებს მოჰყვა, რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. პირიქით, ტრაბახს ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობის ყოფა დღითიდღე გაუსაძლისი ხდება, ცინიზმისა და ირონიის სახე უფრო ჰქონდა, ვიდრე კონკრეტული ძალისთვის გარკვეული პოლიტიკური ქულების დაწერის ეფექტი.**

ახლა მოდი, ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ვნახოთ, რა მდგომარეობაა ქვეყანაში, როგორც საერთო სოციალური ფონის თვალსაზრისით, ისე კონკრეტული მიმართულებებით. დავიწყოთ ფასებით. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში ყველაფერი გაძვირდა — დაწყებული კვების პროდუქტებით, დამთავრებული მედიკამენტებითა და კომუნალური გადასახადებით. მაგალითად, 2018 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით, სურსათზე ფასებმა 1,8 პროცენტით მოიმატა, განსაკუთრებით გაძვირდა ხილი, ზეთი, ხორცი და თევზეული...

**გაძვირდა ტრანსპორტიც.** მგზავრობის საფასურმა 3,5 პროცენტით მოიმატა, რაც ეროვნული ვალუტის წლიურ ინფლაციაზეც აისახა (საუბარია წლიური ინფლაციის 0,49%-იან ზრდაზე).

გარდა ამისა, **მნიშვნელოვნად მოიმატა კომუნალურმა გადასახადებმა — წყალზე, ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირზე ფასები 4,7 პროცენტით გაიზარდა. არადა, ყველას გვახსოვს, რომ 2012 წლის არჩევნების პერიოდში ამჟამინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი დაპირება სწორედ ტარიფების შემცირება იყო.**

რაც შეეხება **ჯანდაცვას,** აქ უკვე ფასების 4,3-პროცენტიანი ზრდა მოხდა. 3,4 პროცენტით გაიზარდა ამბულატორიული, ხოლო 2,3 პროცენტით — საავადმყოფოების მომსახურება. ამ ყველაფერთან ერთად, შეიკვეცა ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა და რასაც ადრე სახელმწიფო აფინანსებდა, იმაში ახლა ადამიანს ფული გაუხდა გადასახდელი. მნიშვნელოვნად გაძვირდა მედიკამენტებიც. ყოველივე ამან ისედაც უმძიმეს სოციალურ პირობებში მცხოვრები მოსახლეობის ყოფა ერთობ გაართულა.

ახლა ცხოვრების დონეს გადავხედოთ. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში **ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი თვეში 354 ლარია.** აქედან ოჯახის თითო წევრზე 70,86 ლარი მოდის, რაც დღეში დაახლოებით 2,3 ლარს უდრის (რა საარსებო პირობებში შეიძლება ცხოვრობდეს მოქალაქე ამ შემოსავლით, კომენტარს, ალბათ, არ საჭიროებს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ დღეს სოციალური ფონის ნამდვილი სიღრმისეული კვლევა და შესწავლა არ ხდება, რეალურად ვითარება გაცილებით მძიმე შეიძლება იყოს); 2017 წლის მონაცემით, ქვეყანაში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 21,9 პროცენტია, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი — 12,1 პროცენტი (საუბარია მიზერულ შემწეობაზე). ანალოგიური სურათია, უფრო მძიმე და სავალალო თუ არა, დასაქმების კუთხითაც და ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა კვლევა თუ სოციოლოგიური გამოკითხვა ამას ადასტურებს.



მთავარი და დღემდე აბსოლუტურად მოუგვარებელი პრობლემა ზემოაღნიშნულ პრობლემებს შორის მაინც მიგრაციაა. ყველა სტატისტიკური მონაცემი, რომლებიც ბოლო ხანს ამ მიმართულებით ქვეყნდება, ქვეყნისთვის, ფაქტობრივად, განგაშის სიგნალია. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მის მთავარ მიღწევად და წარმატებად ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედებას მიიჩნევს. არადა, ფაქტია: **ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივმა გადინებამ სწორედ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემდეგ მიიღო სტიქიური ხასიათი.**

გადავხედოთ ოფიციალურ სტატისტიკას წლების მიხედვით: მაგალითად, **2012 წელს ქვეყნიდან 90 584 მოქალაქე გავიდა, შემოვიდა — 69 063; 2013 წელს — 95 064 გავიდა, შემოვიდა — 92 458; 2014 წელს — 88 704 გავიდა, შემოვიდა — 82 161; 2015 წელს — 95 965 გავიდა, შემოვიდა — 92 557; 2016 წელს — 98 288 გავიდა, შემოვიდა — 90 228; 2017 წელს — 85 451 გავიდა, შემოვიდა — 83 239...**

როგორც ხედავთ, 2012 წლიდან დღემდე არ ყოფილა წელი, რომ ქვეყანაში იმაზე მეტი მოქალაქე დაბრუნებულიყო, ვიდრე გავიდა. წასულთა უმრავლესობა კი, პრაქტიკულად, შავ მუშად მიდის და ლუკმაპურის საშოვნელად ევროპასა თუ ამერიკაში (თურქეთზე რომ არაფერი ვთქვათ) იმ სამუშაოზე თანხმდება, რომელსაც ადგილობრივი მოქალაქე, რბილად რომ ვთქვათ, არ კადრულობს, თუმცა ეს კიდევ არაფერი.

**მოსახლეობის მასობრივმა გადინებამ, ცხადია, დემოგრაფიაზეც სერიოზული გავლენა მოახდინა. ხალხისგან დაცლილ რეგიონებში თითქმის ყოველი მეორე სოფელი უკვე გაუკაცრიელებულია. ამ ყველაფრის ფონზე სოფლის მეურნეობის დარგები, ბუნებრივია, რეგრესისკენ წავიდა, წარმოება მოკვდა, აგრარული ბაზარი კი, ძირითადად, უცხოურმა პროდუქციამ დაიკავა.**

მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფული შემცირება (რის გამოც გაერო მუდმივად გვეუბნება, რომ მალე ჩვენსავე ქვეყანაში, შესაძლოა, ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ) ეკონომიკურ სიდუხჭირესთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორითაა განპირობებული. მხედველობაში მაქვს ქორწინებების მაჩვენებელი, რომელიც ისეთივე საგანგაშოა, როგორც საერთო დემოგრაფიული სურათი. მაშ, ასე: **2013 წელს სულ 34 693 ქორწინება აღირიცხა, 2014 წელს — 31 526, 2015 წელს — 29 157, ხოლო 2016-17 წლებში — 25101. პარალელურად, კატასტროფულად იმატა განქორწინების რაოდენობამ. აი, კონკრეტული სტატისტიკა წლების მიხედვით: 2008 წელი — 3 189 განქორწინება, 2009 წელი – 4 030, 2010 წელი – 4726, 2011 წელი – 5 850, 2012 წელი – 7 136, 2013 წელი – 8 089, 2014 წელი – 9 119, 2015 წელი – 9 112, 2016 წელი – 9 539 და 2017 წელი – 10 222.** ეს ნიშნავს, რომ თითქმის ყოველი მეორე ქორწინება დღეს განქორწინებით მთავრდება, ოჯახები ინგრევა და ქვეყანა დემოგრაფიული უფსკრულისკენ მიექანება.

რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, მიუხედავად იმისა, რომ „ნაც-ქოცური“ უნიათო ხელისუფლება მმართველობის ექვსი წლის თავზე ხალხს თვალსა და ხელს შუა ატყუებს და უსინდისოდ ეუბნება, ქვეყანა შიოს მარანივით ავაშენეთ, ეკონომიკა კი ისე აყვავდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი გაოცებას ვერ მალავსო?

ფაქტია: მსოფლიოში, განსაკუთრებით — მედასავლეთე პოლიტელიტის სათაყვანებელ ევროპაში, დღეს კუთხე არ არის, სამათხოვროდ გადახვეწილი ქართველი არ დაძრწოდეს, საქართველოში დატოვებული ოჯახის შესანახად ფულს სიმწრის ოფლით არ აგროვებდეს და არაადამიანურ შრომაში ჩაბმული სარჩოს საშოვნელად წელებზე ფეხებს არ იდგამდეს. ალბათ, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ **თითქმის ყოველი მეორე მოქალაქე დღეს დრაკონული საბანკო სისტემის ტყვეა, რომ თითქმის ყოველი მეორე მოქალაქე, სწორედ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ყელამდე ვალებშია ჩაფლული და ვის როდის მოუწევს სახლის დაცლა, კაცმა არ იცის. თუმცა ხელისუფლებისთვის ეს პრობლემას არასოდეს წარმოადგენდა და, შესაბამისად, ამ გარემოებებს მისთვის პოლიტიკურ ბაქიბუქობაში ხელი არასოდეს შეუშლია.** პირიქით, აწ უკვე ყოფილი პრემიერი **გიორგი კვირიკაშვილი** თავის დროზე ამაყად აცხადებდა, რომ მისი მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში 40 ათასამდე სამუშაო ადგილი შეიქმნა; ეს იმ დროს, როცა **სარფის საბაჟოსთან თურქეთში კურტნის მუშად მიმავალი დამშეული ქართველების რიგი იდგა, ევროპა კი, მოზღვავებული მიგრაციის გამო, გაფრთხილებას გაფრთხილებაზე გვაძლევდა: უვიზო მიმოსვლას შეგიჩერებთო.** საერთოდ, როგორც ჩანს, ეს ცინიზმი დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის განუყოფელი ნაწილია და ივანიშვილის „სამწყსოს“ ამას, ალბათ, ვერაფერი მოაშლევინებს. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ხელისუფლება და მისი შემოქმედი „რუხი ოლიგარქი“ არ იგრძნობს, რომ ხალხი გასართობი სათამაშო არ არის (ეს, პირველ რიგში, ისევ ხალხმა უნდა აგრძნობინოს), ირონიის ელემენტები მათ განცხადებებში ყოველთვის იქნება. ისე, ფაქტია: ივანიშვილის ახალმა მთავრობამ მუშაობა შედარებით მოკრძალებული ტყუილით დაიწყო, მოკრძალებული იმასთან შედარებით, რაც ადრე გვახსოვს, თორემ, დღევანდელ საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი რომ ჩვეულებრივი პოლიტიკური უნამუსობაა, წყალი არ გაუვა...

**ჯაბა ჟვანია**

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შედგა იდეოლოგიურად ერთნაირსქესიანი ქოცებისა დანაცების პოლიტიკური ქორწინება და ახლა ბიძინას ქოცები, მიშას ნაცები და ბოკერიას ე.წ. ევროპული საქართველო შეხმატკბილებულად ეწევიან საქართველოს ლიბერასტიზაციას, ანუ ქართული მენტალიტეტის, თვითმყოფადობის, ეროვნული იდენტობის ნგრევას.**



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართული ოცნება» არ ყოფილა ქართველთა ოცნება




**თავიდანვე შევთანხმდეთ ერთ სამწუხარო რეალობაზე, რომელიც მისმა უდიდებულესობა დრომ აქცია თვალსაჩინოდ ქართველი საზოგადოების გონიერი ნაწილისთვის — 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების საშუალებით, რომლის სცენარი საქართველოში აშშ-ის საელჩოში დაიწერა თავისი კოაბიტაციითურთ, მოხდა ერთი პროამერიკული ნეოლიბერალური ძალის ჩანაცვლება მეორე, ზუსტად ასეთივე ძალით.**

ქოცებსა და ნაცებს შორის არანაირი იდეოლოგიური სხვაობა რომ არ არსებობს, ცხადია. ერთიც აგრესიული ნეოლიბერალური იდეოლოგიის აპოლოგეტია და მეორეც; იდეოლოგიისა, რომელიც ყბადაღებული ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის კამუფლაჟით იმთავითვე გამორიცხავს ყოველგვარი ეროვნულის, პატრიოტულის, მართლმადიდებლურის პრიმატს ქვეყნის ცხოვრებაში, ანუ ყველაფერ იმას, რაზეც აღმოცენდა და განვითარდა ქართველი ერის სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა, კულტურა, ოჯახის ინსტიტუტი და ა.შ. **ბიძინა ივანიშვილი**, ერთი მხრივ, სამების ამშენებლად(?) ითვლება და, მეორე მხრივ, დასავლელი „მეგობრების რეკომენდაციებიდან“ (წაიკითხე, ბრძანება) გამომდინარე, მაგიდაზე მუშტების ბრახუნით თავის ჯიბის პარლამენტს აღებინებს ეკლესიის საწინააღმდეგო კანონს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის სახით, რომელმაც უკვე მოიტანა პირველი „დადებითი შედეგები“: პედერასტები, მეძავები, ნარკომანები თუ „ბარიგები“ საპროტესტო აქციებს მართავენ; ლამის დანგრევის პირას არის ტრადიციული ქართული ოჯახის ინსტიტუტი — ცოლი ქმარს უჩივის პატრულში, შვილი — მშობელს და პირიქით; პრაქტიკულად დანგრეულია განათლების სისტემა — ე.წ. საჯარო სკოლების მოსწავლეების უმრავლესობა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა დაცლილია ეროვნულისგან, პატრიოტულისგან.

თუ წინა მოწვევის პარლამენტში ეროვნულ-პატრიოტულად მოაზროვნე დეპუტატები, მართალია, ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის მიმართ საპროტესტო ხმები ასე თუ ისე მაინც ისმოდა, იმავეს ვერ იტყვი 2016 წლის მოწვევის პარლამენტზე — საპარლამენტო ხელისუფლება მტკიცედ უპყრიათ ხელთ ნაცებთან აშკარა ალიანსში მყოფ უბიოგრაფიო ლიბერასტ ლაწირაკებს — **კობახიძეებს, თალაკვაძეებს, მდინარაძეებს.**

მოკლედ და ხატოვნად თუ ვიტყვით, **2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შედგა იდეოლოგიურად ერთნაირსქესიანი ქოცებისა დანაცების პოლიტიკური ქორწინება და ახლა ბიძინას ქოცები, მიშას ნაცები და ბოკერიას ე.წ. ევროპული საქართველო შეხმატკბილებულად ეწევიან საქართველოს ლიბერასტიზაციას, ანუ ქართული მენტალიტეტის, თვითმყოფადობის, ეროვნული იდენტობის ნგრევას.**

წინამდებე წერილის შესავლის შინაარსის მოკლედ გადმოცემას თუ შევეცდებით, გამოდის, რომ „ქართული ოცნება“ სულაც არ ყოფილა ქართველთა ოცნება... ეს, არც ისე მოკლე შესავალი იმად დამჭირდა, რომ ქართველ საზოგადოებას შევახსენო, საზოგადოდ რა ნეხვშიც ვზივართ. ახლა კონკრეტულად წინამდებარე სტატიის შექმნის მთავარ მიზეზ-საბაბზე: გასული საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ანუ, სოხუმ-ცხინვალის დაკარგვიდან დღემდე, ჩვენს „მეგობარ“ გაეროს, ევროკავშირსა თუ ევროსაბჭოს, „სტრატეგიულ მოკავშირე“ აშშ-ს, დასავლეთის მრავალ სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი არაერთი (ზუსტი ციფრის დასახელება, ალბათ, მათემატიკოსებსაც გაუჭირდებათ) რეზოლუცია მიუღიათ, რომელთა აფიშირებით ყველა ხელისუფლება ქართველი საზოგადოების „დაბოლებას“ ცდილობდა. რეზოლუციებით, რომლებსაც რეალურად იმ ქაღალდის ფასიც კი არ ჰქონდათ, რომელზეც ეს რეზოლუციები იბეჭდებოდა და, აქედან გამომდინარე, აშშ-ის კონგრესის, გაეროს, ევროკავშირის და ა.შ. მიღებული რეზოლუციების რაოდენობის პარალელურად და პირდაპირპროპორციულად საქართველო შაგრენის ტყავივით პატარავდებოდა. აგერ, სულ ახლახან, ხსენებულმა ჩვენმა „მეგობრებმა“ ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს მსგავსი რეზოლუციები, რომელთა შორის ყველაზე მთავარს, აშშ-ის კონგრესის ორპარტიულ რეზოლუციას, ქოც-ნაცების ხელისუფლებამ უკვე უწოდა ისტორიული. ამ დოკუმენტით ისე „შეშინდნენ“ რუსები, რომ, რალა დროს მცოცავი ოკუპაციააო, და ისეთი ისკუპეს, რომ კონფლიქტის ზონაში არსებულ სოფელ კოდაში ერთბაშად სამი კოლომეტრით გადმოწიეს მავთულხლართები.

**ქოც-ნაცების უტიფრობას, ცინიზმს, ეტყობა, მართლა არ აქვს საზღვარი, რადგან ამ „ისტორიული მნიშვნელობის“ დოკუმენტით გულმოცემულები ახალი ძალით აყიყინდნენ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოსა და ევროკავშირის წევრი და არაფერს ამბობენ აშშ-ის ორპარტიული რეზოლუციის მიღების პარალელურად მიმდინარე პროცესებზე ევროპასა თუ ამერიკაში.** რომელ ევროკავშირში შესვლას გვპირდებიან ქოც-ნაცები? იმ ევროკავშირში ხომ არა, რომლის დაშლაც იქიდან ბრიტანეთის გასვლის (ე.წ. ბრექსიტის) შემდეგ მხოლოდ დროის ამბავია? ეროკავშირი უმწვავეს პოლიტიკურ კრიზისში რომ არის, ამას ბრიუსელში ახლახან გამართული ევროკავშირის სამიტიც მოწმობს; სამიტი, რომლზეც, პრაქტიკულად, ვერაფერზე შეთანხმდნენ, რადგან 1951 წელს 6 სახელმწიფოს მიერ (ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, იტალია) მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებების გამო შექმნილი ევროკავშირი, რომელსაც თავდაპირველად ქვანახშირისა და ფოლადის მწარმოებელთა გაერთიანება ერქვა, გაფართოების შემდეგ ნელ-ნელა ევროპის მმართველ პოლიტიკურ ბიუროკრატიად იქცა. ბიუროკრატიად, რომლის გადარჩენასაც **ანგელა მერკელი** ცდილობს და, ავტორიტეტულ კომენტატორთა აზრით, ზემოთ ხსენებული ევროსამიტი სწორედ ევრობიუროკრატიის გადარჩენის უშედეგო მცდელობა იყო. უშედეგო იყო, რადგან მასში შემავალი ქვეყნების ნაწილი, დიდი ხანია, მიხვდნენ, რომ მმართველი ბიუროკრატიის ერთადერთი გადარჩენის გზა არის აღვირახსნილი რუსოფობია, რუსეთისგან მტრის ხატის შექმნა. მიმომხილველთა აზრით, ამიტომაც არის, რომ **ევროკავშირის ქვეყნებში არჩევნებში ერთმანეთის მიყოლებით იმარჯვებენ ე.წ. ევროსკეპტიკოსები და შორს აღარ არის დრო, როდესაც ის ევროკავშირი, რომლისკენაც საქართველო მიისწრაფვის, მარტივ მამრავლებად დაიშლება...**

რაც შეეხება ნატოს, იქაც, ალიანსის უზომოდ გაფართოების გამო ისეთივე პრობლემებია, როგორიც ევროკავშირში. **ვისგან რას იცავს ნატო?**

მსგავს კითხვებს სულ უფრო ხშირად სვამენ დასავლელი, ამერიკელი პოლიტკომენტატორები, რადგან ე.წ. რუსული საფრთხე ევროპელი ობივატელის შესაშინებლად მოგონილი ზღაპარია. რომც სურდეთ ევროპის ოკუპაცია რუსებს, ამის ფიზიკური რესურსი არ აქვთ. ეს ზღაპარი პოლონეთისა და ბალტიისპირეთის მსგავს ქვეყნებს აძლევთ ხელს, რადგან ე.წ. რუსული საფრთხე კარგი საშუალებაა დასავლეთისთვის (წაიკითხე, აშშ) ფულის დასაცინცლავად.

## ე.წ. რუსული საფრთხე ევროპელი ობივატელის შესაშინებლად მოგონილი ზღაპარია. და კიდევ: კარგი საშუალებაა დასავლეთისთვის (წაიკითხე, აშშ) ფულის დასაცინცლავად

**რუსეთიდან მომავალი ერთადერთი „საფრთხე“ კი არის ის, რომ ნატოს სამხედრო ბაზებით ალყაშემორტყმული სახელმწიფო მზად არის, რომ ნებისმიერ პოტენციურ აგრესორს, მათ შორის, აშშ-ს, გამანადგურებელი დარტყმა აგემოს.**

და აი მივადექით მთავარ სათქმელს: **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რომელი ქვეყნის კონგრესის ორპარტიულ რეზოლუციაზე ყიყინებდა აშშ-დან ჩვენი პარლამენტის სპიკერი, იმ ამერიკის ხომ არა, რომლის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ე.წ. დიდი შვიდეულის ბოლო სამიტზე განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის ნაწილია და ვერ გამიგია, რატომ უჭერენ მხარს დიდი შვიდეულის წევრები უკრაინას, ეს ქვეყანა ხომ ყველაზე კორუფცირებული სახელმწიფოაო?** ზუსტ ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ეს ბრძანა დონალდ ტრამპმა, რითაც, რბილად რომ ვთქვათ, შოკში ჩააგდო იქით დიდი შვიდეულის მონაწილენი, აქეთ სრულიად უკრაინა და, საზოგადოდ, მსოფლიოს რუსოფობები.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შეკითხვას — დაუშვებს თუ არა, რომ ვაშინგტონმა რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმი რუსეთის ნაწილად აღიაროსო? — უპასუხა: **„ვნახოთ“.** დონალდ ტრამპის ამ პასუხის გამო პრეზიდენტი პოროშენკო და მისი რუსოფობი ხელისუფლება ნამდვილმა ისტერიკამ მოიცვა.

რას ნიშნავს ეს „ვნახოთ“, სულ მალე, 16 ივნისს, გამოჩნდება ჰელსინკში დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის პირველ ოფიციალურ შეხვედრაზე, სადაც უკრაინაზეც იქნება საუბარი. რაც შეეხება ყირიმს, მასზე ყოველნაირი დისკუსია გამორიცხულია, რადგან ვლადიმერ პუტინმა არაერთხელ თქვა, რომ ყირიმის თემა დახურულია და მასზე საუბარს რუსეთი არავისთან აპირებს.

რაც შეეხება საქართველოს, არა მგონია, რომ ჩვენ საერთოდ გვახსენონ. თუ მოხდა სასწაული და მაინც ითქმება საქართველოს სახელი, ტრამპი პუტინს რამე წვრილმანს გამორჩება და ამაში მიგვახურდავებს.

ასე რომ, **ქოც-ნაცებო, „დათა თუთაშხიადან“ ნიკანდრო ქირიას რეპლიკის მცირე პერიფრაზით მოგმართავთ: ის ორპარტიული რეზოლუცია მიიწებეთ გავაზე და გქონდეთ იქ მანამდე, სანამ მაგ რეზოლუციით შეშინებული რუსეთი სოხუმსა და ცხინვალს არ დაგვიბრუნებს...**

**დავით მხეიძე**

## ქოც-ნაცებო, «დათა თუთაშხიადან» ნიკანდრო ქირიას რეპლიკის მცირე პერიფრაზით მოგმართავთ: ის ორპარტიული რეზოლუცია მიიწებეთ გავაზე და გქონდეთ იქ მანამდე, სანამ მაგ რეზოლუციით შეშინებული რუსეთი სოხუმსა და ცხინვალს არ დაგვიბრუნებს...

**P.S. რუსეთისა და ესპანეთის საფეხბურთო ჯახის შემდეგ, სადაც რუსეთმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა, ქართველმა კომენტატორმა, მატჩის შემდგომი ზეიმის შემყურემ, გამოგვიცხადა: არა მგონია, მოზეიმე რუსების კადრების ცქერა გსიამოვნებდეთო, და ეთერი გაგვითიშა... რა ჰქვია ამას, მკითხველმა შეაფასოს, ჩემი მხრივ კი, დავძენ: გადაებით ერთმანეთს რუსოფობი ქოც-ნაცები და ფეხბურთის კომენტატორები, აფრიალეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციები და იქნებ ამ მაკულატურამ ისე შეაშინოს რუსები, რომ სოხუმ-ცხინვალიც დაგვიბრუნონ და ეგება „ხურდად“ სოჭიც მოაყოლონ თავისი ოლიმპიური ინფრასტრუქტურითა და „ფორმულა-1“-ის ტრასებით...**

**ოცნებას კაცი არ მოუკლავს...**

ჩაკურსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დიდი როლი ეკისრება ქართულ დიპლომატიას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ვერ ვხედავ, რომ ქართველი დიპლომატები რეალობას ადეკვატურად აღიქვამდნენ, ისინი მზად არ არიან ახალი გამოწვევების მისაღებად, განსაკუთრებით, პუტინი-ტრამპის შეხვედრის შემდეგ რაც მოხდება. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და შეძლონ რეალობის აღქმა“.**

# რას უნდა ელოდოს საქართველო ნატოს სამიტისა და ტრამპი-პუტინის შეხვედრისგან

**2018 წლის 8 თებერვალს თბილისში, სასტუმრო „რუმსში“, გაიმართა შეხვედრა, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და კვლევითი ორგანიზაცია Heritage Fundation-ის წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლებას ნატოში შესვლა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შესთავაზეს. ეს ის Heritage Fundation-ია, რომლის ხელმძღვანელი უილიამ ბრაუდერი რუსეთში დაპატიმრებას ძლივს გადაურჩა ქვეყნის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის და მასზე ინტერპოლით საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. შეხვედრას ესწრებოდნენ აშშ-ის ყოფილი ელჩი იან კელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, „ქართული ოცნების“, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ლიდერები.**



შეხვედრამდე ორგანიზაცია **Heritage Fundation**-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის ავტორი **ლუკ კოფი** ამბობს, რომ საქართველოს ნატოში შესვლა შეერთებული შტატების ინტერესებშია. ავტორი გამოვიდა იდეით, რომ საქართველო უნდა გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და განიხილა პირობა, რომლის მიხედვით კოლექტიური თავდაცვის შესახებ ნატოს მეხუთე მუხლი არ გავრცელდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სანამ ეს კონფლიქტები მშვიდობიანად არ მოგვარდება. კოფიმ ასევე თქვა: **„საქართველოს ოფიციალური პირები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ მოხარული იქნებიან, დათანხმდნენ ნატოს წევრობას კომპრომისის საფუძველზე“**. ლუკ კოფი მანამდე წერდა, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კულუარებში სიხარულით აცხადებენ თანხმობას დაკარგული ტერიტორიების გარეშე საქართველოს ნატოში შესვლაზეო, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც. ამერიკაში ვიზიტის დასრულების შემდეგ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა: **„მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც დააჩქარებს ჩვენს შესვლას ნატოში“.**

მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლება სულმოუთქმელად ელოდება ნატოს სამიტს და ეს დღეც მოახლოვდა — ამა წლის 11-12 ივლისს ბრიუსელში ნატოს სამიტი გაიმართება. თუმცა, როგორც გაირკვა, სამიტზე საუბარი არ იქნება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებაზე. ნატოს სამიტის მთავარი თემა კოლექტიური თავდაცვა და იმ საფრთხეების მოგერიებაა, რომელიც უკვე გაუჩნდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს.

ნატოს სამიტის დღის წესრიგი ცნობილია, იქ ხაზგასმული არ არის საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პირველ პირებს მაინც დიდი მოლოდინი აქვთ.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მხარდამჭერი გზავნილების მიღება. ნატოს სამიტზე ჩვენი მოლოდინი არის ოპტიმისტური. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული ნატოსთან თანამშრომლობის პროცესში, არაერთი ინიციატივა ხორციელდება ნატოსთან თანამშრომლობით, რაც, ბუნებრივია, აძლიერებს ჩვენს შესაძლებლობებს და ჩვენ მოთმინებით დაველოდებით თითოეულ იმ ნაბიჯს, რომელიც არის დაკავშირებული ნატოში საქართველოს სრულფასოვან ინტეგრაციასთან. ამ კუთხით ჩვენი პოლიტიკა იქნება თანმიმდევრული და მიზანმიმართული“, — განაცხადა **ირაკლი კობახიძემ**. მას ამის თქმის საშუალებას ნატოს გენერალური მდივნის — **იენს სტოლტენბერგის** განცხადება აძლევს. „საქართველოსა და უკრაინის ქვეყნების წევრობის საკითხს ნატო-ს 29 წევრი ქვეყანა გადაწყვეტს. არავის საქმე არ არის, შეეცადოს ჩაერიოს ამ პროცესში ან რამენაირად ვეტო დაადოს. მიუღებელია, რომ რუსეთი თავისი გავლენის სფეროებს აყალიბებდეს და წყვეტდეს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მისმა მეზობლებმა. ნატომ ადაპტირება უნდა მოახდინოს განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, როდესაც რუსეთი უზარმაზარ ინვესტიციებს დებს თანამედროვე აღჭურვილობაში და სამხედრო ძალის გამოყენება სურს თავისი მეზობლების წინააღმდეგ. ჩვენ ეს საქართველოში ვიხილეთ, ჩვენ დღეს ამას უკრაინაში ვხედავთ“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

**„ჩვენ მხარს გიჭერთ. საქართველოს შემთხვევაში იყო პარტიული ხელმძღვანელობის ცვლილებები, სამთავრობო ცვლილებები, მაგრამ, რაც არ იცვლება, ეს არის საქართველოს ურყევი სურვილი — გახდეს ევროპის ნაწილი და, რა თქმა უნდა, ჩვენ გვსურს, ეს ამბიცია იყოს რეალიზებული“**, — ეს კი კონგრესმენ დევიდ ფრაისის განცხადებაა.

ალსანიშნავია, რომ ნატოს სამიტიდან რამდენიმე დღეში, 16 ივლისს, აშშ-ისა და რუსეთის ლიდერები — დონალდ ტრამპი და ვლადიმერ პუტინი შეხვდებიან ერთმანეთს.

**თუ რას უნდა ელოდოს ჩვენი ქვეყანა ნატოს სამიტისა და ტრამპი-პუტინის შეხვედრიდან, „საქართველო და მსოფლიოს“ თავიანთ თვალსაზრისს ქართველი პოლიტოლოგები უზიარებენ.**



**„ყველაფერი დარჩება მითად... ნატოს სამიტზე საუბრის თემა საქართველო არ იქნება“**

**«არასოდეს მომისმენია დონალდ ტრამპისგან, მაიკ პომპეოსგან, ჯონ ბოლტონისგან არც ერთი განცხადება, რომლითაც თბილისი და კიევი თავს დაიმშვიდებენ და იფიქრებენ, რომ ნატოში გარანტირებული აქვთ ადგილი, პერსპექტივაც კი არ არის ამის. ვისმენთ მადლობებს პარტნიორობაზე, გაწეულ სამსახურზე, შესრულებულ დავალებებზე, მაგრამ რეალური ნაბიჯი არ ჩანს»**

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— სამიტზე არავითარი გარღვევა არ არის მოსალოდნელი, შესაძლოა, განწყობები შეიცვალოს. ევროპელი ლიდერები შიშობენ, რომ ამიერიკის პრეზიდენტის მოთხოვნები გაიზრდება, განმტკიცდება, მაგალითად, ისეთი, როგორიც არის ქვეყნების მთლიანი შიგა პროდუქტიდან ნატოს ბიუჯეტში გადასახადის გადახდის მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს სამიტი ვლადიმერ პუტინისა და დონალდ ტრამპის შეხვედრის წინ გაიმართება, მაინც არ მგონია, რომ ნატოს გაფართოებაზე იყოს საუბარი და საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შეიყვანონ. რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები კი ამ თემაზე ნამდვილად არ ისაუბრებენ. მეტიც, შესაძლოა, ვლადიმერ პუტინმა დონალდ ტრამპს პირობაც კი ჩამოართვას, რომ აღმოსავლეთით არ გაფართოვდეს... **ნატოს სამიტზე საუბრის თემა საქართველო არ იქნება.**

ჩვენს ხელისუფლებას იმედი გაუცრუვდება, რადგან ევროპელი დიპლომატების საშინაო დავალება საქართველოს წახალისებაა, ვითომ მიღწეული წარმატებების გამო ნატოსაკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ ეს არაფრის გარანტია არ არის. **ყველაფერი დარჩება მითად, რომ საქართველო ოდესღაც გახდება ნატოს წევრი...**

**— ქართველი პოლიტიკოსები წლის დასაწყისში ლუკ კოფიმ წააქეზა. მან ისინი დაარწმუნა, რომ მე-5 პუნქტის არამუშავების შემთხვევაში, ჩვენ ნატოს წევრები გავხდებოდით. დღეს ჩვენი დიპლომატები მართლაც არიან იმის მოლოდინში, რომ ამ კუთხით დიდი გარღვევა მოხდება.**

— ნატოში ჩვენს ინტეგრაციას მხოლოდ ვაშინგტონი არ წყვეტს. რეალობა უკვე ისეთია, რომ ჩერნოგორიასაც შეუძლია დაბლოკოს საქართველოს ნატოში შესვლა. ის 29-ე ქვეყანაა და ამის უფლება აქვს.

სიმართლე გითხართ, **არასოდეს მომისმენია დონალდ ტრამპისგან, მაიკ პომპეოსგან, ჯონ ბოლტონისგან არც ერთი განცხადება, რომლითაც თბილისი და კიევი თავს დაიმშვიდებენ და იფიქრებენ, რომ ნატოში გარანტირებული აქვთ ადგილი, პერსპექტივაც კი არ არის ამის. ვისმენთ მადლობებს პარტნიორობაზე, გაწეულ სამსახურზე, შესრულებულ დავალებებზე, მაგრამ რეალური ნაბიჯი არ ჩანს.**

არა მგონია, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ, რომლებსაც ყელში ამოუვიდათ უკანონო ქართველი მიგრანტები და კანონიერი ქურდები, მხარი დაგვიჭირონ ნატოში ინტეგრაციის საქმეში. ისინი თანახმანი არასოდეს იქნებიან.

**— იენს სტოლტენბერგს აქვს იმედი. ის თვლის, რომ შესაძლოა, საქართველო ნატოს წევრი გახდეს...**

**— სამიტზე საქართველოს მადლობას ეტყვიან, რომ ქართველი ჯარისკაცები ავღანეთსა და ერაყში იბრძვიან, შესაძლოა, ამას ფინანსური ან სხვა სახის დახმარებაც მოჰყვეს, მაგრამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის პერსპექტივაზე, რაც ჩვენ გვაინტერესებს, კრინტს არავინ დაძრავს. სტოლტენბერგი იტყვის, რომ მესამე სახელმწიფოს არავინ არაფერს ეკითხება, განსაკუთრებით, თუ ეს სახელმწიფო არ არის ნატოს წევრიო, მაგრამ არც ეს ნიშნავს არაფერს.**

ევროპის საბჭოს თავმჯდომარე **დონალდ ტუსკი** წერს: **„თუ ისეთი მეგობრები გყავთ, როგორიც ამერიკაა, მაშინ მტრებს რაღა უნდა მოსთხოვოთ?!“ დღეს ევროპაში ძალიან სერიოზულად არიან გაღიზიანებული დონალდ ტრამპზე.**

ამერიკის პრეზიდენტს თითქმის მუხლებზე დაჩოქილი ემუდარებოდა მისი გარემოცვა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისთვის ხელახალი გაპრეზიდენტება არ მიელოცა, მაგრამ ტრამპმა მაინც მიულოცა. ასეთივე სიტუაციაა დღესაც: მთელი **ევრობიუროკრატია გაოცებული და შეშფოთებულია ამერიკის პრეზიდენტის საქციელით, განსაკუთრებით, კანადაში გამართული დიდი შვიდეულის სამიტის შემდეგ.**

ტრამპს სურს, კარგი გარიგება გამოუვიდეს რუსეთის პრეზიდენტთან და ამისთვის ყველაფერს აკეთებს, მაგრამ, ამერიკის ახალი კანონმდებლობით, ტრამპს უფლება არ აქვს, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღოს სანქციების საკითხზე.

**ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნატოს ანაქრონიზმად მოიხსენიებს. ნატოს ამერიკელები ინახავენ და სწორედ ამიტომ მოითხოვს ტრამპი, რომ გადასახადი გადაიხადონ — მთლ-** ►

**«საზღვრის ყოველი გადმოწევა არის რუსეთის პასუხი ევროპის, ევროსაბჭოს, ევროკავშირის რეზოლუციებსა და სანქციებზე. რუსეთი ყველაფერს აკეთებს ქართველი საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ევროპის იმედზე ყოფნა არაფრის მომცემია, რომ უცხოელ «მეგობრებს», მხოლოდ რეზოლუციების წერა შეუძლიათ, მაგრამ ჩვენ ეს ვერ გავიგეთ»**

# „ამ ორი ზესახელმწიფოს ლიდერების შეხვედრის შემდეგ მსოფლიო სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგება, რაც ჩვენთვის, პატარა ქვეყნისთვის დიდი გაკვეთილი იქნება. იქნებ მერე მაინც მიხვდეს ხელისუფლება, რა აქვს გასაკეთებელი; იქნებ მიხვდეს, რომ მხოლოდ განცხადებები საკმარისი არ არის“.

ჩაკუჩი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀იანი შიდა პროდუქტის ორი პროცენტი, რასაც ნატოში შემავალი ქვეყნები ვერასოდეს შეძლებენ, მაგალითად, ჩერნოგორია ამ თანხას ვერასოდეს გადაიხდის.**

მოკლედ, დიდი არეულობაა ევროპაში და ამ მხრივ გარღვევა არ იქნება.

რუსეთსა და ამერიკას ერთმანეთთან ასეთი ცუდი ურთიერთობა, დიდი ხანია, არ ჰქონიათ და ეს შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ დასაფიქრებელია ის, ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის კლიმატის დათბობას რა მოჰყვება, განსაკუთრებით — ჩვენი მისამართით.

**დიდი როლი ეკისრება ქართულ დიპლომატიას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ვერ ვხედავ, რომ ქართველი დიპლომატები რეალობას ადეკვატურად აღიქვამდნენ, ისინი მზად არ არიან ახალი გამოწვევების მისაღებად, განსაკუთრებით, პუტინი-ტრამპის შეხვედრის შემდეგ რაც მოხდება. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და შეძლონ რეალობის აღქმა.**

— **2008 წლის აგვისტოს ომის ათ წლისთავზე ევროპელებმა გამოსცეს რეზოლუცია, რომელზეც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს: დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს მსგავსი რეზოლუციაო, მაგრამ რეზოლუციას რუსეთის მხრიდან საზღვრის გადმოწევა რომ მოჰყვა, ამაზე არაფერი უთქვამთ... რეზოლუციები თუ ასეთი მნიშვნელოვანია და სასიკეთო, ტერიტორიებს რატომ ვკარგავთ?!**

— **საზღვრის ყოველი გადმოწევა არის რუსეთის პასუხი ევროპის, ევროსაბჭოს, ევროკავშირის რეზოლუციებსა და სანქციებზე. რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქართველი საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, რომ ევროპის იმედზე ყოფნა არაფრის მომცემია, რომ უცხოელ მეგობრებს, მხოლოდ რეზოლუციების წერა შეუძლიათ, მაგრამ ჩვენ ეს ვერ გავიგეთ.**

საქმე ის არის, რომ ჩვენ თავს ძალად ვიბრიყვებთ. ჩვენმა პოლიტიკოსებმა კარგად იციან ევროსაბჭოსა და ევროკავშირის რეზოლუციების ფასი, მაგრამ, როდესაც ყოფილი მინისტრი, **ჯანელიძე,** გამოვიდა და თქვა: მსგავსი რეზოლუცია „კაცობრიობას“ არ უნახავსო, მან ამით თავისი ხელფასი გაამართლა. გამოდის მინისტრის მოადგილე **ზანკალიანი** და ამბობს, რომ „ტატუნაშვილის სია“ თუ რაღაც მსოფლიოს გავაცანითო, ძალიან კარგად იცის, რომ შედეგი ნული იქნება, მაგრამ რა ჰქნას?! თანამდებობა აქვს. ჩვენი დიპლომატები რიგით მოხელეებად იქცნენ.

**— და მაინც, რას ელოდებით პუტინი-ტრამპის შეხვედრისგან?**

— ევროპასა და ამერიკას შორის სავაჭრო ომი არ უნდა დაიწყოს, რომელიც პოლიტიკური ურთიერთობის გაფუჭებაში გადაიზრდება, ამას კი რა მოჰყვება, არავინ იცის. მოკლედ, **ამ ორი ზესახელმწიფოს ლიდერების შეხვედრის შემდეგ მსოფლიო სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგება, რაც ჩვენთვის, პატარა ქვეყნისთვის, დიდი გაკვეთილი იქნება. იქნებ მერე მაინც მიხვდეს ხელისუფლება, რა აქვს გასაკეთებელი; იქნებ მიხვდეს, რომ მხოლოდ განცხადებები საკმარისი არ არის.**



## „თუ საქართველოს ნატოში მიიღებენ, ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით“

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლექტორი, პროფესორი:**

— ევროპასა და ამერიკას შორის დაძაბული ურთიერთობაა, სავაჭრო ომი აქვთ და პოლიტიკურ ჩიხშიც შევიდნენ. **დონალდ ტრამპმა რადიკალურად შეცვალა თავისი პოზიცია და უკვე დემონსტრაციულად აღიარებს, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობა სურს. ტრამპმა უპრეცენდენტო რამ ჩაიდინა კანადაში გამართულ დიდი შვიდეულის სამიტზე, როდესაც კომუნიკეს ხელი არ მოაწერა.**

ამერიკის პრეზიდენტს რთული ურთიერთობა აქვს გაერთიანებული სამეფოს პრემიერმინისტრ **ტერეზა მეისთან**, აკრიტიკებს გერმანიის კანცლერს; ტრამპს მიაჩნია, რომ **ანგელა მერკელი** მიგრანტების ევროპაში შეშვებით საქმეს აფუჭებს.

**დონალდ ტრამპისთვის რუსეთი მიმზიდველი პარტნიორია.** რუსეთი ეკონომიკურად ძალიან ძლიერი არ არის, ის სამხედრო თვალსაზრისით არის ძლიერი ქვეყანა, ამიტომ რუსეთზე იქნება დიდი მოთხოვნა, როგორც ევროპის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. გარდა ამისა, ამერიკელებს ხელს არ აძლევთ ჩინეთისა და რუსეთის მჭიდრო ურთიერთობა, თუმცა რუსეთისთვის ჩინეთთან ურთიერთობა უფრო ადვილია, რადგან არ აკრიტიკებს და არ უყენებს მოთხოვნებს, რომლებსაც დასავლეთი. ვგულისხმობ, გეებისა და ლესბოსელების დაცვას, არ ესაუბრება ყირიმის პრობლემაზე...



**«მსოფლიო ახალი წესრიგის შექმნის პროცესშია. საქართველომ ამას ალღო უნდა აუღოს; რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს, გვინდა — არ გვინდა, ის ჩვენი მეზობელია. რაც შეეხება დასავლეთს, მას საკუთარი პრობლემები აქვს, საკუთარი ხედვები პოლიტიკაში. სიტყვით კი გვიჭერენ მხარს, მაგრამ სინამდვილეში არის კი საქართველოს კეთილდღეობა მათი ზრუნვის საგანი?»**

ტრამპი და პუტინი ისაუბრებენ სირიასა და უკრაინაზე. დეკლარირებული არ არის, მაგრამ ისაუბრებენ, ალბათ, კავკასიაზეც. საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზაა და გვერდს ვერ აუვლიან.

არ მესმის ქართველების გადამეტებული მოლოდინის...

**— თქვენი სიტყვების მოსმენა ნამდვილად არ მოეწონებათ ქართველ დიპლომატებს, რადგან ამ წლის დასაწყისიდანვე დიდი იმედი აქვთ ამ სამიტის, ისინი იმედოვნებენ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კუთხით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგმება — მაპს მივიღებთ...**

— რუსეთი არ დათმობს კავკასიის რეგიონს. არა მგონია, ეს მოხდეს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ საქართველო კიდევ ერთხელ ჩაიყენებს თავს ცუდ მდგომარეობაში.

**— რას ნიშნავს, ცუდ მდგომარეობაში ჩაიყენებს თავს?**

— საფრთხეს ნიშნავს. თუ საქართველოს ნატოში მიიღებენ, ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. 2008 წელს რუსებმა ჩვენი ტერიტორიები იმიტომ დაიკავეს, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო მათთვის და თავიანთი ბაზები განალაგეს.

**არ მგონია, რომ დასავლეთის ქვეყნები დათანხმდნენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციას, რადგან მოსალოდნელ საფრთხეს ძალიან კარგად ხედავენ და გრძნობენ. საქართველოს ნატოში მიღებაზე საუბარი ევროპის ქვეყნებს დიპლომატიური ვაჭრობის პროცესში სჭირდებათ. ისინი ცდილობენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, მათ შორის საქართველოს ხარჯზეც. ტრამპი-პუტინის შეხვედრას მოუთმენლად ელიან.**

განსაკუთრებით დაბნეულები არიან ევროპელები, რადგან ამერიკის პრეზიდენტის განცხადებები მათ შეშფოთებას იწვევს. გახსოვთ, ალბათ, ტრამპმა ყირიმზე რომ თქვა: „ყირიმი რუსეთის ტერიტორიაა.“

**რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც საჭიროა, ანგარიში გაუწიო.**

**— ევროპელები ჩვენს პოლიტიკოსებს არწმუნებენ, რომ ვალდებულები არ არიან, ანგარიში გაუწიონ რუსეთს...**

— სტოლტენბერგმა რაც უნდა გითხრას, მოგვეთხოვება, რომ ჭკუა იქონიო. პოლიტიკაში უნივერსალური წესია: რაღაც ნაბიჯს რომ დგამ, უნდა გაითვალისწინო მოსალოდნელი საფრთხეები და საკუთარი თავი და ქვეყანა იმ ქვეყნების ადგილას დააყენო; იფიქრო, მოცემულ სიტუაციაში, ვინ როგორ რეაქციას მოახდენს, ამ შემთხვევაში, ყველამ რუსეთი უნდა წარმოიდგინოს. არა მგონია, **რუსეთმა, პუტინმა კავკასია დათმოს.**

თვით ნატოს აქვს სერიოზული პრობლემები. ტრამპი ნატოს წევრ სახელმწიფოებს მთლიანი შიდა პროდუქტიდან 2 პროცენტის გადახდას სთხოვს ნატოს ბიუჯეტში, რასაც უსიამოვნებები მოჰყვა.

**— ამ სამიტის შემდეგ, თუკი ჩვენი პოლიტიკოსების მოლოდინი მართლაც არ გამართლდა, როგორ ფიქრობთ, რა გზას უნდა დაადგნენ? კვლავ განაგრძონ ნატოსკენ სწრაფვა?**

— მსოფლიო ახალი წესრიგის შექმნის პროცესშია. საქართველომ ამას ალღო უნდა აუღოს. ხელისუფლებაში რა ხდება, არ ვიცი. ვხედავ, რომ სააკაშვილის პერიოდში რაც იყო, ისეთი კატაკლიზმები არ ხდება.

**— ნატოს სამიტის ან პუტინი-ტრამპის შეხვედრის შემდეგ რამე უარესობას თუ ელოდებით ჩვენი ქვეყნის მისამართით?**

— გააჩნია, უარესობას რას უწოდებთ...

**— ჩვენი ხელისუფლებისთვის უარესობა იქნება, საბოლოოდ ნატოს წევრობის იმედი თუ გადაეწურება.**

— საქართველომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს, გვინდა — არ გვინდა, ის ჩვენი მეზობელია. რაც შეეხება დასავლეთს, მას საკუთარი პრობლემები აქვს, საკუთარი ხედვები პოლიტიკაში. სიტყვით კი გვიჭერენ მხარს, მაგრამ სინამდვილეში არის კი საქართველოს კეთილდღეობა მათი ზრუნვის საგანი? ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ საკუთარ თავს.

არ შეიძლება ქვეყანამ რადიკალური ნაბიჯები გადადგას და თავისი მდგომარეობა გაიუარესოს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ამიტომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პულსზე უნდა გვედოს ხელი და ისე ვიქცეოდეთ, როგორც საჭიროა, როგორც უკეთესია.

ხელისუფლებას ურჩევნია, საშინაო პრობლემებს მიხედოს. ცუდი მდგომარეობა გვაქვს დემოგრაფიული თვალსაზრისით, ეკონომიკურით და სხვ. მსოფიოში ყველგან ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ შესაძლებელია, გამოსავალი ქვეყანამ თავისით გამოძებნოს და თავიდან აირიდოს უცხო ქვეყნის გავლენა. სამწუხაროდ, ჩვენი საშინაო პრობლემები გადაბმულია საგარეო პრობლემებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკაში ვერ აკეთებენ საქმეს ისე, რომ შიგნით არ აერიოთ, საშინაო პრობლემები კიდევ იმისთვის უნდა მოაგვარო, რომ საგარეო საქმე წარმატებით აწარმოო. ეს ერთმანეთზე მიბმული პროცესებია, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას ეს არ ესმის. ვისურვებდი, მეტი გონიერებით მოეკიდონ საქმეს და ქვეყნისთვის სასიკეთოდ იაზროვნონ.

**«არ მგონია, რომ დასავლეთის ქვეყნები დათანხმდნენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციას... საქართველოს ნატოში მიღებაზე საუბარი ევროპის ქვეყნებს დიპლომატიური ვაჭრობის პროცესში სჭირდებათ. ისინი ცდილობენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, მათ შორის საქართველოს ხარჯზეც»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ევროპელთა რეკომენდაციები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეალურად ეს მართლაც ევროსაბჭოს რეკომენდაციებია. იქ მართლაც დგას პრობლემად ზოოფილია, ჯანმრთელი ცხოველების პრობლემა და ის, რომ ცხოველებს ადამიანებზე არანაკლები ყურადღება ეთმობა ევროპაში, ეგეც ფაქტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერმანიაში ზოოპარკის შესანახად სახელმწიფო წელიწადში 260 მილიონ ევროს ხარჯავს და ამდენი საქართველოში სოციალურ პროგრამებში არ იხარჯება. ჰოდა, ევროპელები გვთავაზობენ, ევროპულ რელსებზე გადავიდეთ, ოღონდ ადამიანებით კი არ იწყებენ, ცხოველებს მიადგნენ და იმათ „უფლებებს“ იცავენ.**

# აბორტგაკეთებული ცხოველები, პრეზერვატივიანი ბულები, მჯდომარე მდგომარეობაში დამარხული მიცვალებულები...

# ადგილობრივი თვითმმართველობები და ევროსაბჭოს რეკომენდაციები



**ცენტრალურ ხელისუფლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე რეგიონებში საოცარი ამბები ხდება. პირველი, რაც თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ახლადმოსულმა გამგებლებმა და მერებმა გააკეთეს, ხელფასების მომატებაა. აბსოლუტურად ყველა (ვიმეორებთ, ყველა!) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა თუ მერს ხელფასი სულ ცოტა გაუორმაგდა და ყველაზე ცუდ შემთხვევაში ისინი ყოველთვიურად 3 500 ლარს იღებენ. თავი კი ასე იმართლეს: ბევრს ვმუშაობთ და გვეკუთვნის, რაც მთავარია, კანონის ფარგლებს არ ვცდებითო. ევროპაში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე დადიან და შემდეგ ისეთი სახეებით ბრუნდებიან მუნიციპალიტეტებში, თითქოს მსოფლიო დონის საიდუმლო ჩამოიტანეს და მისი გამხელის ეშინიათ. მერე ევროსაბჭოს რეკომენდაციებით იღებენ გადაწყვეტილებებს და დოკუმენტაციასაც დებენ — აგერ, იმათ გვირჩიეს და უარი როგორ გვეთქვაო?!**

ჰოდა, ცოტა ხნის წინათ სწორედ **ევროსაბჭოს რეკომენდაციით ზუგდიდის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიცვალებულის მჯდომარე მდგომარეობაში დამარხვას ითვალისწინებს.** ამაზე ბევრი ითქვა და ჩვენ მხოლოდ ერთს დავამატებთ: როცა ხმაური ატყდა — აქაოდა, რა მჯდომარე მდგომარეობაო, საკრებულოს თავმჯდომარემ რიგით მოკვდავთ განგვიმარტა, რომ თურმე უპატრონო ადამიანები ზამთარში იყინებიან და როგორ ფორმაშიც იყინებიან, იმ მდგომარეობაში უწევთ მათი დამარხვა და, კანონი რომ არ დაარღვიონ, ამიტომ მიიღეს ეს წესი.

ჯერ ერთი, **რაღაც არ მახსოვს კანონი, რომელშიც წერია, რომ ადამიანი მხოლოდ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უნდა დაიმარხოს და მეორეც — ზუგდიდის საკრებულომ იმაზე რომ იფიქროს, უპატრონო ადამიანებს თავშესაფარი აუშენოს, რათა ქუჩაში უპატრონოდ არ გაიყინონ, უმჯობესი იქნება და სისულელეებზეც ნაკლები დროის დაკარგვა მოუწევთ.**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ასევე ევროსაბჭოს რეკომენდაციით, ღორის სპერმა რომ იყიდეს და მოსახლეობაში შპრიცებით დადიოდნენ: ღორის ჯიში უნდა გამოვასწოროთო. საბოლოოდ, სპერმა დამპალი აღმოჩნდა და პროექტიც ჩავარდა. ისე, ფულიან სახელმწიფო მოხელეებზე, ღორსა და დამპალ სპერმაზე **ნოდარ დუმბაძის** „თეთრი ბაირაღებიდან“ ეს დიალოგი რომ არ გავიხსენო, არ შეიძლება, რადგან დღევანდელობას სიმბოლურად ასახავს, ლიმონა რომ შოშიას ცხოვრებისეულ არსს უხსნის...

**„შენს საქმეში გასულ გვარამაძეს ერთი მილიონი მანეთი ფული მიწაში უპოვეს, ხის ძირში დამარხული. რატომ? იმიტომ, რომ დამპალი თესლის ნაყოფია! შენც ეგრე ხარ, ალბათ! შენც გაქ, ალბათ, დამარხული სადმე ფული. მერე მოკვდები, შენი შვილები ვერასოდეს ვერ იპოვნიან, მოვლენ და შიგ საფლავში ჩაგაფურთხებენ!**

**— რატომ, კაცო, რატომ?**

**— იმიტომ, რომ შენც დამპალი თესლის ნაყოფი ხარ! ფულს მიწაში რა უნდა?! ან ნათესავი არ გყავდა გაჭირვებული, ან მათხოვარი არ შეგხვედრია ქუჩაში? ფულს მიწაში როგორ მარხავთ, თქვენი პარაზიტი დედა ვატირე! მერე მოდიხარ და მე მედრები! შენ რა იცი თავისუფლების ფასი! შენ გარეთ რა გინდა? აქ უნდა მოკვდე, ფანჯარასთან, მესერში გაკვეხებული ღორივით!“**

სწორედ ევროსაბჭოს რეკომენდაციით, წყალტუბოს საკრებულომ ცხოველებთან მოპყრობის დადადგენილება მიიღო, რომელიც მიმდინარე წლის 25 მაისით არის დათარიღებული. ცხოველებთან ზოოფილური აქტები, ყურების, ყბის ძვლის, ბიბილოს, ნისკარტის, კუდის, ხმის სიმების, კლანჭების, ფრთების, ჩლიქების მოცილება, ბუმბულის მოგლეჯა და „მენტალური ტანჯვა“ — ეს ცხოველებთან მოპყრობის არასრული ჩამონათვალია, რომელიც საკრებულ-

**ევროსაბჭოს რეკომენდაციით ზუგდიდის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიცვალებულის მჯდომარე მდგომარეობაში დამარხვას ითვალისწინებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ასევე ევროსაბჭოს რეკომენდაციით, ღორის სპერმა იყიდეს და მოსახლეობაში შპრიცებით დადიოდნენ: ღორის ჯიში უნდა გამოვასწოროთო. წყალტუბოში, ფოთსა და ხაშურში 2 წლამდე და 6 წელს ზემოთ შინაურ ცხოველებს გამრავლება, ანუ შეჯვარება ეკრძალებათ**

ომ დადგენილებით განსაზღვრა. იმავე დადგენილების მიხედვით, იკრძალება პატრონის მიერ ცხოველის მიტოვება, ასევე მისი რეკლამაში, კინოგადაღებასა და ფოტოგრაფიაში გამოყენება.

როგორია?! სავარაუდოდ, ევროსაბჭოსა და წყალტუბოს საკრებულოს არავინ აუხსნა ის, რომ, მაგალითად, ბატებს წელიწადში ერთხელ ბუმბულს აგლეჯენ და ბალიშებს კერავენ; არავინ აუხსნა, რომ ცხენს ჩლიქებზე ნალების დასაკრავად ჩლიქის ქვედა მხარეს დანით აჭრიან, ასწორებენ, ნალი რომ სწორად დააჭედონ.

ყველაზე საინტერესო გადაწყვეტილება მაინც ფოთის, ხაშურისა და იმავე წყალტუბოს მუნიციპალიტეტებმა მიიღეს. **მათი გადაწყვეტილებით, 2 წლამდე და 6 წელს ზემოთ შინაურ ცხოველებს გამრავლება, ანუ შეჯვარება ეკრძალებათ.** წესითა და რიგით, მუნიციპალიტეტის პირველ პირს სოფლის მეურნეობაში მინიმალური განათლება მაინც უნდა ჰქონდეს და უნდა იცოდეს, რომ, მაგალითად, ძროხა გამრავლებას 2 წლიდან იწყებს, წელიწადში ერთ ნაშიერს იძლევა და ხშირად 10-ზე მეტ ხბოს აჩენს. ამ დადგენილების მიხედვით კი, ძროხას მხოლოდ 4 ხბოს გაჩენის შესაძლებლობა ექნება. მერე, რაოდენ ჯიშიანიც უნდა იყოს, უნდა დაიკლას, იმიტომ, რომ 2 წლისა დამაკდება, 6 წლისა კი უნდა დაკლა. სხვაგვარად კანონი ირღვევა.

**ადგილობრივი ხელისუფალნიც ცხოველებზე აკეთებენ აქცენტს, თორემ ადამიანებზე რომ იზრუნონ, შემდეგ გაზრდილ ხელფასებს ვეღარ აიღებენ, ბიუჯეტი აღარ ეყოფათ, ის ბიუჯეტი, რომლის 70 პროცენტი სწორედ მათ ხელფასებზე მიდის**

ეს ძროხებზე, თორემ მაწანწალა ძაღლები და კატები ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაარღვევენ კანონს. წარმოიდგინეთ, 6 წლის ძუკნა ძაღლს მთელი მუნიციპალიტეტის ხვადები რომ აედევნებიან და თავისივე დადგენილების შესასრულებლად მერიის თანამრომელი მინიმუმ ძაღლის პრეზერვატივით და მაქსიმუმ დამჭერი ბადით რომ ირბენს საკუთარ ქალაქში კანონის უზენაესობის დასაცავად.

სიმართლე გითხრათ, თავიდან გვეგონა, რომ მუნიციპალიტეტების პირველი პირები მართლა საკუთარი ინიციატივით იღებდნენ ასეთ გადაწყვეტილებებს, მაგრამ **რეალურად ეს მართლაც ევროსაბჭოს რეკომენდაციებია. იქ მართლაც დგას პრობლემად ზოოფილია, ჯანმრთელი ცხოველების პრობლემა და ის, რომ ცხოველებს ადამიანებზე არანაკლები ყურადღება ეთმობა ევროპაში, ეგეც ფაქტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერმანიაში ზოოპარკის შესანახად სახელმწიფო წელიწადში 260 მილიონ ევროს ხარჯავს და ამდენი საქართველოში სოციალურ პროგრამებში არ იხარჯება. ჰოდა, ევროპელები გვთავაზობენ, ევროპულ რელსებზე გადავიდეთ, ოღონდ ადამიანებზე კი არა, ცხოველებზე ვიზრუნოთ და მათი „უფლებები“ დავიცვათ.**

მაწანწალა ძაღლების რაოდენობა საქართველოში თავშესაფრის არმქონე, ბოდიში და, მაწანწალა ადამიანების რაოდენობაზე მეტი არაა და ცხოველების მოვლა უფრო იაფი ჯდება, მაინც ცხოველია. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფალნიც ცხოველებზე აკეთებენ აქცენტს, თორემ ადამიანებზე რომ იზრუნონ, შემდეგ გაზრდილ ხელფასებს ვეღარ აიღებენ, ბიუჯეტი აღარ ეყოფათ, ის ბიუჯეტი, რომლის 70 პროცენტი სწორედ მათ ხელფასებზე მიდის.

და რას მივიღებთ ბოლოს? — იმას, რომ საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროსაბჭოს წარმომადგენლებს ვანახვებთ აბორტგაკეთებულ ცხოველებს, პრეზერვატივიან ბულებს, მჯდომარე მდგომარეობაში დამარხულ მიცვალებულებს და მერე დავიძმობილებთ რომელიმე ევროპულ ქალაქს, რათა იმ ქალაქის დღეობაზე, მუნიციპალიტეტების პირველი პირები საგანგებოდ წავიდნენ, საპატიო სტუმრების ლოჟაში მოკალათდნენ და... იქიდან ჩამოსულები ისევ სერიოზული სახეებით მიიღებენ ახალ კანონებს, რომელთა შესრულება მშიერ მოსახლეობას მოუწევს. ვინც არ შეასრულებს, მას სოლიდურ ჯარიმას დააკისრებენ — პურის ფულს ამოუღებენ ჯიბიდან და ბიუჯეტში შეიტანენ, რათა შემდეგ ისევ ხელფასები მოიმატონ და ისედაც გასქელებული ჯიბე კიდევ უფრო გაისქელონ. ბოლოს კი „მესერში გაკვეხებული ღორივით“ აღმოხდებათ სული, შვილები კი „შიგ საფლავში ჩააფურთხებენ“, რატომ უფრო მეტი არ დაუტოვა ნაწვალებმა მამამ.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.** **გოგი წულაიამ საკრებულოებს მახათები გაუგზავნა, აქაოდა, დანიშნულებისამებრ გამოიყენეთო.**

**საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს ამბავი მაშინვე მკაცრად გააპროტესტა და გააკრიტიკა: რას გვატყუებთ? „პრემიას“ დაარქმევთ, „დანამატს“ თუ „მაიტა, მომეცის“, რა მნიშვნელობა აქვს? სახელი შეიძლება იცვლება, მაგრამ შინაარსი ხომ იგივე რჩება? სახელმწიფო მოხელეები ისედაც მაღალ და არამ ხელფასზე დამატებით იღებენ თანხას და მას რა ერქმევა, რა მნიშვნელობა აქვს?! მიუხედავად ამ შიშველი ჭეშმარიტებისა, „ოცნების“ საპარლამენტო დეპუტატებმაც და სხვა მაღალი თანამდებობის პირებმაც ისევ მშვიდად და უნამუსოდ განაგრძეს სატელევიზიო შოუებში ლაპარაკი, რომ „ოცნება“ საქართველოში პირველი ხელისუფლებაა, რომელმაც უარი თქვა პრემიებზე.**



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯერ კიდევ 2014 წელს, ანუ ხელისუფლებაში მოსვლიდან, სულ რაღაც, წელიწად-ნახევარში, „ოცნების“ მთავრობამ პრემიას „დანამატი“ რომ დაარქვა და მერე ტრაბახი დაიწყო: ნახეთ,რა კარგი მთავრობა ვართ, პრემიებს არ ვიღებთო, მაშინვე კოჭებში ეტყობოდა ივანიშვილის ხელისუფლებას, რომ ნამუსთან ისიც ზუსტად ისევე იყო მწყრალად, როგორც მათი წინამორბედი.**

# «მცირე მთავრობის» დიდი აფერა



**«მცირე მთავრობა» — ეს ის ულტრათანამედროვე ნოუ-ჰაუა, რომელსაც «ოცნება» ქართველ საზოგადოებას «დაბოლების» ახალ ეტაპზე სთავაზობს. თურმე ჩვენი ქვეყნის წარუმატებლობა, ეკონომიკური სტაგნაცია და მატერიალური სიდუხჭირე იმის ბრალი ყოფილა, რომ აქამდე «დიდი მთავრობა» გვყავდა. ახლა, როდესაც «მცირე მთავრობა» გვეყოლება, იბერიის გაბრწყინებას უკვე აღარაფერი დააკლდება და ყველანი ბედნიერი ვიქნებით**

საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს ამბავი მაშინვე მკაცრად გააპროტესტა და გააკრიტიკა: რას გვატყუებთ? „პრემიას“ დაარქმევთ, „დანამატს“ თუ „მაიტა, მომეცის“, რა მნიშვნელობა აქვს? სახელი შეიძლება იცვლება, მაგრამ შინაარსი ხომ იგივე რჩება?! სახელმწიფო მოხელეები ისედაც მაღალ და არამ ხელფასზე დამატებით იღებენ თანხას და ამ თანხას რა ერქმევა, რა მნიშვნელობა აქვს?! მიუხედავად ამ შიშველი ჭეშმარიტებისა, „ოცნების“ საპარლამენტო დეპუტატებმაც და სხვა მაღალი თანამდებობის პირებმაც ისევ მშვიდად და უნამუსოდ განაგრძეს სატელევიზიო შოუებში ლაპარაკი, რომ „ოცნება“ საქართველოში პირველი ხელისუფლებაა, რომელმაც უარი თქვა პრემიებზე.

უტიფრობის ასეთი უიშვიათესი უნარის მიუხედვად, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოს „საოცნებო“ ხელისუფლების შუბლძარღვწყვეტა იქამდე მივიდოდა, სადამდეც დღეს არის მისული...

„მცირე მთავრობა“ — ეს ის ულტრათანამედროვე ნოუ-ჰაუა, რომელსაც „ოცნება“ ქართველ საზოგადოებას „დაბოლების“ ახალ ეტაპზე სთავაზობს. თურმე ჩვენი ქვეყნის წარუმატებლობა, ეკონომიკური სტაგნაცია და მატერიალური სიდუხჭირე იმის ბრალი ყოფილა, რომ აქამდე „დიდი მთავრობა“ გვყავდა. ახლა, როდესაც „მცირე მთავრობა“ გვეყოლება, იბერიის გაბრწყინებას უკვე აღარაფერი დააკლდება და ყველანი ბედნიერი ვიქნებით. ისე, აქამდე გადამდგარ არც ერთ პრემიერ-მინისტრს არ უთქვამს, რომ მისი პრემიერობისას ქვეყანაში რამე ცუდი ხდებოდა. **ირაკლი ღარიბაშვილიც** და **გიორგი კვირიკაშვილიც** მხოლოდ და მხოლოდ მათი პრემიერობის პერიოდში ქვეყანაში მომხდარ სასიკეთო ძვრებზე საუბრობდნენ და თავიანთ გადადგომას არა რაიმე წარუმატებლობას, არამედ „ახალი სისხლის საჭიროებას“ მიაწერდნენ... აღარაფერს ვამბობთ ბიძინა ივანიშვილზე, რომლის გადადგომაც წელიწად-ნახევრით ადრე იყო დაანონსებული.

მიუხედავად ამისა, ყოველი მომდევნო პრემიერი ქვეყნის სტაგნაციიდან გამოყვანას და მატერიალური სიდუხჭირის დაძლევას გვპირდება და, რაც მთავარია, საამისოდ სრულიად ექსტრაორდინარულ სვლებს გვთავაზობენ ხოლმე.

მაგალითად, ფრიად საინტერესო იყო კვირიკაშვილის აღზევების „საფანელი“, რომლითაც იგი ერთგვარი ტრიუმფითა და ფანების ჯგროს თანხლებით მოვიდა ქვეყნის პირველ პირად. ეს „საფანელი“ გახლდათ **„გაწონასწორებული პრემიერი“**.

ყველას გემახსოვრებათ, როგორი აღტაცებითა და ქებით მოიხსენიებდა კვირიკაშვილს „ოცნების“ მეხოტბეთა დიდი ჯგუფი სოციალურ ქსელებში, როგორც დინჯ, გაწონასწორებულ, მშვიდ ადამიანს. **„საქართველოს ახლა სწორედ ასეთი პრემიერ-მინისტრი სჭირდება“, „ძლივს არ ველირსეთ გაწონასწორებულ, დალაგებულ ადამიანს ქვეყნის სათავეში?!“**

როგორც ხდება ხოლმე, ფაქტია, რომ ეს „შტაბიდან დავალებული“ ფრაზები იყო და ფართოდ ვრცელდებოდა ქართველ საზოგადოებაში.

სხვათა შორის, დაკვირვებული ადამიანი აუცილებლად შენიშნავდა, რომ კვირიკაშვილის ამ მიმართულებით ქებადიდება, ფაქტობრივად, მისი წინამორბედის, ირაკლი ღარიბაშვილის, ლანძღვას ნიშნავდა — რომ ღარიბაშვილიც სააკაშვილის „გზას გაუყენეს“ და ფრაზა — „კვირიკაშვილის მსგავსი გაწონასწორებული და მშვიდი მთავრობის მეთაური საქართველოს ჯერ არასოდეს ღირსებია“, **ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა** და **მიხეილ სააკაშვილის** გარდა, „ოცნების“ ლიდერების — **ბიძინა ივანიშვილისა** და **ირაკლი ღარიბაშვილის** „გიჟად და გადარეულად“ გამოცხადებასაც ნიშნავდა, მაგრამ, როდესაც თითქმის გაფარჩაკებამდე მისულ მმართველ ძალას პოლიტიკური დივიდენდები ძალიან სჭირდება, ასეთ „წვრილმანებს“ ვინღა დაგიდევს?!

მთავარია, როდესაც ყავლი გაუვა მანამდე აქტიურ თაღლითურ პოლიტიკურ ტრენდს, ახალი, შედარებით ეფექტიანი მოიგონონ და გარკვეულ პერიოდს ამ ახალი ტრენდით ასაზრდოონ ხალხი. მაგალითად, როდესაც „ჩვენ პრემიას არ ვიღებთ“-სა და „გაწონასწორებული პრემიერი კარგია“-ს ყავლი გაუვიდა, მალევე შემოაგდეს **„უდაცვო პრემიერის“** თემა. გახსოვთ, ალბათ, კვირიკაშვილი რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან შესახვედრად „დაცვის გარეშე“ მივიდა. „ჩემი პრემიერი! სწორედ ასეთი წარმომედგინა, ჩემი ქვეყნის პირველი კაცი! სრულიად მარტო, დაცვის გარეშე, იდგა უნივერსიტეტთან მიწისქვეშა გადასასვლელში და სტუდენტებს ესაუბრებოდა!“ — წერდა ერთ-ერთი აღფრთოვანებული ხბო სოციალურ ქსელში. ასეთივე ხბოები ხმაშეწყობილად შეჰბღაოდნენ „უდაცვო პრემიერს“ ხოტბას და იდგა ერთი ჟრიამული: აი, ახლა კი ნამდვილად გაბრწყინდება ივერია, რადგან ჩვენი პრემიერი დაცვის გარეშე დადისო.

არადა, ჯერ ერთი, სრული სისულელეა იმის დაჯერება, რომ გიორგი კვირიკაშვილი ოდესმე სადმე უდაცვოდ მივიდა. ეს ჩვეულებრივი, ძალიან დაბალი დონის პიარსვლა იყო და მის შორიახლოს დაცვის თანამშრომლები მაინც ტრიალებდნენ; მეორეც — ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირის სადმე უდაცვოდ სიარული არის არა დადებითი და აღსაფრთოვანებელი მოვლენა, არამედ უპასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და საფრთხის შექმნა იმ ადამინებისთვისაც, რომლებთანაც იგი უდაცვოდ მივიდა.

როგორ ფიქრობთ, რომელიმე ტერორისტს რომ შეეტყო, პრემიერი აქა და აქ, ამა და ამ დროს დაცვის გარეშე იქნებაო და თუნდაც მცირე სიმძლავრის ასაფეთქებელი მოწყობილობა აემოქმედებინა, მხოლოდ პრემიერის სიცოცხლეს შეექმნებოდა საფრთხე? იქ მყოფ სხვა ადამიანებს, იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი სტუდნეტებს, არაფერი დაემართებოდათ? წესით, ჩამოყალიბებულმა, ნორმალურმა საზოგადოებამ კი უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები დაცვით დადიან თუ დაცვის გარეშე, ამას ისინი პიროვნულად არ წყვეტენ! ეს შესაბამისი ნორმატიული აქტებით მკაცრად განსაზღვრული პროცედურაა და მისი დარღვევის უფლება ყველაზე ფართო უფლებების მქონე პრეზიდენტებსაც არ აქვთ. თუკი ეს საჭიროებად ჩაითვლება, ქვეყნის პირველი პირის გადაადგილებისა და ნება-სურვილის შეზღუდვის უფლებაც კი აქვთ დაცვის სპეციალურ სამსახურებს, მისივე და სახელმწიფოს უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ასე რომ, აღფრთოვანება და ჟივილ-ხივილი იმის გამო, რომ რომელიმე უმაღლესი თანამდებობის პირი დაცვის გარეშე დადის, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების დაბალ განვითარებასა და სახელმწიფოს უსაფრთხოების არსის სრულ უცოდინარობაზე მიუთითებს.

სწორედ ასეთ ჩამოუყალიბებელ საზოგადოებაშია შესაძლებელი იმ ტიპის პიარიც, რომელიც სახელმწიფო მოხელეების ავტომობილებს უკავშირდება. აქაც პიონერი კვირიკაშვილია. „გიორგი კვირიკაშვილი უარს ამბობს შავი ჯიპით გადაადგილებაზე!“ — რამდენიმე თვის განმავლობაში ეს ჰქონდათ აღფრთოვანებისა და ხოტბის საგნად „ხბოებს“. არადა, კვირიკაშვილი შეხვედრებზე ისეთი „მინივენით“ დადიოდა, რომელიც ჯიპზე გაცილებით ძვირი ღირს. აშკარა იყო საზოგადოების ნაწილის გასულელება, რადგან, როდესაც სახელმწიფო მოხელეების ავტომობილებს აპროტესტებდა ვინმე, არა მგონია, მას გართულება ამ ავტომობილების მარკასა და მოდელზე ჰქონოდა. აქ მთავარი აქცენტი იყო ფასზე, საუბარი იყო იმაზე, რომ მაღალჩინოსნების ავტომობილები ძალიან ძვირი ჯდებოდა (თვითონ მაღალჩინოსნების საქმიანობა — კიდევ უფრო ძვირი), თორემ ამხელა ფასს სახელმწიფო „ჯიპში“ გადაიხდიდა, „მინივენში“ თუ „სედანში“, რა მნიშვნელობა აქვს?!

სხვათა შორის, „პიარის“ ეს მიმართულება ისეთი ეფექტიანი გამოდგა გაუცნობიერებელ და მოუმზადებელ, ჩამოუყალიბებელ საზოგადოებაში, რომ უკვე თბილისის მერმა **კახა კალაძემ** იგივე მიმართულება უფრო განავრცო, ჩამოაყალიბა და წარმოუდგენელ სიმაღლეებზე გავიდა: „ხელისუფლებასა და სახელმწიფო მოხელეებს მოვუწოდებ, უარი თქვან შავ ჯიპებზე და თეთრი ჯიპები შეიძინონ!“ — მკაცრი და სერიოზული სახით განაცხადა ყოფილმა ფეხბურთელმა და ენერგეტიკოსმა მერმა.

**„ოცნების“ ხელისუფლებისგან მსგავს უტიფარ, საზოგადოების გაუცნობიერებელ ნაწილზე ზემოქმედების მომხდენ სულელურ ფრაზებს მიჩვეული რომ არ ვიყო, ეს ფრაზა ხუმრობად მომეჩვენებოდა...**

როგორ?! ნუთუ ჩვენს საზოგადოებას ჯიპის ფერზე აქვს გართულება?! ნუთუ მთელი ეს ათეული წლები საზოგადოება რომ აპროტესტებს, — მაღალჩინოსნები მეტისმეტად ძვირად ღირებული შავი ჯიპებით დადიანო, კალაძემ „ძვირად ღირებული“ ვერ მოისმინა და ჰგონია, რომ ხალხს მხოლოდ „შავზე“ აქვს გართულება? ავტომობილი თუ, დავუშვათ, მილიონი ღირს, რა მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფო ამ მილიონს თეთრში გადაიხდის თუ შავში?!

საქმეც ეგაა, რომ ასეთ აბსურდებზე სპეციალურად გვალაპარაკებენ და რეალური პრობლემები ყურადღების მიღმა რჩება. ახლაც, როგორც დასაწყისში გითხარით, **როგორც ჩანს, „უდაცვო გაწონასწორებულმა“ ამოწურა თავისი რესურსი (წონასწორობა დაკარგა, რა) და უკვე „მცირე“ ბახტაძეს გვტენიან ცხვირში... თანაც გვეუბნებიან, „ბრენდული ქვეყანა“ უნდა გავხდეთო...** აი, ეს რაღა ჯანდაბას ნიშნავს, ნამდვილად ვერ გავიგე... კაი, ბატონო, გავხდეთ, მაგრამ აქვე ერთ ანეკდოტსაც გაგახსენებთ, რომელიც თეთრი და შავი ჯიპების თემას ზუტად ესადაგებს და იმასაც ზუსტად ხატავს, რომ არავითარი განსხვავება არ არის, მთავრობას „მცირეს“ დავარქმევთ თუ „დიადს“, თუკი შინაარსობრივად არ შეიცვლება რამე, შედეგი მაინც იგივე იქნება:

კაცი მიდის მინდორში და დაინახა ცხვრის ფარა. ნაწილი თეთრია, ნაწილი — შავი. დაინტერესდა კაცი და მწყემსს ჰკითხა: რამდენი ცხვარი გყავსო?

— რომელი გაინტერსებს: თეთრი თუ შავიო? — კითხვა შეუბრუნა მწყემსმა.

— დავუშვათ, თეთრიო.

— თეთრი არის ორასი სულიო, — უპასუხა მწყემსმა.

— კარგი და, შავი რამდენიღააო? — ისევ დაინტერსდა კაცი.

— შავიც ორასიაო, — მშვიდად უპასუხა მწყესმა.

— შე კაცო, თუკი ორივე, შავიც და თეთრიც ორასია, აბა, რაღას მეკითხებოდი, შავი მაინტერესებდა თუ თეთრიო?! — გაუკვირდა კაცს.

— იმიტომ, რომ თეთრები ჩემიაო! — კვლავ მშვიდად უპასუხა მწემსმა.

— კარგი და, შავები ვილასიაო? — ისევ ინტერესში ჩავარდა კაცი.

— შავებიც ჩემიაო! — ამაყად უპასუხა მწყემსმა გაოგნებულ კაცს...

იქნებ ბიძინას ცნობილი ანეკდოტებივით გამომივიდა და სულაც არ გაგეცინათ, მაგრამ ალალად თქვით: არ გაგონებთ ეს მწყემსი საქარველოს „ამაყ“ მთავრობას, ხოლო ინტერესიანი კაცი — გაოგნებულ ქართველ საზოგადოებას?

ლიბერალები საქართველოს წინააღმდეგ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც გულუხვად ფინანსდებიან საზღვარგარეთიდან და უცხო ქვეყნების ჯაშუშებს წარმოადგენენ, დაჟინებით მოითხოვეს ლგბტ-თა უფლებების დაცვის საკითხების შეტანა პრიორიტეტებში. მათ შორის იყვნენ უშუალოდ ლგბტ პირებიც. გარდა ამისა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ეკა ჭითანავამ განაცხადა, რომ პრიორიტეტებში, ლგბტ თემის მხარდამჭერ საკითხებთან ერთად, აუცილებლად უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საკითხები. მაგალითად, როგორიცაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სხვადასხვა რელიგიური კონფესიისა და მათი მიმდევრების დისკრიმინაცია“.



## ზვიად ტომარაძე:

# უცხოეთის ჯაშუში არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებში ლგბტ-თა უფლებების დაცვასა და საქართველოს ეკლესიის მიერ სხვა რელიგიების მიმდევართა ჩაგვრის ჩასმას ითხოვენ

**29 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტები ხმაურისა და მწვავე დისკუსიის ფონზე განიხილა. განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ისე ლგბტ-თა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, მიზნად ისახავდა არხის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და დამტკიცებას.**

**როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის დირექტორმა ზვიად ტომარაძემ სოციალურ ქსელში დაწერა, განხილვისას ზემოაღნიშნული ორგანიზაციები პრიორიტეტებში ლგბტ თემატიკის შეტანას ითხოვდნენ. კერძოდ, მისი თქმით, მოთხოვნა არხის ეთერში სექსუალური უმცირესობებისადმი სოლიდარობის გამღვივებელი გადაცემების გაშვებას ეხებოდა, რასაც განხილვის მონაწილე სხვა მხარისგან პროტესტი და უკმაყოფილება მოჰყვა. კონკრეტულად რა მოხდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების განხილვაზე და რა გადაწყვეტილება მიიღო საბოლოოდ არხის სამეურვეო საბჭომ? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ზვიად ტომარაძე ესაუბრება.**

**— ბატონო ზვიად, უკვე ცნობილია, რომ გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ლგბტ-თა პროპაგანდას ითხოვენ. შესაბამისი დირექტივით მათ არხის სამეურვეო საბჭოსაც მიმართეს. რა ხდებოდა წინა კვირას ე.წ. ბორდის სხდომაზე?**

— სხდომა, როგორც უკვე ცნობილია, იმ მიზნით გაიმართა, რომ არხის პროგრამული პრიორიტეტები განესაზღვრათ. ეს ჩვეულებრივი ამბავია და საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის საზოგადოებრივი მაუწყებელი ძირითად მიმართულებებს ასე ადგენს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა რა: არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც გულუხვად ფინანსდებიან საზღვარგარეთიდან და უცხო ქვეყნების ჯაშუშებს წარმოადგენენ, დაჟინებით მოითხოვეს ლგბტ-თა უფლებების დაცვის საკითხების შეტანა პრიორიტეტებში. მათ შორის იყვნენ უშუალოდ ლგბტ პირებიც. გარდა ამისა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა **ეკა ჭითანავამ** განაცხადა, რომ პრიორიტეტებში, ლგბტ თემის მხარდამჭერ საკითხებთან ერთად, აუცილებლად უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საკითხები. მაგალითად, როგორიცაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სხვადასხვა რელიგიური კონფესიისა და მათი მიმდევრების დისკრიმინაცია. **ის ასევე საუბრობდა იმაზე, რომ თურმე ჩვენ, ქართველები, მუდმივად ვჩაგრავთ აზიიდან და აფრიკიდან შემოსულ მიგრანტებს.** აქ უკვე ველარ მოვითმინე და პირდაპირ ვუთხარი, — რას ბოდიალობ-მეთქი? ამაზე წამოენთნენ ლიბერალები,— რატომ მიმართავ ასე არაკორექტულადო... არაკორექტულად კი არა, **ეს დაქირავებული ჯაშუშები გრანტების სანაცვლოდ ქვეყნისა და ქართველი ერის წინააღმდეგ იბრძვიან. თითქმის ყველა ტელეარხი და ძირითადი საინფორმაციო საშუალება მათ ხელშია, ერთი საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხის ინტერესს რომ გამოხატავდეს, ესეც საქართველოს მტრებთან უნდა იყოს შესათანხმებელი?!**

**— ამბობთ, რომ ბორდის სხდომაზე პირდაპირ დააყენეს ინიციატივა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეკლესია მჩაგვრელ ინსტიტუტად წარმოაჩინოსო?**

— ეს ინიციატივა კი არ იყო, პირდაპირ თითის დაქნევა, რომ თურმე საზოგადოებრივი მაუწყებელი რატომ დუმს ამ საშინელებაზე. ამიტომ ვუთხარი იმ ქალბატონს: ქვეყნის მოღალატე და ქართველთმოძულე ხარ-მეთქი. **მხოლოდ მოღალატე თუ იტყვის საკუთარ ხალხზე, საკუთარ რელიგიაზე, ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე, ძალადობრივიაო, მჩაგვრელიაო, ცუდი და ბოროტიაო. თუმცა მე მაინც კმაყოფილი ვარ იმით, რომ მათ არაფერი არ გამოუვიდათ და მადლობა ღმერთს, საზოგადოებრივი მაუწყებლის დღევანდელი ბორდის წევრების უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ამორალურობის პროპაგანდის.**




**«მხოლოდ მოღალატე თუ იტყვის საკუთარ ხალხზე, საკუთარ რელიგიაზე, ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე, ძალადობრივიაო, მჩაგვრელიაო, ცუდი და ბოროტიაო. თუმცა მე მაინც კმაყოფილი ვარ იმით, რომ მათ არაფერი არ გამოუვიდათ და მადლობა ღმერთს, საზოგადოებრივი მაუწყებლის დღევანდელი ბორდის წევრების უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ამორალურობის პროპაგანდის»**

**— კენჭისყრა უკვე ჩატარდა?**

— დიახ, **ფარული კენჭისყრა ჩატარდა განხილვამდე ორი კვირით ადრე და 9-კაციან ბორდში ექვსი ხმით სამის წინააღმდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არხის პრიორიტეტებში ლგბტ თემატიკა არ უნდა იყოს.** თუმცა იმედგაცრუებული არასამთავრობო სექტორი შემდეგ გამწარებული მოითხოვდა კენჭისყრის ხელახლა ჩატარებას და ამას ყველაფერს ხელმძღვანელობდა ქალბატონი **ნინია კაკაბაძე**, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ახლახან აირჩია ბორდის წევრად.

რაც შეეხება კენჭისყრის შედეგებს, შეიძლება ბევრი აკრიტიკებდეს ქართულ კულტურას, ლანძღავდეს და ჩირქს სცხებდეს ეკლესიას, მაგრამ რეალურად, რა თქმა უნდა, თვითონ ამ სულგაყიდულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც იციან, რომ ქართველი ხალხი მათ ინიციატივებს არასოდეს მიიღებს. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, სამეურვეო საბჭოს ლიბერალების მოთხოვნა რომ დაეკმაყოფილებინა და პრიორიტეტებში ლგბტ თემატიკა დაეშვა?

**— თქვენი აზრით, რა მოხდებოდა?**

— საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ ისედაც ბევრი პრეტენზია არსებობს, ესეც თუ დაემატებოდა, არ გამოვრიცხავ, ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები დაწყებულიყო.

**— და რას მოიტანდა გამოსვლები?**

— არ არის გამორიცხული, არხის ხელმძღვანელობის შეცვლით დასრულებულიყო.

**— ბორდის წევრებმა ეს საფრთხე იგრძნეს და ამიტომ არ დაუჭირეს მხარი პრიორიტეტებში ლგბტ თემატიკის შეტანას, თუ მათი მსოფლმხედველობა და პოზიცია მართლა ასეთია?**

— დღევანდელ ბორდში ვიცი რამდენიმე პიროვნება, რომლებიც კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ლგბტ თემატიკის და მათ ეს პოზიცია დაუფარავად გამოხატეს. ერთ-ერთი მათგანია ბატონი **გია იაკობაშვილი**, რომელსაც განხილვისას სერიოზული შეკამათება მოუვიდა ერთ-ერთ ლგბტ პიროვნებასთან. სხვათა შორის, ის პიროვნება მთელი სხდომის განმავლობაში აგრესიულობით გამოირჩეოდა.

რაც შეეხება ბორდის სხვა წევრებს, შეიძლება მათ შორის იყოს რამდენიმე პიროვნება, რომლებიც, რომ არა საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, დიდი ალბათობით, მხარს დაუჭერდნენ პრიორიტეტებში ლგბტ თემატიკას, მაგრამ ახლა ეს, ალბათ, ნაკლებად მნიშვნელოვანია. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ამ ადამიანებს სწორი პოზიცია უკავიათ და ქართველთმოძულე, აგრესიული ლიბერალების მხარეს არ დგანან.

**— თქვით, რომ სხდომაზე ერთ-ერთი ლგბტ პიროვნება აგრესიულად იქცეოდა. რაში გამოიხატებოდა მისი აგრესია?**

— გახსოვთ, ალბათ, ადრე საქართველოს პარლამენტში რომ შევარდნენ და ერთი ლგბტ პირი ძარღვის გაწყვეტამდე ყვიროდა, — მეზიზღებითო. ამ სხდომაზე ეს სიტყვები არ თქმულა, მაგრამ რიტორიკა დაახლოებით იგივე იყო. ყვირილი, აგდებული ლაპარაკი, სიძულვილი... აი, ეს მოდიოდა მათი საუბრიდან და ამის ობიექტი ვიყავით ყველა, ვინც მათ მოთხოვნებს არ ვიზიარებდით. საერთოდ, თანამედროვე ლიბერალიზმი აგრესიული იდეოლოგია რომ არის, სიახლე არ არის. მათ აქვთ ექსკლუზიური უფლება ყველაფრის, მათ შორის ძალადობის, აზრის თავისუფლების შეზღუდვის, სიძულვილის და ა.შ. შენ კიდევ ამ დროს სიყვარულსა და შემწყნარებლობაზე ტრენინგებს გიტარებენ...

**— სხდომაზე თქვენ ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემურ საკითხებზე ისაუბრეთ. დემოგრაფია — მოკვდავობა-შობადობა, ქორწინება-განქორწინებების სტატისტიკა... გაქვთ იმედი, რომ სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს შეთავაზებას ამ საკითხების წამოწევაზე?**

— ბორდის წარმომადგენლებმა მთხოვეს, რომ წერილობით გამეგზავნა ჩემი შენიშვნები და მოსაზრებები, თუმცა, ცხადია, არ მაქვს ილუზია, რომ ამ შენიშვნებს ვინმე გაიზიარებს. არ მაქვს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ იქნება დღეს გამონაკლისი. საერთოდ, იმ დროს, როცა ქვეყანაში მძვინვარებს ლიბერალური დიქტატი და სახელმწიფო დაპყრობილი აქვთ გრანტზე გაყიდულ ჯაშუშებს, რამე სიკეთის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. საზოგადოების გამოღვიძება და დიდი პოლიტიკური წმენდის ჩატარება ქვეყანაში აუცილებელია, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს აგრესიული იდეოლოგიის — ლიბერალიზმის დიქტატი, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს.

**«იმ დროს, როცა ქვეყანაში მძვინვარებს ლიბერალური დიქტატი და სახელმწიფო დაპყრობილი აქვთ გრანტზე გაყიდულ ჯაშუშებს, რამე სიკეთის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. საზოგადოების გამოღვიძება და დიდი პოლიტიკური წმენდის ჩატარება ქვეყანაში აუცილებელია, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს აგრესიული იდეოლოგიის — ლიბერალიზმის დიქტატი, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ევროკავშირმა ნახევარი წლით გაახანგრძლივა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა, მოსკოვში სიტუაციის შეცვლაზე ალაპარაკდნენ. რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩევის აზრით, „მონოლითური მიდგომა აღარ არსებობს, სახეზეა აზრთა სხვაობა“. მან მაგალითად იტალიისა და პოლონეთის განსხვავებული პოზიცია მოიყვანა.**

ევროპა და საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ დღეებში ბრიუსელში ევროკავშირის ქვეყნების მეთაურების სამიტი გაიმართა. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროპული ერთიანობა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, ხოლო უთანხმოება მის წევრებს შორის ღრმავდება და პრინციპულ ხასიათს იძენს. ექსპერტები არა მხოლოდ კრიზისზე, არამედ ევროკავშირის დაშლის საფრთხეზეც ალაპარაკდნენ.**

# ევროკავშირის კრიზისი საქართველოზეც აისახება

დღის წესრიგის მთავარი საკითხი მიგრანტების პრობლემა იყო. ახლახან იტალიასა და ავსტრიაში ხელისუფლებაში მოვიდნენ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მომხრეები, ხოლო გერმანიაში უთანხმოება მმართველი ბლოკის შიგნით წარმოიშვა — ბავარიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერი და გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი **ჰორსტ ზეეჰოფერი** დაუპირისპირდა **ანგელა მერკელს**. განსაკუთრებულ მიდგომას, იტალიის გარდა, ესპანეთიც და საბერძნეთიც გამოხატავენ, რადგან ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან წამოსული მიგრანტების ტალღა, უპირველესად, ამ ქვეყნებს აწყდება.

**ხანგრძლივი, დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ ევროპელი ლიდერები წესების გარკვეულ გამკაცრებაზე შეთანხმდნენ. მათი სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ იდეად იქცა თურქეთთან 2016 წელს მიღწეული შეთანხმების პრინციპების გავრცელება სხვა ქვეყნებზე, უპირველეს ყოვლისა, ლიბიაზე. იქ ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ახალი ბანაკები შეიქმნება, გაიზრდება ლიბიის სანაპირო დაცვის დაფინანსებაც, რომელმაც ევროპის მიმართულებით ლტოლვილებით სავსე გემების გადაადგილება უნდა აღკვეთოს. ადრე მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, 3 მილიარდ ევროს თურქეთს გამოუყოფენ, 500 მილიონს — ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს, იგეგმება ევროკავშირის სასაზღვრო სამსახურის — „ფრონტექსის“ გაძლიერებაც.**

მაგრამ პარტნიორი სახელმწიფოების ნაწილი ევროკავშირის ინიციატივების მხარდაჭერაზე უარს აცხადებს. ეგვიპტემ, მაროკომ, ტუნისმა, ალჟირმა და ალბანეთმა უარი თქვეს ბანაკების შექმნაზე იმ ლტოლვილებისთვის, რომელთაც ხმელთაშუა ზღვაში (ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლამდე) გადაარჩენენ.

**ევროკავშირის ლიდერები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ლტოლვილების განაწილება წევრ სახელმწიფოებს შორის სავალდებულო არ იქნება და მათ მხოლოდ ის ქვეყნები მიიღებენ, რომლებიც ამის სურვილს ნებაყოფლობით გამოთქვამენ**. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დეპორტაციას დაექვემდებარებიან. იტალიის ახალმა პრემიერმა **ჯუზეპე კონტემ** შემაჯამებელ დოკუმენტს ხელი მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერა. მიუხედავად იმისა, რომ კონტეს როლი საკმაოდ დიდია, პოლიტიკური კომენტატორების უმრავლესობა აქტიურად იყენებს ტერმინს „საიმიგრაციო პოლიტიკის ორბანიზაცია“, რადგან შესაბამისი იდეები უმაღლეს დონეზე პირველად უნგრეთის პრემიერმინისტრ **ვიქტორ ორბანის მხრიდან** ითქვა. დეპორტაციის დაჩქარება კონტეს მხარდამჭერებმა იტალიაში, ისევე როგორც საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მომხრეებმა ევროპაში, საკუთარ დიდ გამარჯვებად აღიქვეს.

ამის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** სცადა, სიტუაცია ისე წარმოეჩინა, თითქოს სამიტმა ევროპული ერთიანობა განამტკიცა. „დღეს გაიმარჯვა თანამშრომლობამ ევროპულ ქვეყნებს შორის“, — განაცხადა მან, მაგრამ **აშკარაა, რომ არჩევანი ბრიუსელში ევროპული ერთიანობის წინააღმდეგ გაკეთდა, რადგან თითოეული ქვეყანა თავის საიმიგრაციო პოლიტიკაში გაცილებით დამოუკიდებელი გახდა. ის თვითონ გადაწყვეტს, შექმნას თუ არა მიგრანტების პირველადი განთავსების ახალი ცენტრები.** ეს ნიუანსი მნიშვნელოვანია — იტალიის ხელისუფლება მოითხოვდა, რომ ლტოლვილები დაუყონებლივ მოათავსონ პირველადი განაწილების ბანაკებში და ევროკავშირის ქვეყნებში თანაბრად განაწილდნენ. პირველი წინადადება გაიზიარეს, რაც შეეხება მეორეს, სახელმწიფოები თვითონ გადაწყვეტენ, შექმნან თუ არა შესაბამისი ცენტრები და ნაკლებად სავარაუდოა, პოლონეთმა ან უნგრეთმა ამ მხრივ ინიციატივა გამოავლინოს.

**კიდევ ერთი პრობლემა არის ის, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში ბანაკების სისტემის ამოქმედება ჯერჯერობით მხოლოდ იდეაა, მისი რეალიზაცია დეტალურად გაწერილი არაა.** თუ თურქეთ-ევროკავშირის 2016 წლის შეთანხმების შესრულებას ერდოღანის ხელისუფლება უზრუნველყოფს, რომელიც თავის ქვეყანას სრულად აკონტროლებს, გაუგებარია, ვინ დაიცავს (უზრუნველყოფს საკვებით, მედიკამენტებით და ა.შ.) ლტოლვილთა ბანაკებს ლიბიაში, რომელმაც სამოქალაქო ომის ქაოსს თავი ჯერჯერობით ვერ დააღწია, რაშიც დიდი წვლილი სწორედ ევროკავშირის ქვეყნებს მიუძღვით.

**სამიტის შედეგების შეფასებისას, ემანუელ მაკრონზე გაცილებით გულწრფელი ანგელა მერკელი გახლდათ, რომელმაც თქვა, რომ ქვეყნებს შორის დიდი წინააღმდეგობები შენარჩუნდა. ევროკავშირმა წინ ვერ წაიწია კიდევ ორ — ახალი წევრების მიღებისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებიდან გასვლის საკითხებში.** ფიქრობდნენ, რომ სამიტზე გაკეთდებოდა განცხადება ევროკავშირში ალბანეთისა და მაკედონიის შესვლაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მაგრამ ნიდერლანდების პარლამენტმა პრემიერმინისტრ **მარკ რუტეს** დაავალა, ევროკავშირისა და ალბანეთის მოლაპარაკების დაწყებას ხელი შეუშალოს იმ მოტივით, რომ ეს ქვეყანა ევროკავშირში გაწევრების კრიტერიუმს არ უპასუხებს.



**საქართველოს ამჟამინდელ საგარეო-პოლიტიკურ კურსს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირება აშშ-სა და ევროკავშირს შორის გაღრმავდება... თუ დონალდ ტრამპის ჯვაროსნული ლაშქრობა ევროკავშირის წინააღმდეგ გაგრძელდება, დასავლური ქვეყნების ერთიანი ფრონტი, დიდი ალბათობით, ჩამოიშლება**

რაც შეეხება მაკედონიას, იქ თავი ძველმა პრობლემამ იჩინა. მთავრობამ მიაღწია კომპრომისულ შეთანხმებას ქვეყნის სახელწოდების თაობაზე („ჩრდილოეთი მაკედონია“ „მაკედონიის“ ნაცვლად). ამას ევროინტეგრაციის გზაზე საბერძნეთის მიერ აღმართული ბარიერები თითქოს უნდა მოეხსნა, მაგრამ ხალხმრავალი საპროტესტო აქციების შემდეგ მაკედონიის პრეზიდენტმა **გეორგე ივანოვმა** ამ გადაწყვეტილებას ვეტო დაადო.

ევროკავშირმა ნახევარი წლით გაახანგრძლივა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა, მოსკოვში სიტუაციის შეცვლაზე ალაპარაკდნენ. რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩევის აზრით, „მონოლითური მიდგომა აღარ არსებობს, სახეზეა აზრთა სხვაობა“. მან მაგალითად იტალიისა და პოლონეთის განსხვავებული პოზიცია მოიყვანა. **კოსაჩევმა** შექმნილი სიტუაცია ასე აღწერა: „ერთი მხრივ, აშკარაა, რომ სანქციებს აზრი არ აქვს და, მეორე მხრივ, ევროპული ბიზნესი აქტიურად „აწვება“ პოლიტიკოსებს, რადგან სანქციების გამო არანაკლებ ზარალს განიცდის... ეჭვგარეშეა, სანქციების გაუქმების მომხრეებს რაღაც არგუმენტები ან საბაბი რომ ჰქონოდათ, სანქციების პოლიტიკისთვის ისე გადაეხედათ, რომ ევროკავშირისთვის „სახის შენარჩუნების“ შესაძლებლობა მიეცათ, გადაწყვეტილება სხვაგვარი იქნებოდა“.

განსაკუთრებით აქტუალური პოლონეთის პოზიცია იყო კიდევ ერთი პრობლემის მიმართ, რომელიც სამიტის დასკვნით დეკლარაციაში სრული სიმწვავით არ ასახულა. მას შემდეგ, რაც ტრამპის ადმინისტრაციამ ევროკავშირში წარმოებულ ფოლადსა და ალუმინს სატარიფო ბარიერი დაუწესა, ხოლო „დიდი შვიდეულის“ სამიტზე უთანხმოება ამის თაობაზე ლამის სკანდალში გადაიზარდა, ევროპელებმა კონტრზომების პაკეტი შეიმუშავეს და აშშ-თან ფართომასშტაბიანი „სატარიფო ომის“ საფრთხის წინაშე დადგნენ. მათი მიდგომა ერთიანი არც ამ შემთხვევაში არის — პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნის პოზიცია მკვეთრად პროამერიკულია, შესაბამისად, ბერლინი და პარიზი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ვაშინგტონთან დაპირისპირებაში ევროპულ სოლიდარობას დაეყრდნონ.

**აშშ-სთან გამწვავებულ ურთიერთობას უკავშირდება კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სამიტზე განიხილეს — ევროპული ქვეყნების ლიდერები თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე შეთანხმდნენ.** ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ევროკავშირის ცხრა ქვეყნის, მათ შორის საფრანგეთისა და გერმანიის ინიციატივა სწრაფი რეაგირების ერთობლივი ძალების შექმნისა და გენერალური შტაბების მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე. საინტერესოა, რომ ამ ინიციატივის რეალიზაციაში, ევროკავშირიდან გასვლის მიუხედავად, მონაწილეობას მიიღებს დიდი ბრიტანეთიც — ადრე ლონდონი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მსგავს წამოწყებებს ნატოს ფარგლებს გარეთ.

უთანხმოება აშშ-სა და ევროკავშირს შორის, სავარაუდოდ, 11 ივლისს ნატოს სამიტზე გამოიკვეთება, მით უმეტეს რომ, ახალი სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს, თქმით, „ამერიკის პრეზიდენტს სურს, ბოლოს და ბოლოს, იხილოს ციფრები“, საუბარია ევროპელი პარტნიორების თავდაცვითი ხარჯების ზრდაზე. ამ სამიტის შემდეგ **ტრამპი** ფინეთის დედაქალაქში **ვლადიმერ პუტინს** შეხვდება. მისმა პირველმა კომენტარმა ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ევროპა შოკში ჩააგდო. „როიტერის“ ცნობით, ჟურნალისტის კითხვაზე — შეიძლება თუ არა აშშ-მა ყირიმი რუსეთის ტერიტორიის ნაწილად აღიაროს? — დონალდ ტრამპმა უპასუხა: „ვნახავთ“.

გასულ კვირას „ვაშინგტონ პოსტი“, ევროპულ სამთავრობო წყაროებზე დაყრდნობით, წერდა, რომ, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აშშ-ს სტუმრობდა, დონალდ ტრამპმა მას ჰკითხა: „რატომ არ გინდათ, ევროკავშირიდან გახვიდეთ?“ და ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება შესთავაზა, რომელიც უფრო მომგებიანია პარიზისთვის, ვიდრე ევროკავშირის ფარგლებში დადებული შეთანხმებები. მედიაში, აგრეთვე, ფართოდ გავრცელდა კიდევ ერთი ისტორია, რომელიც ამ ვიზიტს უკავშირდება. მაკრონმა ტრამპს ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობა შესთავაზა, რადგან „არსებობს საერთო პრობლემა — ჩინეთი“, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა თითქოს უპასუხა: „ევროკავშირი ჩინეთზე უარესია“. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება სიტუაცია გაცილებით მძიმეა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

საქართველოს ამჟამინდელ საგარეო-პოლიტიკურ კურსს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირება აშშ-სა და ევროკავშირს შორის გაღრმავდება და ისინი სამხრეთ კავკასიაში თავის პოლიტიკას ისე გაატარებენ, რომ ერთმანეთის ინტერესებს არ გაითვალისწინებენ. თუ დონალდ ტრამპის ჯვაროსნული ლაშქრობა ევროკავშირის წინააღმდეგ გაგრძელდება, დასავლური ქვეყნების ერთიანი ფრონტი, დიდი ალბათობით, ჩამოიშლება, ხოლო რუსეთის გავლენა საქართველოში ძალიან სწრაფად გაიზრდება.

**ლუკა ნემსაძე**

**როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აშშ-ს სტუმრობდა, დონალდ ტრამპმა მას ჰკითხა: «რატომ არ გინდათ, ევროკავშირიდან გახვიდეთ?»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„როცა იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიბრძანესო, ვდგებოდით და, რა გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული“.**

# შტრიხები სტალინის პორტრეტისთვის

**ახლობელ პროფესორს პირად საქმეზე შინ ვეწვიე. ის ნადირობის ტრფიალი იყო და, როცა მივედი, სწორედ იმ მომენტში ჰქონდა სანადირო თოფი დაშლილი. იარაღს ჩვეული სიდინჯითა და სიბეჯითით წმენდდა და ზეთს უსვამდა, შემდეგ სუფთა ნაჭრით ამშრალებდა. მხოლოდ მისი საქმიანობისათვის რომ არ მეცქირა, ნადირობის ერთი საოცარი ეპიზოდი მომიყვა:**

## სტალინი ზოგიერთი ვაიქართველისა და მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების თვალით

„თებერვლის ერთი შაბათი ღრუბლიანი გათენდა. სასწრაფოდ ჩავიცვი სანადირო ტანსაცმელი, სხვადასხვა საჭირო საგანი ზურგჩანთაში ჩავაწყვე და თოფი ბუდიდან გადმოვიღე, რათა ლულებში კიდევ ერთხელ გამეხედა, იყო თუ არა სრულყოფილად გაწმენდილი. აივანზე გასულმა ცისკენ მიმართულ ლულებში დავინახე, რომ კუს ტბის მიმართულებით ორი იხვი მიფრინავდა. თოფში სასწრაფოდ ჩავდე სამნომრიანი საფანტით დატენილი ჰილზები და იხვები სამიზნეში ამოვიღე. ორივე ლულიდან ერთადროულად ვისროლე... იხვებმა ფრენა შეანელეს და პიკირებით პირდაპირ ჩემი სახლისკენ აიღეს გეზი. მინდოდა, კვლავ მესროლა, მაგრამ მეზობლების მომერიდა, დილაადრიანი იყო... სასწაული იყო ის, რომ ორივე „მოპიკირე“ იხვი მეცხრე სართულზე ჩემი ბინისკენ მოემართებოდა, მოაღწიეს კიდეც და იატაკზე მკვდრები დაეცნენ“.

მე გაოცებისგან თვალები შუბლზე ამივიდა, ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა ამდენი დამთხვევა. ჩემი მასპინძელი ამ ამბავს ისეთი სერიოზულობით მიყვებოდა და თანაც თვალებში ჩამცქეროდა, რომ ვერც ვაკადრე რომელიმე ჩემთვის საეჭვო მოვლენაზე კითხვის დასმაც კი. თხრობას მეტს აღარ გავაგრძელებ პროფესორზე, გეტყვით მხოლოდ ერთს, რომ მასთან ერთად ბევრჯერ მიქეიფია, ბევრი სადღეგრძელოც შემისვამს, არ გაგიკვირდეთ და — სტალინისაც კი.

სიცოცხლის ბოლო წელს შთამომავლობას და სრულიად ცივილიზირებულ სამყაროს დაუტოვა სამაგიდო წიგნი „სტალინი — ქართველი კაცი?“. სწორედ ამ წიგნიდან შემოგთავაზებთ რამდენიმე ამონარიდს სტალინის პორტრეტის შესავსებად.

* „სტალინის ეპოქამ უფლება მოუსპო ლამაზს, მშვენიერს, ნიჭიერს: მოღალატედ გამოაცხადა ყველა, ვინც ძმათაკვლის, სისხლისღვრის, ჯაშუშობის წინააღმდეგ წავიდა. საფუძველი მოუსპო ტრადიციული გლეხის არსებობას, მოიშორა შემოქმედი ინტელიგენცია, განუსაზღვრელი უფლებით აღჭურვა ულირსნი. ქვეყანა გაავსო ფსევდოინტელიგენციით, ფსევდომუშით, ფსევდოგლეხით; დაანგრია პატიოსანი და მართალი კაცის ცხოვრება. ბევრი წესიერი კაცი მოძმის გამყიდველად და უბედურ ლაქიად გადაიქცა. ომი გამოეცხადა ღმერთს, ანგელოზს, ხატს, ეკლესიას, ადამიანურ სარწმუნოებას, მამაო ჩვენოს თქმისათვის, პირჯვრის გადაწერისთვის ჯვარს აცვამდნენ, ხვრეტდნენ, ასახლებდნენ” („სტალინი — ქართველი კაცი?“, გვ. 21). **პროფესორის ამ ტირადაში რამდენი სიტყვაც წერია, იმდენი სისულელეა. და, თუ ვინმეს უნდა განმარტება, რას ნიშნავს სიძულვილის ენა, სწორედ ეს ფრაზა გამოდგება მის კლასიკურ მაგალითად და ნიმუშად.**

პროფესორმა ან ინტელიგენციის დეფინიცია არ იცის, ან სურს, შეგნებულად შეგვაყაროს თვალში ნაცარი. 1950-იანი წლების საბჭოთა ინტელიგენციაზე, რომელმაც სასწაულები მოახდინა და მსოფლიო განაცვიფრა, ჩვენს პროფესორს არაფერი სმენია და მას ფსევდოინტელიგენციას უწოდებს. აი როგორ აფასებს ბრიტანეთის ლომად წოდებული უინსტონ ჩერჩილი, **დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1940-1945 და 1951-1945 წლებში,** სტალინს. 1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვიდან:

**„ბატონებო! თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით გამოჩენილი პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი.** რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და უდრეკი ნებისყოფის მხედართმთავარი სტალინი. ის იყო ყველაზე გამოჩენილი ადამიანი, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც უწევდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას. სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის, აგრეთვე, ნათქვამის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა; თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში ისე დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და ეპოქის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებელ პიროვნებად წარმოჩინდებოდა. სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ ჰქონდა... **როცა იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიბრძანესო, ვდგებოდით და, რა გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული.** ის იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს, იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. **ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს მტრისავე ხელით ანადგურებდა, და გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ.** სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. **რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!“**



სტალინი და უინსტონ ჩერჩილი

**«ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს მტრისავე ხელით ანადგურებდა და გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!»**

* პროფესორი გვარწმუნებს:

„როგორც სტალინის ცხოვრებიდან ჩანს, მისი სიამოვნების მაქსიმუმი იყო ხელისუფლებით ტკბობა, რასაც შესწირა სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, „პარტიული ამხანაგები”. სტალინის არსებაში რომანტიკის ნასახიც არ არის. ვერასოდეს ვერავინ შეძლებს „მხატვრულად” წარმოაჩინოს ამ კაცის ცხოვრება („სტალინი — ქართველი კაცი?” გვ. 22). ასე პასუხობს მოსაზრებას, რომ სტალინში თურმე რომანტიკის ნასახიც არ ყოფილა და თურმე არ შეიძლებოდა მისი მხატვრულად წარმოდგენაც კი უდიდესი ესპანელი მხატვარი **პაბლო პიკასო:**

**„იყო სტალინი — ჩემი აზრით, ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს. ის გენიალური ადამიანი გახლდათ და ამაში ეჭვი არავის ეპარება — არც მონმარტრელ მხატვარს, არც აკადემიაში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერს, არც „როლს-როისის” ინჟინერსა და გალვანოგბის აღმომჩენს. ის გენიალურია, არა მხოლოდ უბრალო ადამიანის თვალსაზრისით, არამედ დიდი ხელოვანების თვალსაზრისითაც კი.** იყო სტალინი — ნიშნავს სიცრუის სიძულვილსა და ადამიანების დაფასებას, კომუნიზმისათვის საკუთარი სისხლის ბოლო წვეთამდე გაღებას, ბელადის კულტის ესერული ერესის ნაყოფად მიჩნევას და საკუთარ კულტზე თვალის დახუჭვას. **სტალინში იყო იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა და ციცერონის ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი, ყველანი იყვნენ... და თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება“.**

პროფესორი კვლავ გვარწმუნებს:

„არცთუ იშვიათად მოისმენთ და წაიკითხავთ ასეთ აზრს, თითქოს სტალინის ეპოქაში ხალხი უფრო შეძლებულად ცხოვრობდა, რომ ყოველ წელს ყოველგვარ საქონელზე ფასებს უკლებდნენ, ყველაფერი უფრო იაფი და ხელმისაწვდომი იყო. ეკონომიკის ავკარგის გარჩევა ჩემი კომპეტენცია არ არის, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შემიძლია, რომ საქონელზე ფასების დაკლება — ეს იყო ეკონომიკური ავანტიურა და უფრო პოლიტიკას გულისხმობდა, ვიდრე მომხმარებლისათვის შეღავათის მინიჭებას. ამ ფაქტის თაობაზე ანეკდოტებიც კი იყო შექმნილი. რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ სტალინის დროს გასაყიდი საქონელი ბევრი და ხელმისაწვდომი იყო, ამ მოვლენის ახსნა უფრო სხვანაირად შეიძლება, ვიდრე „ხელმისაწვდომობის თეორიის“ ავტორები ვარაუდობენ. მახსოვს, კერძო პირის მანქანის შეძენა დიდ მოვლენად ითვლებოდა. ასეთ ფაქტებს ხშირად გაზეთშიც აცხადებდნენ, როგორც საზოგადოების მაღალი ეკონომიკური დონის მაჩვენებელს. არასოდეს დამავიწყდება გაზეთში გამოქვეყნებული ერთი ცნობა, რომელიც საზეიმოდ იუწყებოდა, რომ ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ორმა დოცენტმა საზიაროდ შეიძინა ავტომანქანა „პობედა“. ავტომანქანის შეძენა, გარდა ფინანსური მხარისა, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. არავინ იცოდა, ასეთი „თავხედობისთვის“ ხვალ ან ზეგ ვის როგორ მოეკითხებოდა. სტალინის ეპოქის „რიგით“ ადამიანებს მწარე გამოცდილება აიძულებდათ, თავი შეეკავებინათ ნორმალურად ცხოვრების ცდუნებისაგან. ეს ფაქტიც მოქმედებდა გასაყიდი საქონლის სიუხვეზე. არის ასეთი თვალსაზრისიც, რომ თითქოს ხალხს შეეძლო, უზრუნველად ეცხოვრა მხოლოდ ხელფასით და ცხოვრობდა კიდეც პატიოსნად” („სტალინი — ქართველი კაცი?“, გვ. 48).

მიკერძოებად რომ არ ჩამითვალოს მკითხველ- ▶

**„ნუ დაუჯერებთ იმ ფანტასტიკურ, საშინელ ისტორიებს, რომლებსაც მოგითხრობენ ინგლისური გაზეთები, რომლებიც ასე დაჟინებით და სულელურად ცრუობენ საბჭოთა კავშირზე. ნუ დაუჯერებთ, აგრეთვე, იმ მოდილეტანტო ინტელიგენტების მიერ გადმოცემულ ორჭოფულ სიმართლეს და შთაბეჭდილებებს, რომლებიც მფარველობით უყურებენ საბჭოთა კავშირს საშუალო კლასის სათვალეებით, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არ აქვთ იმაზე, რა ხდება იქ“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამ სტალინური ეპოქის ქება-დიდება, წარმოგიდგენთ 1930-იან წლებში ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს, საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის და სტალინური ეპოქის შესახებ.

ამერიკული ბურჟუაზიული **ჟურნალ „ნეიშენის“** აზრით:

**„ხუთწლიანი გეგმის ოთხმა წელმა ჭეშმარიტად შესანიშნავი მიღწევები დაგვანახვა. საბჭოთა კავშირი სამხედრო დროის ინტენსივობით მუშაობდა ახალი ცხოვრების საფუძვლების აგების შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად. ამ ქვეყნის სახე ისე იცვლება, რომ მას სრულიად ველარ იცნობ...** ეს ითქმის მოსკოვის შესახებ, მისი მრავალი ასეული ახლად მოასფალტებული ქუჩებითა და ბაღებით, ახალი სახლებით, ახალი განაპირა უბნებით და ახალი ფაბრიკების კორდონით მის გარეუბანში. ეს ითქმის, აგრეთვე, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქების შესახებ. ახალი ქალაქები აშენდა ველებსა და უდაბნოებში. არა რაღაც რამდენიმე ქალაქი, არამედ, სულ ცოტა 50 ქალაქი, მოსახლეობით 50-დან 250 ათას კაცამდე. ყველა ისინი აღმოცენდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირმა დაიწყო უთვალავი საგნის მასობრივი წარმოება, ისეთი საგნების, რომლებსაც რუსეთში წინათ არასოდეს ამზადებდნენ: ტრაქტორების, კომბაინების, მაღალხარისხოვანი ფოლადის, სინთეტიკური კაუჩუკის, ბურთულასაკისრიანი მძლავრი დიზელების, 50 000-კილოვატიანი ტურბინების, სატელეფონო მოწყობილობის, ელექტრომანქანების სამთომრეწველობისათვის, აეროპლანების, ავტომობილების, ველოსიპედებისა და რამდენიმე ასეული ტიპის ახალი მანქანების... პირველად ისტორიაში რუსეთმა დაიწყო ალუმინის, აპატიტის, იოდის, პოტაშის და ბევრი სხვა ძვირფასი პროდუქტების მოპოვება. საბჭოთა ველების გზის მაჩვენებელ წერტილებს უკვე წარმოადგენს არა დიდი ჯვრები და ეკლესიის გუმბათები, არამედ მარცვლეულის ელევატორები და სასილოსე კოშკები. კოლმეურნეობები აშენებენ სახლებს, ბოსლებს, საღორეებს, ელექტრონი იჭრება სოფლად, რადიომ და გაზეთმა დაიპყრო სოფელი, მუშები სწავლობენ უახლეს მანქანებზე მუშაობას, გლეხი ახალგაზრდობა ამზადებს და მომსახურებას უწევს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომლებიც უფრო დიდი და რთულია, ვიდრე ის, რაც ოდესმე უნახავს ამერიკას. რუსეთი იწყებს „მანქანებით აზროვნებას“. რუსეთი ხის საუკუნიდან სწრაფად შედის რკინის, ფოლადის, ბეტონის და მოტორების საუკუნეში“. ახლა კი გაეცანით საბჭოეთის მიმართ ყველაზე კრიტიკულად განწყობილ ინგლისური გამოცემის ერთ მასალას:

**ინგლისური გამოცემა „ფორვარდი“:**

„თვალში გეცემათ ის უდიდესი მუშაობა, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირში. ახალი ქარხნები, ახალი სკოლები, ახალი კინოთეატრები, ახალი კლუბები, ვეებერთელა ახალი სახლები, — ყველგან ახალი ნაგებობები. ბევრი მათგანი უკვე დამთავრებულია, ბევრი ჯერ კიდევ გარშემორტყმულია ხარაჩოებით. ძნელია, უამბო ინგლისელ მკითხველს, რა გაკეთდა ბოლო ორი წლის განმავლობაში და რა კეთდება შემდეგ. საჭიროა, ნახო ყველაფერი ეს, რომ დაიჯერო. ჩვენი მიღწევები, რაც ჩვენ მიერ არის განხორციელებული ომის შემდეგ სრულიად უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც კეთდება საბჭოთა კავშირში. **ამერიკელები აღიარებენ, რომ იმ პერიოდშიც კი, როცა დასავლეთის შტატებში წარმოებდა ჩქარი შემოქმედებითი მუშაობა, იქ არ ყოფილა იმ ახლანდელი გაცხოველებული შემოქმედებითი საქმიანობის მსგავსი რამ, რაც ახლა წარმოებს საბჭოთა კავშირში.** ბოლო ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში მოხდა იმდენი ცვლილება, რომ ველარ წარმოგვიდგენია, რა იქნება ამ ქვეყანაში კიდევ 10 წლის შემდეგ... **ნუ დაუჯერებთ იმ ფანტასტიკურ, საშინელ ისტორიებს, რომლებსაც მოგითხრობენ ინგლისური გაზეთები, რომლებიც ასე დაჟინებით და სულელურად ცრუობენ საბჭოთა კავშირზე.** ნუ დაუჯერებთ, აგრეთვე, იმ მოდილეტანტო ინტელიგენტების მიერ გადმოცემულ ორჭოფულ სიმართლეს და შთაბეჭდილებებს, რომლებიც მფარველობით უყურებენ საბჭოთა კავშირს საშუალო კლასის სათვალეებით, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არ აქვთ იმაზე, თუ რა ხდება იქ... საბჭოთა კავშირი აშენებს ახალ საზოგადოებას ჯანსაღ საფუძვლებზე. რომ განახორციელო ეს მიზანი, საჭიროა, გარისკო, იმუშაო ენთუზიაზმით და ისეთი ენერგიით, რომელიც დღემდე უმაგალითოა მსოფლიოსთვის, უნდა მიაღწიო უდიდესი სიძნელეებით, რაც აუცილებელია დანარჩენი მსოფლიოსგან განცალკევებულ უზარმაზარ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების სურვილისას. მაგრამ, **როცა ეს ქვეყანა მე ვნახე ორი წლის შემდეგ, მივიღე ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი მიდის მტკიცე პროგრესის გზით, გეგმავს, ქმნის, აშენებს და ყოველივე ამას იგი აკეთებს ისეთი მასშტაბით, რომელიც წარმოადგენს აშკარა გამოწვევას მტრულად განწყობილი კაპიტალისტური მსოფლიოს მიმართ“.**

* პროფესორი გვარწმუნებს:

— „სტალინი პატარა ერებს აიძულებდა, სხვისი ცხოვრებით ეცხოვრათ. უგულებელყოფილი იყო მცირერიცხოვანი ერების ისტორია, მწერლობა, პოეზია, მეცნიერება, ყოფა, ხასიათი, ტრადიცია“ *(„სტალინი — ქართველი კაცი?“, გვ. 22.)*

აი პასუხი ჩვენი პროფესორისადმი მსოფლიოში სახელგანთქმული გერმანელი მწერლის **ლიონ ფოიხტვანგერისგან:**

„სადღეისოდ ცხოვრებაში განხორციელებულია სტალინური ფორმულა — კულტურა „ფორმით ეროვნული, შინაარსით ინტერნაციონალური“. სოციალიზმი საბჭოთა კავშირში ვლინდება მრავალ ენაზე და სხვადასხვაგვარი ფორმით ეროვნულში და არსით ინტერნაციონალურში. ავტონომიური რესპუბლიკების ეროვნული განსაკუთრებულობანი — ენა, ხელოვნება, ყველანაირი ფოლკლორი მზრუნველობითა და სიყვარულითაა გარემოცული. ხალხებს, რომლებიც აქამდე მხოლოდ ზეპირად მეტყველებდნენ, დამწერლობა შეუქმნეს. ყველგან არსებობს ეროვნული მუზეუმები, ეროვნული ტრადიციების საკვლევი სამეცნიერო ინსტიტუტები, მაღალ დონეზე დგას ეროვნული საოპერო და დრამატული თეატრები. მე მოწმე გავხდი იმ აღფრთოვანებისა, რომლითაც თეატრალურ სანახაობებით განებივრებული მოსკოველები ხვდებოდნენ დიდ თეატრში დადგმულ ქართულ ოპერას“ *(ლიონ ფოიხტვანგერი, „მოსკოვი 1937“, გვ. 67).*

* პროფესორი გვარწმუნებს:

„ის მოსაზრება, რომ ზოგჯერ სხვის ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები სამშობლოზე იძიებენ შურს, როგორც გაშვილებული შვილები ნამდვილ მშობლებზე, ოდნავადაც ვერ ახსნის სტალინის საქციელს. სტალინის ყველა მონუმენტური დანაშაული ჩადენილია ძალაუფლების უსაზღვრო სიყვარულით“ *(„სტალინი — ქართველი კაცი?“, გვ. 28).*

პროფესორმა არ იცის და არც სმენია, რომ სტალინმა 1922 წლიდან 1952 წლის 16 ოქტომბრამდე (XIX-ე ყრილობის შემდგომ პლენუმამდე) ოთხჯერ მოითხოვა თანამდებობის დატოვება. ბოლო პლენუმზე კი სტალინის გადარჩევის საპასუხოდ პლენუმის მთელი შეამდგენლობა ფეხზე ადგა და გაჰყვიროდა: „დიდება დიდ სტალინს! სოციალიზმის მშენებელს ყველა გამარჯვების ორგანიზატორს!“. ნახევარი საათი უყურებდა ეგზალტირებულ ხალხს გაფითრებული სტალინი ტრიბუნიდან, ბოლოს კი ხელი ჩაიქნია, ქართულად რაღაც ჩაიბურტყუნა, ტრიბუნიდან სწრაფად ჩამოვიდა და თავის სამუშაო კაბინეტისაკენ გაემართა.

აი რა წერს სტალინის შესახებ ამერიკელი პოლიტოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე „დიდი საჭადრაკო დაფის“ ავტორი **ზბიგნევ ბჟეზინსკი:**

„სტალინი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი სხვა ლიდერი, მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას და რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით.

**სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ — საფრანგეთი XVII საუკუნეში“.**

წერილის დასაწყისში პროფესორის მიერ მოყოლილი ნადირობის ამბავი იმიტომ მოგახსენეთ, რომ პირველად, როდესაც ამ წიგნს ვკითხულობდი, თვალწინ მედგა ის მეზღაპრე პროფესორი, რომელიც დაბეჯითებით მიყვებოდა დაუჯერებელ ტყუილებს, სწორედ ასეთი ტყუილებითა და სისაძაგლითაა სავსე ეს წიგნი. ასეთი რამ არც ერთ მკვლევარს თუ მუცლითმეზღაპრე ისტორიკოსს არ უკადრებია არც თავისი თავისთვის და არც სტალინისთვის.

**«იყო სტალინი, ნიშნავს სიცრუის სიძულვილსა და ადამიანების დაფასებას, კომუნიზმისთვის საკუთარი სისხლის ბოლო წვეთამდე გაღებას, ბელადის კულტის ესერული ერესის ნაყოფად მიჩნევას და საკუთარ კულტზე თვალის დახუჭვას. სტალინში იყო იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა და ციცერონის ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი, ყველანი იყვნენ... და, თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება»**



ლიონ ფოიხტვანგერი და სტალინი




**ყურადღება!**

**„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**

მსოფლიოს ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპელი მაღალჩინოსნების შეშფოთებას იწვევს კიდევ ერთი პიკანტური დეტალი: ბრიუსელში ნატოს სამიტის დასრულებიდან 3 დღის შემდეგ, 16 ივლისს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გაიმართება დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის პირველი სრულფორმატიანი მოლაპარაკებები. ტრამპის განცხადებით, ის მოუთმენლად ელის პუტინთან შეხვედრას.**

# ტრამპი ძირს უთხრის ევროპას

## «ვაშინგტონ პოსტის» ინფორმაციით, ტრამპი მაკრონს ევროკავშირიდან საფრანგეთის გასვლას სთავაზობდა

**„ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ფრანგ კოლეგა ემანუელ მაკრონს მომგებიანი პირობებით სავაჭრო ურთიერთობა შესთავაზა საფრანგეთის მიერ ევროკავშირის დატოვების სანაცვლოდ. გაზეთის ცნობით, ეს მოხდა ამა წლის 24 აპრილს თეთრ სახლში დონალდ ტრამპისა და ემანუელ მაკრონის შეხვედრისას. ეს საკითხი ტრამპმა მოულოდნელად წამოჭრა ვაჭრობაში არსებულ პრობლემებზე მსჯელობისას.**

შეთავაზებული წინადადების აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ აშშ-სა და საფრანგეთს შორის ამ სავაჭრო გარიგების დადების შემთხვევაში სავაჭრო პირობები ორივე ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე აშშ-სა და ევროკავშირს შორის.

თეთრმა სახლმა ეს ცნობა უკომენტაროდ დატოვა, მაგრამ, ამასთანავე, გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, იმავე შეხვედრაზე ტრამპმა უთხრა მაკრონს, რომ ვაჭრობის საკითხებში ევროკავშირი „ჩინეთზე უარესია“.

**ჩრდილოეთ დაკოტაში ცოტა ხნის წინათ გამართულ მიტინგზე ტრამპმა განაცხადა, რომ ევროკავშირი შეიქმნა აშშ-ის უპირატესობების გამოსაყენებლად, რათა „შეუტიოს ჩვენს ხაზინას“.**

„ტრამპი ევროპის დესტაბილიზაციას ცდილობს“, — ასკვნის „ვაშინგტონ პოსტი“. მანამდე, **G7-ის სამიტზე, ტრამპმა კალამბურივით განაცხადა, რომ „ნატო ცუდია, ისევე, როგორც NAFTA. ტრამპს მხედველობაში ჰქონდა ჩრდილოამერიკული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ჰაერში გამოეკიდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა პირობების რადიკალური გადახედვა მოითხოვა.** უკეთესი არ არის ნატოს მიმართ დამოკიდებულებაც. მეორე ამერიკულმა გამოცემამ Forlign Policy-მ მკითხველებს გაუზიარა ალიანსის წევრი ქვეყნების შიში 11-12 ივლისს ბრიუსელში გასამართი სამიტის წინ. **გამოცემა წერს, რომ ტრამპმა უკვე**



**შეძლო შვიდეულის შეხვედრის გაფუჭება სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ერთი ინფორმაციით, რომელშიც თეთრი სახლის მეთაურმა დიდი ქვეყნების კლუბში რუსეთის დაბრუნება და G8-ის აღდგენა მოითხოვა. ამჟამად, სოციალურ ქსელში ინფორმაციის გამოქვეყნების ნაცვლად, ტრამპმა წერილები გაგზავნა.**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებმა, რომლებიც არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას ნატოს ბიუჯეტში ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის გადარიცხვის შესახებ, მიიღეს გალიზიანებული ტრამპის წერილი, რომელშიც ის პირდაპირ ამბობს: „ამერიკის მოქალაქეებისთვის სულ უფრო ძნელი ასახსნელია, რატომ არ იზიარებს ზოგიერთი ქვეყანა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპებს. გამოცემა წერს, რომ ტრამპის ყველაზე მწვავე კრიტიკა დაიმსახურა გერმანიამ.

ევროპელი მაღალჩინოსნების შეშფოთებას იწვევს კიდევ ერთი პიკანტური დეტალი: ბრიუსელში ნატოს სამიტის დასრულებიდან 3 დღის შემდეგ, 16 ივლისს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გაიმართება დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის პირველი სრულფორმატიანი მოლაპარაკებები. ტრამპის განცხადებით, ის მოუთმენლად ელის პუტინთან შეხვედრას.






# აშშ გარანტიას იძლევა, რომ «ჩრდილოეთის ნაკადი-2»-ის მიმართ სანქციებს არ გამოიყენებს

**აშშ-მა გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს მისცა გარანტია, რომ ვაშინგტონის სანქციები არ გავრცელდება ბუნებრივი აირის მაგისტრალების მშენებლობაზე რუსეთის მონაწილეობით.**



ამრიგად, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ (Nord Stream 2) აშშ-ის სანქციების ზონიდან გამოდის. წყალქვეშა გაზსადენი — რუსული „გაზპრომის“ პროექტი — უკვე შენდება დასავლეთ ევროპის რამდენიმე კომპანიის მონაწილეობით და ამ პროექტს აქტიურად ლობირებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

შეგახსენებთ, რომ 2017 წელს მიღებული კანონი CAATSA („ამერიკის მოწინააღმდეგე მხარის სანქციების დაწესების შესახებ“) ითვალისწინებს ცალმხრივი შემზღუდველი ზომების გამოყენებას ევროკავშირის იმ ფორმების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის რეალიზაციაში. გაზსადენის მშენებლობის პროექტის ოპერატორია რუსული „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია Nord Stream 2 AG.

გაზსადენის მარშრუტი 90%-ით არის შეთანხმებული, ის დააკავშირებს რუსეთის ლენინგრადის ოლქს გერმანიასთან და უზრუნველყოფს წელიწადში 55 მლრდ კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის გადაქაჩვას.

„ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილია 2019 წლის ბოლოს. პროექტი შეფასებულია 9,5 მლრდ ევროდ.

გაზსადენის ამუშავების შედეგად ევროკავშირი გარანტირებულად მიიღებს რუსულ ბუნებრივ აირს და ეს მოხდება სატრანზიტო ქვეყნებისგან — უკრაინა, ბელარუსი და სხვ. — დამოუკიდებლად.

# ამერიკელების 72 პროცენტი მიიჩნევს, რომ ტრადიციული საინფორმაციო გამოცემები ხშირად ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ

**კვლევა ჩაატარა ორგანიზაცია Survey Monkey-მ.**

ორგანიზაციის მიერ აშშ-ში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ამერიკელების 72% მიიჩნევს, რომ ტრადიციული საინფორმაციო გამოცემები ხანდახან ან ხშირად ავრცელებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც, თვითონაც იციან, რომ სიცრუეა. გამოკითხულთა მხოლოდ 25% თვლიდა, რომ საინფორმაციო გამოცემები სიცრუეს იშვიათად ან საერთოდ არ ავრცელებენ.

# საფრანგეთის ციხიდან რეციდივისტი ვერტმფრენით გაიქცა





**გამოცემა Parisien-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რეციდივისტი რედუან ფაიდი, რომელიც ყაჩაღური თავდასხმისთვის 25-წლიან სასჯელს იხდიდა, საფრანგეთის ციხიდან ვერტმფრენის დახმარებით გაიქცა.**

დამნაშავე პარიზის ახლოს მდებარე ციხიდან 1 ივლისს, დილით გაიქცა. გავრცელებული ინფორმაციით, მას სამი შეიარაღებული თანამზრახველი ეხმარებოდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. ფაიდმა კი საპატიმრო დაწესებულება იმ ვერტმფრენით დატოვა, რომელიც ბელგიაშია რეგისტრირებული.

მოგვიანებით ეს ვერტმფრენი საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში დამწვარი იპოვეს.

ხუთი წლის წინათ აღნიშნული პირი ციხიდან კედლის აფეთქების შედეგად გაიქცა და მძევლად დაწესებულების თანამშრომლებიც აიყვანა.

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

ხელისუფლების სათავეში დონალდ ტრამპის მოსვლის შემდეგ აშშ თანდათან სცილდება გლობალიზმს, უარს ამბობს იდეალიზმზე რეალიზმის სასარგებლოდ. გაჩნდა ნაციონალისტური რიტორიკა — „ამერიკა — უწინარეს ყოვლისა!“, აშშ თავის თავზე კონცენტრირდება. მსოფლიოს ამერიკანიზაცია ვაშინგტონისთვის მომგებიანი აღარ არის. გადაფასდა აშშ-ის როლი მსოფლიოში, მისი ურთიერთობა მოკავშირეებსა და მოწინააღმდეგეებთან, მისი პოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებში.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა დგას ჰელსინკის შეხვედრასა და პენტაგონის შეფის აზიური ვოიაჟის მიღმა?



**ბოლო დღეებში ყურადღებას იპყრობდა ორი მოვლენა, მათი ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე.**

ეს, უპირველესად, იყო რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების: ვლადიმირ **პუტინისა** და **დონალდ ტრამპის** შეთანხმება შეხვედრის თარიღისა და ადგილის თაობაზე. შეხვედრა 16 ივლისს ჰელსინკში გაიმართება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კომპრომისული წინადადებები, რომლებიც ამერიკულმა მხარემ მიიღო.

**პირველი:** ჰელსინკი, რომელიც გაგვახსენებს 1975 წლის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ამ ქალაქში ხელმოწერილ დასკვნით აქტს, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობის გარანტიად იყო წარმოდგენილი, მაგრამ ხელი არ შეუშალა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა-დანაწევრებას. ფინეთის დედაქალაქი ისე ახლოსაა რუსეთთან, რომ ზოგიერთმა ამერიკულმა გაზეთმა კიდეც უსაყვედურა თეთრ სახლს, რატომ დათანხმდა მოლაპარაკების გამართვას რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე(!).

**მეორე:** აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, **ჯონ ბოლტონის**, რუსეთში ჩასვლის წინა დღეს ტრამპმა მოსკოვს შესთავაზა „დიდი შვიდეულის“ ელიტურ კლუბში დაბრუნება. რუსულ-ამერიკული კონტექსტიდან ჩანს, რომ ვაშინგტონი მოსკოვთან ამგვარი ხიდის გადებით მზად არის ნატოში თავის უახლოეს მოკავშირეებთან ურთიერთობის გასამწვავებლად.

**მესამე:** შეხვედრის თაობაზე შეთანხმების გამოქვეყნებისთანავე თეთრმა სახლმა დააზუსტა: ტრამპი იმედოვნებს სირიის კრიზისი ისე მოაგვაროს, რომ საშუალება ჰქონდეს აშშ-ს, გამოიყვანოს ჯარები ამ ქვეყნიდან და დათანხმდეს იმ ტერიტორიის დაკავებას, რომელსაც აკონტროლებს **ბაშარ ასადის** არმია. ეს სირიის ტერიტორიული მთლიანობის შეფარული



აღიარებაა, პლუს ტერორისტების „ჩაშვება“, რომლებსაც აქამდე აშშ მფარველობდა.

**მეორე მოვლენა,** რომელიც, როგორც ჩანს, პირველთან დაკავშირებულია არა მხოლოდ გეოპოლიტიკურად, არამედ სიმბოლურად, **ტრამპისა** და **კიმ ჩენ ინის** სინგაპურში შეხვედრის შედეგებს უკავშირდება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია აშშ-ის თავდაცვის მინისტრ **ჯეიმს მეტისის** მოგზაურობაზე პეკინსა და სეულში. ისევე, როგორც ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში მიიღო **ბოლტონი,** მეტისი მიიღო ჩინეთის ლიდერმა **სი ძინპინმა;** შემდეგ ჩავიდა სამხრეთ კორეის დედაქალაქში და მოლაპარაკება გამართა თავის ადგილობრივ კოლეგასთან — **სონ ენ მუსთან.**

მას შემდეგ, რაც მან ჩინეთისგან არაორაზროვანი პასუხი მიიღო, რომ ეს კომუნისტური ქვეყანა არავითარ კომპრომისს არ დათანხმდება სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში, მეტისმა სეულიდან საპასუხო „მესიჯი“ გაგზავნა. პენტაგონის ხელმძღვანელმა შეაჩერა ერთობლივი წვრთნა და განაცხადა, რომ ამერიკელების სამხედრო შტაბს სეულიდან ფხენტეკში გადაიტანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებიდან დაშორებით. ამასთანავე, დაჰპირდა, რომ აამოქმედებს მექანიზმს ომის შემთხვევაში სამხრეთ კორეის ჯარების მართვის შტაბის სამხრეთ კორეელებისთვის გადასაცემად. **ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ამერიკის მხრიდან რუსეთ-ჩინეთის „საგზაო რუკის“ წინადადებების შესრულებაზე დასტური კორეის ნახევარკუნძულზე ვითარების დარეგულირების საკითხში.**



# აშშ პუერტო-რიკოს იერთებს

**პუერტო რიკოს აშშ-ის 51-ე შტატად გადაქცევის შესახებ კანონპროექტი აშშ-ის კონგრესში 28 ივნისს შეიტანა ქვედა პალატის წარმომადგენელმა ჯენიფერ გონსალეს-კოლონმა.**

**„ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘᲐ. ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲙᲕᲐᲚᲐ ᲞᲣᲔᲠᲢᲝ-ᲠᲘᲙᲝᲡ ᲓᲔᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲐ“,** — განაცხადა კუნძულელმა ქალბატონმა.

კანონპროექტს მხარს უჭერენ ორივე პარტიის კონგრესმენები: 15 დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიის 22 წარმომადგენელი. ამ პარტიას ბოლო პერიოდში „ტრამპის პარტიად“ მოიხსენიებენ. მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტი იზიარებს „გარიგებას“, რომელიც პუერტო-რიკოს შემოერთებაზე არის დადებული.

კანონის მიღების შემდეგ წარმომადგენელთა პალატა და სენატი დაამტკიცებენ სპეციალურ კომისიას, რომელიც გადაწყვეტს შემოერთების ტექნიკურ საკითხებს. არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრისა პუერტო-რიკო და რამდენიმე პატარა კუნძული აღიარებული იქნება აშშ-ის 51-ე შტატად.

კანონპროექტი შეიქმნა პუერტო-რიკოს ხალხის ნების საფუძველზე. ჯერ კიდევ 2012 წელს იქ მოეწყო რეფერენდუმი, რომლის შედეგად, ამომრჩეველთა 54 პროცენტმა განაცხადა, რომ სურს, თავიანთი ქვეყანა აშშ-ის შტატად იხილოს. 2017 წელს გაიმართა მეორე რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა აბსოლუტური უმრავლესობის (97 პროცენტის) ნება აშშ-თან შეერთების.

**ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ:**

**120 წლის წინათ, ესპანეთთან ომის შემდეგ, პუერტო-რიკო გადაეცა აშშ-ს, მაგრამ დღემდე ვერ გახდა სრულუფლებიანი შტატი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები ამერიკის მოქალაქეებად ითვლებიან.**

# აშშ იმპერიაა, მაგრამ როგორი?



**ხელისუფლების სათავეში ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ მოსვლის შემდეგ აშშ თანდათან სცილდება გლობალიზმს, უარს ამბობს იდეალიზმზე რეალიზმის სასარგებლოდ. გაჩნდა ნაციონალისტური რიტორიკა — „ამერიკა — უწინარეს ყოვლისა!“, აშშ თავის თავზე კონცენტრირდება. მსოფლიოს ამერიკანიზაცია ვაშინგტონისთვის მომგებიანი აღარ არის. გადაფასდა აშშ-ის როლი მსოფლიოში, მისი ურთიერთობა მოკავშირეებსა და მოწინააღმდეგეებთან, მისი პოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებში.**

დღეს აშშ თავს წარმოაჩენს არა როგორც ძველი ტიპის იმპერია, რომელიც ფლობს უზარმაზარ ტერიტორიებს, არამედ მას თავი თანამედროვე თავისუფლების იმპერიად მიაჩნია, რომლისთვისაც აუცილებელი არ არის, რომ მსოფლიო რუკაზე ეწეროს „აშშ“, რადგან ისედაც ყველას ესმის,

რომ ზოგიერთი ქვეყანა იმდენად მოქცეულია ვაშინგტონის გავლენის ქვეშ, რომ ბევრს ისინი სუვერენულ სახელმწიფოებად არც მიაჩნია.

რომელ ქვეყნებზეა საუბარი? რაში გამოიხატება იმპერიული ძლიერება?

დღეს იმპერიული ძლიერების მაჩვენებლად მიჩნეულია მისი სამხედრო ბაზების რაოდენობა, ასევე, სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში მონაწილეობა, სად გადის სასწავლო კურსს ვასალი ქვეყნებისა და მოკავშირეების არმიების გენერალიტეტი. მაგალითად, იაპონიის ან სამხრეთ კორეის სამხედრო მოსამსახურეები მასობრივად სწავლობენ ვესტ-პოინტში.

**მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სად სწავლობს პოლიტიკური ელიტა. თავის დროზე ᲖᲑᲘᲒᲜᲔᲕ ᲑᲟᲔᲖᲘᲜᲡᲙᲘ წერდა, რომ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი მიიზიდონ რუსეთიდან ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში რუსეთის პროამერიკული ელიტის ჩამოსაყალიბებლად.**

მსოფლიო მასშტაბით აშშ-ის მიერ დაწესებული ფინანსური კონტროლიც მნიშვნელოვანია.

ეს ნიშნავს, რომ შეიცვალა იმპერიის განსაზღვრა.

გასაგებია, რომ, მაგალითად, იაპონია მცირემიწიანი ქვეყანაა და რეალურად სჭირდება საცხოვრებელი სივრცე, მაგრამ, თუ არსებობს ტერიტორიის ერთგვარი სიჭარბე, იგი შეიძლება ზედმეტ ტვირთადაც იქცეს. ალბათ, სწორედ ამ მიზეზით ამერიკელები ათწლეულების განმავლობაში საჭიროდ არ თვლიდნენ პუერტო-რიკოს მიერთებას. საკმარისი იყო კუნძულების გაკონტროლება, ამერიკელი სამხედროების იქ ყოლა, ელიტა კი იქ ისედაც პროამერიკული იყო.

მაგალითად, **უწინ ბევრ ევროპულ ქვეყანას ჰქონდა კოლონიები, დღეს კი ყოფილი მეტროპოლიების როლს ასრულებს ტრანსეროვნული კორპორაციები, რომლებიც ქვეყნებიდან მათი რესურსების ამოწოვით არიან დაკავებულნი. ამას უკვე ნეოკოლონიალიზმს უწოდებენ.**

დინასტია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიახლეთა ამ ერთობლიობამ ჩვენი კლინიკა ჩამოაყალიბა ონკოლოგიურ დაწესებულებად, რომელშიც ონკოპაციენტებს აქვთ შესაძლებლობა დიაგნოსტიკით დაწყებული, მკურნალობითა და მკურნალობის შემდგომი მონიტორინგით დამთავრებული ჩაიტარონ ყველა აუცილებელი სამედიცინო მანიპულაცია, იქნება ეს პოზიტრონული ტომოგრაფია თუ გენეტიკური კვლევა...**

# პროგრესის ლოგიკა, რომელიც ფრიდონ თოდუას კლინიკაში გრძელდება

**დედ-მამა, ბებიები და ბაბუები ორივე მხრიდან — ექიმების დინასტია. წესითა და რიგით, გიორგი დიასამიძეს „საგვარეულო პროფესია" უნდა აერჩია — ექიმი უნდა გამხდარიყო, მით უფრო, რომ მისი ბაბუა — დედის მამა — ლეგენდარული აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა იყო. მაგრამ:**
**— პროფესიით ექიმი არ ვარ, — მეუბნება გიორგი.**
**ვთქვა — ბატონი გიორგი, არ მოუხდება, უბატონოდ მიმართვა შეიძლება უპატივცემულობაში ჩამეთვალოს. ამიტომ ვიჩქარი, გაცნობოთ: გიორგი დიასამიძე, რომელსაც კლინიკაში ვსტუმრობ, დიდი ფრიდონ თოდუას მემკვიდრე, მხოლოდ 19 წლის არის. მომიტევებს, რადგან ისეთ ოჯახში გაიზარდა, საქართველოს იმ კუთხის ტრადიციებზე, დედებს ფეხზე ადგომით რომ ელაპარაკებიან.**
**დანარჩენს ინტერვიუდან შეიტყობთ.**

— „მედიკოსთა გარემოში" ვიზრდებოდი, ბაბუაჩემის ხელში. და ძალიან მინდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, — განაგრძობს ჩემი რესპონდენტი, — ჩემთვის საოცნებო და სანატრელი იყო პაციენტთან ურთიერთობა და ავადმყოფისთვის დახმარების აღმოჩენა.

**„ღრმა ბავშვობიდან" (მისი გამონათქვამია, ერთგვარად ირონიული შეფასება ავტობიოგრაფიის „ადრეული" პერიოდის) ფრიდონ თოდუას სახელგანთქმული კლინიკის ექიმთა გარემოცვაში ტრიალებდა, აქ ითვისებდა სასურველი პროფესიის ანაბანას, თუნდაც ბავშვური აღქმის დონეზე.**

**— მაგრამ რაღაც მოხდა ისეთი, რამაც სხვა გზით წაგიყვანათ?**

— ამ გზიდან გადახვევის მთავარი მიზეზი მაინც ბაბუაჩემი იყო. ადამიანი, რომელიც თვითონ იყო მოწოდებით ექიმი და თვლიდა, რომ ამაზე უკეთესი პროფესია არ არსებობს. მან მითხრა, რომ ექიმობა ძალიან კარგია, მაგრამ მოითხოვს უპრეცედენტო თავდადებას, ხანგრძლივ სწავლას და კარგ ექიმად ჩამოყალიბებამდე ძალიან გრძელი გზის გავლა დამჭირდებოდა. მას კი დღეს სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც გვერდში დაუდგებოდა, გარკვეული იქნებოდა სიტუაციაში, სამედიცინო სფეროს ადმინისტრირებაში. მირჩია, პრაქტიკულად, მთხოვა, მეფიქრა სამედიცინო მენეჯმენტზე.

რამდენიმე წელიწადი დამჭირდა, ეს რჩევა რომ გამეთავისებინა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად საინტერესოა მენეჯმენტი, თანაც მედიცინასთან შეხება მექნებოდა, შევთანხმდით, რომ უმაღლესი განათლება სამედიცინო მენეჯმენტის მიმართულებით მიმეღო.

დღეს ჩემს საქმიანობაში ყველაზე სასიამოვნო პროცესად მიმაჩნია პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან ურთიერთობა და მათთვის მაქსიმალური დახმარების აღმოჩენა.

**— გაქვთ კონტაქტი? მოდიან?**

— მოდიან, რა თქმა უნდა, როგორც ფრიდონ თოდუას შვილიშვილთან. მისი და ჩემი მეგობრები, ნაცნობები და სრულიად უცხო ადამიანები, რომლებსაც ბაბუაჩემის სახელი სმენიათ. და, პირდაპირ გეტყვით: ეფექტიანი დახმარების საშუალება მაქვს იმ ინოვაციების წყალობით, რომლებიც ბაბუამ დანერგა და აამოქმედა თავის კლინიკაში დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის თვალსაზრისით. ვსწავლობდი შვეიცარიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, ვსწავლობდი აქაც, მაგრამ თუ რამე ვიცი, რასაც დღეს რეალურად ვიყენებ ჩემს სამუშაო პრაქტიკაში, აბსოლუტურად ყველაფერი ბაბუისგან მოდის. ღია ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. ვეკამათებოდი ყოველთვის. კამათში, რასაკვირველია, ვმარცხდებოდი, მაგრამ ამას სხვებთან არასოდეს მაგრძნობინებდა. პირიქით, ხშირად შევუქივარ კიდეც: კარგია, რომ საკუთარი აზრის დაცვა შეუძლიაო.

**— ბაბუას ღვაწლზე მელაპარაკებით...**

— აქვე დავუმატებდი მადლიერების სიტყვებს მისი თანამშრომელი ექიმების მიმართ, რომლებშიც დომინირებს ფრიდონ თოდუას პიროვნება, მისი მოსწავლეები იყვნენ და დარჩნენ ასეთებად.

**— ბატონი ფრიდონი იყო უნიკალური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთ ადამიანში შერწყმული იყოს ნიჭი და უნარი, ცოდნა და გამოცდილება მკურნალისა და მენეჯერის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მედიცინის რეფორმატორისა და, ამ ყველაფერთან ერთად, გულმოწყალე ადამიანის, სიტყვის კაცის მრავალმხრივობა.**

— იგი, უწინარეს ყოვლისა, იყო ექიმი და შემდეგ — სხვა დანარჩენი. მის სამუშაო ოთახში ყოველთვის მოწიწებით შევდივარ, მხოლოდ როგორც მისი საყვარელი შვილიშვილი. **ამ დაწესებულებაში მის მიერ განხორციელებული ყველა სიახლე ჩემთვის ძვირფასია. არავითარი ილუზია არ მაქვს, რომ მომავალი ბევრი წლის განმავლობაში შევძლებ ისეთი გარღვევების გაკეთებას, რომლებიც მან თავის დროზე დანერგა. მიმაჩნია, რომ ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მე დამეკისრა თანამშრომლების, პაციენტებისა და უწინარესად, ბაბუაჩემის ხსოვნის წინაშე, მავალდებულებს, მაქსიმალურად ხელი შევუწყო მუდმივი განახლების პროცესს, რომელსაც იგი ერთგულებდა მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში.** ბედნიერება მქონდა, მისგან მესწავლა, რომ, მედიცინა არის ბიზნესი, მაგრამ, თუ დაგეკისრა სამკურნალო დაწესებულების გაძღოლა, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული უნდა იყო ადამიანის, პაციენტის გამოჯანმრთელებაზე მსოფლიო მედიცინის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობითა და მათი პრაქტიკულად გამოყენების საშუალებით. სხვა დანარჩენი, რაც თან ახლავს ამ ტიპის დაწესებულების მართვას, ავტომატურ რეჟიმში განხორციელდება. მე, შეიძლება, ექიმი არ ვარ, მაგრამ ვიცი, რომ გათვლა ყოველთვის პაციენტზე უნდა გაკეთდეს — მისთვის და მის სასარგებლოდ.

**— გადაწყვეტილებების მიღების ურთულესი პერიოდი გიდგათ. თუ გქონდათ ისეთი მომენტები, რომ გიფიქრიათ — ბაბუაჩემი რას გააკეთებდაო ამგვარ შემთხვევაში?**

— ეს პერიოდი ჩემი მართლაც დიდი ტრანსფორმაციის ეტაპია. ვისაც ჩვენ კლინიკასთან ჰქონია შეხება, აუცილებლად შეამჩნევდა, რომ აქ დახვეწილობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა — ექიმის გარეგნულობით, პაციენტთან ურთიერთობით დაწყებული, მკურნალობის ეფექტიანობით დამთავრებული.

ასეთ გარემოში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება უდიდეს პასუხისმგებლობას უკავშირდება, რადგან ყველაფერი უნდა გაგრძელდეს ფრიდონ თოდუას სახელით, უნდა განახორციელონ მისთვის ძვირფასმა და საყვარელმა კოლეგებმა, რომლებშიც მან ძალიან დიდი ინვესტიცია ჩადო (არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ფინანსურ ინვესტიციას).

თავიდან რთულად წარმომედგინა ამ დიდი საქმის გაძღოლა, მაგრამ, როცა თანდათან დაწყნარდა სიტუაცია, გაქრა დაბნეულობა, თანამშრომლებმა იგრძნეს სტაბილურობა, მეც შედარებით წელში გავიმართე.

თქვენს შეკითხვას ასე ვუპასუხებ: ცალკეულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში კი არა, ყოველთვის ფრიდონ თოდუაზე ვარ ორიენტირებული, ჩემს თითოეულ გადაწყვეტილებას ვუსადაგებ მის მოთხოვნებს. ვნატრობ, მოხდეს სასწაული — ერთი წერილი გამომიგზავნოს თავისი შენიშვნებით — ახლა ყველაზე მეტად მჭირდება მისი რჩევა და დარიგება. ასე მგონია, რომ ბევრ რამეს უფრო მარტივად და უფრო სწორად გამაკეთებინებდა.

მამხნევებს და ძალას მმატებს ის, რომ, როცა იგი იწყებდა თავის დიდ საქმეს, არავინ ჰყავდა გზის გამკვალავი, მე კი მყავს ბაბუაჩემი — ფრიდონ თოდუა, რომელიც ჩემი ორიენტირია — საქმეშიც, რომელიც დამიტოვა და, საერთოდ, ცხოვრებაში. თავიდანვე მაკვალიანებდა, მასწავლიდა, მზრდიდა: 9 წლის ვიყავი, მეოთხე კლასში ვსწავლობდი, როცა მასთან ერთად ჩიკაგოში მედიკოსთა კონგრესზე დასწრების შესაძლებლობა მქონდა.

ყოველთვის ყურადღებით მისმენდა. ბანალური აზრიც რომ გამომეთქვა, ცდილობდა, რაიმე რაციონალური მარცვალი დაეჭირა, დაეხვეწა და ჩამოეყალიბებინა, როგორც საკითხის მოგვარების გადაწყვეტილება. ამ დროს რა შეცდომაც გინდა დამეშვა, ყოველთვის გვერდით მყავდა ადამიანი, რომელიც სწორ გზაზე დამაყენებდა.



**გადაწყვეტილების მიღების არ მეშინია. ყოველთვის ვცდილობ, ისეთი რამ არ გავაკეთო, რაც მას არ მოეწონებოდა, თუმცა უშეცდომო არავინ ვართ. ბაბუაჩემი ძალიან რისკიანი კაცი იყო და, მგონი, არ გამემტყუნება, მასავით რისკიან ნაბიჯს ყოველთვის თუ ვერ გადავდგამ**

გადაწყვეტილების მიღების არ მეშინია. ყოველთვის ვცდილობ, ისეთი რამ არ გავაკეთო, რაც მას არ მოეწონებოდა, თუმცა უშეცდომო არავინ ვართ. ბაბუაჩემი ძალიან რისკიანი კაცი იყო და, მგონი, არ გამემტყუნება, მასავით რისკიან ნაბიჯს ყოველთვის თუ ვერ გადავდგამ.

**— ბატონ ფრიდონ თოდუას მოღვაწეობა, ვთქვათ ასე: პროგრესის ლოგიკით გამოირჩეოდა, სიახლის დანერგვის ლოგიკით, თანაც უთანამედროვეს დონეზე.**

— მისი ლოგიკა იყო ინოვაცია, წინსვლის ლოგიკა, რომელსაც ვერანაირი ძალა ვერ დააბრკოლებდა. მე ვიცი, რამდენი საათი, დღე და წელიწადიც კი სჭირდებოდა თითოეული გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

**— უდიდესი ენერგია ჰქონდა, რომელიც ხშირად ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა.**

— დიახ. განვითარების შესაძლებლობათა იმ დონემ, რომელიც მან ამ დაწესებულებაში შექმნა და დატოვა, საშუალება მოგვეცა, წარმატებით გაგვეგრძელებინა წინსვლა-განვითარების ის ლოგიკა, რომელზეც ვლაპარაკობთ. გავხსენით ახალი პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფიის განყოფილება. ამ განყოფილების ამოქმედებამდე ბევრი ჩვენი თანამემამულე იძულებული იყო, უცხოეთში გამგზავრებულიყო და იქ ემკურნალა. ამჟამად უახლესი თაობის ეს ხუთრგოლიანი ტომოგრაფი, რომელიც აშშ-ის „ჯენერალ ელექტრიკის" ფირმის შექმნილია, ფუნქციონირებს ჩვენთან და შესაძლებლობა გვაქვს, დავეხმაროთ ყველას, ვინც ამას საჭიროებს. აქვე გეტყვით, რომ ამგვარი აპარატი, ევროპის მასშტაბით ბევრს არ გააჩნია. ამას გარდა, შევიძინეთ რადიოლოგიური 384-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი და სამი ტესლა სიმძლავრის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი ფირმა „სიმენსისგან". აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის მსოფლიოში პირველი შემთხვევა, როცა ერთ სამედიცინო დაწესებულებაში დგას ფირმა „სიმენსის" ბოლო თაობის კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფები, რომლებიც დიაგნოსტიკურ მიმართულებას ემსახურება.

**ამ აპარატურის პირველი პრეზენტაცია გაიმართა აშშ-ის ქალაქ ჩიკაგოში 2017 წლის ნოემბერში, 2018 წლის მარტში კი ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის კონგრესზე ფირმა „სიმენსთან" გავაფორმეთ ხელშეკრულება დანადგარების შესაძენად. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ფირმა „სიმენსმა" ერთ-ერთ ცნობილ გერმანულ გამოცემაში დაწერა, რომ ვერასდროს წარმოვიდგენდით, ევროპის ცენტრიდან ასე დაშორებულ ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში, ერთდროულად ამოქმედებულიყო ორივე აპარატი.**

სიახლეები გვაქვს ლაბორატორიული მიმართულებითაც. ეს არის ახალი ჰემატოლოგიური ბიოქიმიური ანალიზატორები, რომლებიც უკვე ფუნქციონირებს ჩვენს კლინიკაში. ასევე, რეგიონში პირველი უახლესი თაობის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის, ანუ ექოსკოპიის აპარატი, რომელმაც ახალ დონეზე გადაიყვანა ულტრაბგერითი გამოსახულება.

ახალ შენობაში, რომელსაც უახლოეს მომავალში დავამთავრებთ, ავამოქმედებთ ჰემატოლოგიურ და ონკოჰემატოლოგიურ მიმართულებას ზრდასრული პაციენტებისთვის. ორიოდ თვეა, რაც ჩვენთან ფუნქციონირებს სისხლძარღვთა ქირურგიული განყოფილება.

**სიახლეთა ამ ერთობლიობამ ჩვენი კლინიკა ჩამოაყალიბა ონკოლოგიურ დაწესებულებად, რომელშიც ონკოპაციენტებს აქვთ შესაძლებლობა, დიაგნოსტიკით დაწყებული, მკურნალობითა და მკურნალობის შემდგომი მონიტორინგით დამთავრებული ჩაიტარონ ყველა აუცილებელი სამედიცინო მანიპულაცია, იქნება ეს პოზიტრონული ტომოგრაფია თუ გენეტიკური კვლევა...**

**— გენეტიკური კვლევაც?**

— დიახ! (ეს ბატონი ფრიდონის დანერგილია, მან ზუსტად იცოდა გენეტიკური კვლევების მნიშვნელობა ონკოლოგიაში), თუ ინტერვენციული პროცედურები, რომელთაც არ ჩამოვთვლი, ცოტა არ არის. ყველა ეს სერვისი ერთ სივრცეშია თავმოყრილი და პაციენტებისთვის დიდი კომფორტია. არც ერთი ▶

**მართალია, „ნაცმოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“, „გირჩის“, ქართული ნაცისტური თუ სხვა აგრესიული პარტიების თუნდაც ყოვლად ინტელექტუალური წევრებისა თუ მხარდამჭერების მოღვაწეობა ქვეყნისთვის ფრიად არასასურველი მოვლენაა, მაგრამ, საბოლოოდ, დიდად საშიში მაინც არ არის — ეს არ გახლავთ ინტელიგენცია და, შესაბამისად, მისი გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე სიმბოლურია.**

PRO ET CONTRA
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გამოკვლევის ჩატარებისთვის ამ სივრციდან ნაბიჯის გადადგმა მათ არ დასჭირდებათ.

მაქსიმალურად რომ მივაღწიოთ უმაღლეს ხარისხს პოზიტრონული მიმართულებით, უცხოეთიდან ჩამოვიყვანეთ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, ავსტრიელი პროფესორი, ვენის ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების ბირთვული მედიცინის განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი მირზაი, რომელიც ჩვენს რადიოლოგებთან ერთად მუშაობს პოზიტრონ-ემისიურ ტომოგრაფიულ კვლევებზე. ჩვენმა ექიმებმა ამერიკასა და ბელგიაში გაიარეს რამდენიმეთვიანი მომზადება და გვინდა, რომ მათ მუშაობას აკვირდებოდეს აბსოლუტურად მიუკერძოებელი პროფესიონალი, შეაფასოს მათი საქმიანობა და, საჭიროებისამებრ, დაეხმაროს კიდეც.

დავიწყეთ მომზადება ერთი ძალიან ცნობილი აკრედიტაციის მისაღებად (ჯერ არ გაგიმხელთ სახელწოდებას), რომელიც მოითხოვს ძალიან სერიოზულ, რამდენიმეწლიან მომზადებას. ეს არის გზა, რომლითაც შევძლებთ, მივუახლოვდეთ ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებს.

**— მოწყალე კაცის ბუნებიდან გამომდინარე, ბატონი ფრიდონი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა აფხაზეთიდან და ცხინვალიდან სამკურნალოდ ჩამოსულ პაციენტებს.**

— ბაბუაჩემისთვის ეს თემა მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. მინდა გითხრათ, რომ ამ საქმეს ჩვენც ისეთივე ყურადღებით ვეკიდებით და ვაგრძელებთ, როგორადაც ბატონ ფრიდონის სიცოცხლეში კეთდებოდა. ყველა ეს პაციენტი ჩვენგან ისეთივე სითბოთი და სიყვარულით არის გარემოსილი, როგორც ჩვენი თანამემამულეები ნებისმიერი რეგიონიდან.

**— თქვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ხალხში ფრიდონ თოდუას სახელით იყო ცნობილი. ხომ არ გაოფიციალურდა ეს სახელი?**

— ამ ეტაპზე კლინიკას ეწოდება აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი. ოფიციალური სახელწოდება კი ყოველთვის ასეთი იყო: კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ბაბუას გარდაცვალების შემდეგ ოჯახმა გადავწყვიტეთ, რომ შეგვენარჩუნებინა ის სახელწოდება, რომელიც მისი იდეა იყო, თუმცა დახვეწა გამორიცხული არ არის. მიმაჩნია, რომ „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი“ სრულად გამოხატავს მისი დამფუძნებლის ღვაწლს, რომელიც მან საქართველოში მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას დასდო.

ესაუბრა
**არჩილ სანებლიძე**

**P.S. ერთმა ღვაწლმოსილმა ადამიანმა, თავის საქმეში უაღრესად წარმატებულმა პროფესიონალმა მითხრა:**
**— ახალი თაობა მოდის, მისი დრო დადგა.**
**— შვილების?**
**— არა — შვილიშვილების!**
**გიორგი დიასამიძეს რომ ვუყურებ, ვამბობ: ეს თაობა უკვე მოსულია.**
**წარმატებული იყოს!**

**ა.ს.**

# INTELLIGENTIS

**ამ ლათინური ტერმინით საბჭოთა სინამდვილეში მოიხსენიებოდა საზოგადოების ნაწილი, რომლის პროფესიული საქმიანობაც დაკავშირებული იყო ინტენსიურ გონებრივ შრომასთან. ჩვეულებრივ, ამ ჯგუფში მოიაზრებოდნენ მწერლები, პოეტები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები, ექიმები, იურისტები, პედაგოგები, პუბლიცისტები... საერთოდ, მწერლობასთან, მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან დაკავშირებული ადამიანები. მოკლედ, საბჭოთა გაგებით, ინტელიგენტი გახლდათ ხელოვნების სფეროს წარმომადგენელი და არა პარტიული ბოსი.**



თეიმურაზ ქორიძე

დავეთანხმები ყველას, ვინც ფიქრობს, რომ ინტელიგენციის ამგვარი განმარტება, რბილად რომ ვთქვათ, მთლად ზუსტი არ არის. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ, უკვე დიდი ხანია, საზოგადოების ინტელექტუალური (მოაზროვნე) ნაწილის აღსანიშნავად ტერმინი „ინტელიგენცია“ ცივილიზებულ სამყაროში ძალზე იშვიათად ან საერთოდ არ გამოიყენება.

**თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში საზოგადოების მაღალინტელექტუალური, მოაზროვნე ნაწილი გათქვეფილია „მასაში“, შეუმჩნეველია ან დაუფასებელია. პირიქით — ხედავენ კიდეც, აფასებენ კიდეც, პრივილეგიებსაც ანიჭებენ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ეს არის ბუნებრივი მოვლენა და გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით საზოგადოების გრადაცია, შესაძლოა, განსხვავებული იდეოლოგიის მქონე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის მწვავე დაპირისპირების საფუძვლად იქცეს.**

ჩემი აზრით, საბჭოთა სინამდვილისას სავსებით შეგნებულად, ხელისუფლების დიდი მონდომებით „მასების“ შემეცნებაში გაიგივდა ორი ცნება: „ინტელექტუალი“ — გონიერი, მოაზროვნე, შემოქმედი ადამიანი და „ინტელიგენტი“ — აგრეთვე გონიერი, მოაზროვნე, შემოქმედი და ამავე დროს პრინციპული, თავისი იდეების ერთგული, პატიოსანი, თავდადებული, მოუსყიდველი, დახვეწილი მანერებისა და შეუბღალავი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, ანუ ინტელექტუალი იქცა ინტელიგენტად.

**ნებისმიერი ინტელექტუალი არ შეიძლება იყოს და არც არის ინტელიგენტი. ამის დასტურად მეთხუთმეტე საუკუნის გენიალური ფრანგი პოეტისა და მოაზროვნის, ამავე დროს მძარცველის, მკვლელისა და შარაგზის ყაჩაღის, ფრანსუა ვიიონის, მაგალითიც გამოდგება.**

მართალია, ფრანსუას აზროვნების დონემდე ბევრი უკლიათ, მაგრამ თანამედროვე საქართველოში ინტელიგენტის სახელს ვერც ახლა და ვერც მომავალში ვერ დაიმკვიდრებენ ისეთი ამბიციური და ინტელექტუალობაზე არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიების მქონე პოლიტიკური „მოღვაწეები“, როგორებიც ბრძანდებიან **გიგა ბოკერია, სერგო რატიანი, რომან გოცირიძე, სვიმონ მასხარაშვილი, ნიკა გვარამია** და ბევრი სხვა. ამის მიზეზი ძალიან უბრალო და შთამბეჭდავია — ისინი მკვლელების, მძარცველების, მოძალადეების, ავანტიურისტების, პროვოკატორების და საქართველოს მავნებლების პარტიის წევრები და მხარდამჭერები არიან.

**საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების, უფრო პროზაულად, «მასებისთვის» თავგზის აბნევის და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ხელისუფლებები ქმნიან არა ინტელიგენციას, არამედ მეტ-ნაკლებად ინტელექტუალური ადამიანების ერთობას**

მართალია, მკვლელების, მოძალადეების, ავანტიურისტების პარტიის არც წევრია და არც მხარდამჭერი, პროფესორის საპატიო ტიტულის მფლობელი, და, კაცმა რომ თქვას, ერთი უწყინარი ადამიანია, მაგრამ ინტელიგენტის სახელს ვერასოდეს დაიმსახურებს ქალბატონი **გუგული მაღრაძე** პარლამენტის ტრიბუნიდან მის მიერ გაკეთებული მოუფიქრებელი, უპასუხისმგებლო განცხადებების გამო.

მართალია, „ნაცმოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“, „გირჩის“, ქართული ნაცისტური თუ სხვა აგრესიული პარტიების თუნდაც ყოვლად ინტელექტუალური წევრებისა თუ მხარდამჭერების მოღვაწეობა ქვეყნისთვის ფრიად არასასურველი მოვლენაა, მაგრამ, საბოლოოდ, დიდად საშიში მაინც არ არის — ეს არ გახლავთ ინტელიგენცია და, შესაბამისად, მისი გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე სიმბოლურია.

ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში ინტელიგენციას უდიდესი გავლენა ჰქონდა და აქვს მთლიანად საზოგადოებაზე. ეს იცოდა და იცის ყველა ეპოქის ყველა ქვეყნის ხელისუფლებამ. კერძოდ, იცის, რომ ნამდვილი, ალალი ინტელიგენცია (საზოგადოების ყველაზე გავლენიანი ნაწილი!), მართალია, თვითონ არ ელტვის ძალაუფლებას, მაგრამ, შესაძლოა, არ იზიარებდეს ქვეყნის საშინაო, საგარეო თუ ეკონომიკურ პოლიტიკას და ერთ მშვენიერ დღეს დაუძლეველი პრობლემები შეუქმნას ხელისუფალთ: საზოგადოებას სიმართლე ხელისგულზე დაუდოს და გამოსავალიც დაანახვოს. ძალიან მოკლედ, ეს არის ისტორიის განვითარების გარდაუვალი კანონზომიერება და მის წინააღმდეგ წასვლა ნებისმიერი ძლიერი ხელისუფლების, სახელმწიფოს, მთლიანად ცივილიზაციის დაღუპვას მოასწავებს.

ამიტომაცაა, რომ ფარაონების ეგვიპტის, ნიკოლო მაკიაველის, ნაცისტური გერმანიის ხელისუფლებები ცდილობდნენ შეექმნათ ინტელექტუალების ერთობა, რომელიც ყველა მათ საეჭვო მოქმედებას გაამართლებდა; სამართლიანის, მზრუნველის სახელს მოუტანდა. არა აქვს მნიშვნელობა, რას დავარქმევთ ინტელექტუალთა ამ ერთობას: ქურუმებს, პროკურატორებს, ინკვიზიტორებს, ფიურერებს, თუ წითელ პროფესურას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების, უფრო პროზაულად, „მასებისთვის“ თავგზის აბნევის და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ხელისუფლებები ქმნიან არა ინტელიგენციას, არამედ მეტ-ნაკლებად ინტელექტუალური ადამიანების ერთობას.**

საბჭოთა მმართველობას, რომელმაც რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადა, ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლის ეკლიან გზაზე, ბუნებრივია, არსებული ინტელიგენცია არ გამოადგებოდა, ამიტომ მისი ერთი, ყველაზე შეურიგებელი და პრინციპული ნაწილი, სცენიდან მოაშორა; მეორე — დააშინა და გადაიბირა; მესამეს, ყველაზე მრავალრიცხოვანს, „საბჭოთა წითელი ინტელიგენციის“ საპატიო ტიტული უბოძა.

ამან, რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე შედეგი გამოიღო — პროლეტარიატი ფაბრიკა-ქარხნებსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებში სამუშაოდ დროშების ფრიალითა და „მარსელიოზას“ სიმღერით დაიძრა, ბელადებსა და კომუნისტურ შრომას ლიტერატურული შედევრები (თავიდან მაინც დამსახურებული) უძღვნა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი ლოგიკურად, საბჭოთა სისტემის ნგრევით დამთავრდა.

და ამაში გადამწყვეტი როლი სწორედ იტელიგენციამ შეასრულა.

**სამწუხაროდ, ნგრევის ამ პროცესს შეეწირა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. სანამ ის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იატაკქვეშეთში იბრძოდა, აკრძალულ ლიტერატურას უშვებდა და დისიდენტურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა, იგი იყო კლასიკური ტიპის ინტელიგენტი.** შესაბამისად, თანამოაზრეებთან ერთად ჰქონდა სერიოზული გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. მისი პოპულარობა 80-იანი წლების ბოლოს ამითაც აიხსნება. ქვეყნის უპირველესი პოლიტიკური ფიგურის ვაკანსიაზე დათანხმების შემდეგ, იგი გავლენიანი ინტელიგენტიდან ერთბაშად იქცა ყოვლად ჩვეულებრივ, გამოუცდელ სახელმწიფო მოხელედ, მოპოლიტიკოსო ავანტიურისტების სათამაშოდ და, შესაბამისად, ინტელიგენციის მძაფრი კრიტიკის ობიექტად. მისი რეაქციაც იყო არა ინტელიგენტის მოზომილი პასუხები ოპონენტების კრიტიკაზე, არამედ შურისმგებლური განცხადებები და თავის მართლება „წითელი“ თუ „შავი“ „კრემლიდან მართული მოღალატე ინტელიგენციის ცილისწამებაზე“. მისი პოლიტიკური კარიერის ტრაგიკული დასასრულიც სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

სხვათა შორის, ინტელიგენციის კრიტიკის საგნად ქცეულმა მსოფლიო დისიდენტური მოძრაობის აღიარებულმა ლიდერმა, ვაცლავ ჰაველმა, დროზე განჭვრიტა ამგვარი დასასრულის შესაძლებლობა, ჩეხეთის პრეზიდენტობიდან გადადგა და ამით სამუდამოდ შეინარჩუნა ინტელიგენტის, მოღვაწის, ქვეყნის უანგარო მსახურის სახელი.

ჩვენი, ევროპული ცივილიზაციისკენ ვითომც და თავგანწირვით მიმქროლავი თანამედროვე საქართველოს ერთი ტრაგედია ისიც არის, რომ ინტელიგენციის საბჭოთა გაგებას ვერაფრით შევცვლიეთ. გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ე.წ. ეროვნული მოძრაობისა და შემდეგ, ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე მმართველობის პერიოდში, ეს იყო **მოღალატე, წითელი** ინტელიგენცია; შევარდნაძის ეპოქაში — **ნამდვილი** ინტელიგენცია; სააკაშვილის დიქტატურის ეპოქაში — **ჩარეცხილები.** რაც მთავარია, ინტელიგენციას, საზოგადოების მოაზროვნე და გულშემატკივარ ნაწილს, მოღალატის, სამშობლოს გამყიდველის, უმაქნისის, ჩარეცხილის სახელს არქმევს ბრბო, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლებაში მისვლის ეფემერული იმედით მუდამ მზად არის ასაჯანყებლად და შეუნიღბავი პოლიტიკური ავანტიურისტების: ნიკანორ მელიას, „გირჩი“ ჯაფარიძის თუ კუპრავა „კააას“ მითითებებით მოქმედებს.

**როგორც უწინ, ისე დღესაც სწორედ ბრბო „ამტკიცებს“, რომ მე, უჩინო ინტელიგენტი, მოაზროვნე, შემოქმედი, ქვეყნის ერთგული მოჭირნახულე ვარ მოღალატე, გამყიდველი, ხალხის მტერი, კრემლის აგენტი; მოითხოვს ჩემნაირებისგან დღესვე „ქვეყნის გაწმენდას“, რათა ხვალ ხელისუფლებაში თვითონ მოვიდეს, ქვეყანა ნარკობალაგანად და პროსტიტუციის სავანედ, საკუთარ ხელშეუხებელ საძოვრად აქციოს.**

ბრბომ არ იცის, რომ ეს მისი აუხდენელი ოცნებაა; რომ მრავალთაგან კიდევ ერთი უჩინო ინტელიგენტი, **ბადრი ცირამუა**, ქვეყნის გასაგონად ასეთ სტრიქონებს წერს: „...ვეღი, რა იქნება ხვალე, იბრძვის, ესე იგი: მოწმობს, ცოცხლობს ამირანი, მარე, ცოცხლობს საქართველო, ცოცხლობს!“

დიახ, საქართველო ცოცხლობს და კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოცხლებს, რადგან საქართველოს ჰყავს და მუდამ ეყოლება ალალი და გონიერი გულშემატკივარი — ქართველი ინტელიგენცია!

**თეიმურაზ ქორიძე**

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაწინაურებული ევროპიდან რუსეთმა საკუთარ ნიადაგზე გადმონერგა სწავლა-მეცნიერება და დღესაც იქიდან ეზიდება „წყალსა და ჯავარს განათლებისასო“. ჩვენ კი დღეს ევროპიდან ვეზიდებით მხოლოდ იმ ჭუჭყსა და ნაგავს, რომელსაც გარყვნილების, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების, ოჯახის ინსტიტუტის უპატივცემულობის სახელი ჰქვია.**

**ილია ჭავჭავაძე:**

# მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა



„ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა“, — ამბობს ილია საპროგრამო წერილში, რომელიც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერს წარუმძღვარა. „ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია... მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“, — დასძენს ის. „მგზავრის წერილებში“ კი ვკითხულობთ: „ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე“.

ილია ჭავჭავაძეს პროგრესი წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც მარტოდენ ტექნიკისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, არამედ როგორც ადამიანის გონებრივი ჩამორჩენილობისა და მორალური სიდუხჭირის გადალახვა და წინსვლა სრულქმნილი ადამიანობისა და სოციალური ჰარმონიისკენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში არ წარმომდგარა არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ილია არ შეხებოდეს ან თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ან თავის პუბლიცისტურ წერილებში.

„ილია ჭავჭავაძე ნამდვილი ჩრდილო-დასავლეთელი იყო თავისი კულტურული ორიენტაციით. მას მოსწონდა არა სლავიანოფილებისა და მილიტარისტების რუსეთი, არამედ პროგრესის გზით მიმავალი, დემოკრატიული და რევოლუციური რუსეთი, რომლის საუკეთესო გამომხატველად ის რუსულ მწერლობასა და მეცნიერებას სთვლიდა“, — ეს ციტატა გერონტი ქიქოძის წერილიდანაა, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა სათაურით „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“. ამ წერილში ილია ხაზს უსვამს, რომ დაწინაურებული ევროპიდან რუსეთმა საკუთარ ნიადაგზე გადმონერგა სწავლა-მეცნიერება და დღესაც იქიდან ეზიდება „წყალსა და ჯავარს განათლებისასო“. ჩვენ კი დღეს ევროპიდან ვეზიდებით მხოლოდ იმ ჭუჭყსა და ნაგავს, რომელსაც გარყვნილების, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების, ოჯახის ინსტიტუტის უპატივცემულობის სახელი ჰქვია.

ჩვენი გზა ილიას გზააო.

ილიას კი მიაჩნდა, რომ ქართული კულტურის ტრადიციების გაფრთხილება გააბრწყინებს საქართველოს. ვფიქრობთ, გერონტი ქიქოძის ეს წერილი ამ მხრივ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.

# ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე

XIX საუკუნეში რუსეთის კულტურის ასპარეზზე ისეთი ოსტატები გამოვიდნენ, როგორიც რეალისტური ლიტერატურის დარგში პუშკინი და გოგოლი იყვნენ, კრიტიკაში — ბელინსკი და დობროლუბოვი, პუბლიცისტიკაში — ჩერნიშევსკი და გერცენი, მეცნიერებაში — კოსტომაროვი, კაველინი და სხვ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა, რომ ქართველ ახალგაზრდას თერგი გადაელახა არა რუსული ზარბაზნების გრგვინვის მოსასმენად, რუსული ჯვრის სამთხვევად და ლაზარეს პურის მისაღებად, არამედ დიდი საერთაშორისო კულტურის საზიარებლად.

და აი, ასეთ თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო. ის ნამდვილი ჩრდილო-დასავლეთელი იყო თავისი კულტურული ორიენტაციით. მას მოსწონდა არა სლავიანოფილებისა და მილიტარისტების რუსეთი, არამედ პროგრესის გზით მიმავალი, დემოკრატიული და რევოლუციური რუსეთი, რომლის საუკეთესო გამომხატველად ის რუსულ მწერლობასა და მეცნიერებას სთვლიდა. **ის სავსებით ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ „თერგდალეული აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაში“.** ამ ახალი რუსეთის მასწავლებელი კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **„დაწინაურებული ევროპა იყო, საიდანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარ ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარს განათლებისას“** (*„თერგდალეულნი და ახალი თაობა“*). ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქართული აზროვნება ხელახლად დაუკავშირდა კლასიკური კულტურის საფუძველზე დაყრდნობილ ევროპის მოწინავე კაცობრიობას, რომელთანაც ის ახლო იდგა, როგორც თავისი ნორჩობისა, ისე ვაჟკაცური სიმწიფის ასაკში...

**თავის მეცნიერულ-პოლემიკური წერილებით ილიამ დაამტკიცა, რომ მეცნიერების მრავალ დარგში, განსაკუთრებით ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, სამართლისმცოდნეობის, პედაგოგიკისა და სხვს დარგებში ის არ ყოფილა დილეტანტი, მით უმეტეს ის დილეტანტი არ ყოფილა საქართველოს წარსულის და აწმყოს ცოდნის დარგში, რომლის მნიშვნელობას, მისი თქმისა არ იყოს, ვერავინ უარყოფს, „რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია“** (*„თერგდალეულნი და ახალი თაობა“*).

ეს სრულიადაც შემთხვევითი მოვლენა არ არის, ეს ილია ჭავჭავაძის ყოველმხრივი გონებრივი ინტერესით, ჭეშმარიტების სიყვარულით და რეალური ცხოვრების ცოდნით აიხსნება, რომ მას კლასთა ბრძოლის როლზე თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთოდ უფრო ნათელი და სწორი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე მისი ახალგაზრდობის დროის მასწავლებლებს. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ნაციონალური ინტერესების კარნახით, საქართველოსთვის მას საჭიროდ მიაჩნდა კლასთა ბრძოლის შენელება და წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენა.

ილია ამბობდა, ცარიელი უარმყოფელობა კრიტიკული აზროვნების დამოუკიდებლად დიდი უაზრობაა, რომ ერთადერთი გზა ცდომილებიდან ჭეშმარიტებისკენ მიმავალი **ჰოს** და **არას** დაპირისპირებააო. **„არისტოტელი არამცთუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკიცხულსა და მოსპობილს ბატონყმობას, არამედ იგი უფრო უარესის მონობის მომხრეც იყო. და განა აქედან ის გამოდის, რომ არისტოტელი სულელი იყო და ქვეყნის მუხანათი?“** (*„უარმყოფელობა ჩვენში“*). ამ კრიტიკული აზროვნებიდან გამომდინარეობდა ილიას მიდგომა რევოლუციის იდეისადმი; თვით სიტყვა რევოლუცია, თუ არ ვცდებით, მან პირველმა იხმარა XIX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში. მას **რევოლუცია სწამდა არა როგორც თვითმიზანი, არა როგორც პერმანენტული პროცესი, არამედ როგორც ცხოვრების განახლების და განწმენდის საწყისი.** „ესეა ყოლიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე“, — ამბობს ის „მგზავრის წერილებში“.

**ჰუმანისტური და სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით ილია ჭავჭავაძეს პროგრესი წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც მარტოდენ ტექნიკისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, არამედ როგორც ადამიანის გონებრივი ჩამორჩენილობისა და მორალური სიდუხჭირის გადალახვა და წინსვლა სრულქმნილი ადამიანობისა და სოციალური ჰარმონიისკენ. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა“,** — ამბობს ის საპროგრამო წერილში, რომელიც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერს წარუმძღვარა: **„ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია... მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“.** თვით მომავალი წესწყობილება, როცა შრომას ბორკილები აეხსნება, როცა ცად მიღწეული მძლავრი კავკასიის ტომნი ერთი აზრით განდიდდებიან, ხოლო ქართველობის სახელი საამაყოდ ექნება საქართველოს ყოველ ერთგულ შვილს, ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ჭეშმარიტების გულისთვის აღძრული ბრძოლის შედეგი. ეს იდეები მან პოეტურად გამოთქვა თავის „აჩრდილში“.

ამ რაციონალისტურ აზროვნებასთანაა დაკავშირებული ილიას ბრძოლა ასკეტიზმისა, მისტიციზმისა, ფატალიზმისა, პესიმიზმისა და ყველა იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელნიც, მისი შეხედულებით, ადამიანს ხელს უშლის, მის ბუნებაში დამარხული ნიჭი და შესაძლებლობანი ყოველმხრივად განავითარონ. „მგზავრის წერილებში“ ის შეჩვენებას უგზავნის ბნელ ღამეს, მისი სიზმრებითა და ადამიანის გონების დამაფრთხობელი მოჩვენებებით და ჰიმნს მიუძღვნის დღის სინათლეს; ეს მზის ჰიმნი დიდათ დამახასიათებელია ილიასათვის, როგორც ერთი მხრით დასავლეთ ევროპის და რუსეთის გამანათლებლების მიმდევრისათვის, ხოლო მეორე მხრით რუსთაველის და გურამიშვილის მემკვიდრისთვის. „განდეგილში“ მან ბუდისტურ-ქრისტიანულ სპირიტიკალიზმს და ასკეტიზმს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოითქვა ბუდას ქადაგებაში, რომ სხეული არ არის ჩემი. ის არ არის მე ან ჩემი მეო, ან ჩვენი „სიბრძნე ბალავარის“ სიტყვებში, რომ ცხოვრება არის ჩრდილი, რომელიც წარვალს, და კვამლი, რომელიც განქარდებისო; ბოლოს, გურამიშვილის სენტენციაში „ამად სჯობს ხორცი უარჰყო, სულსა უწირო, ულოცოო“ — დაუპირისპირა ელინიზმიდან და საქართველოს ეროვნული ტრადიციებიდან მომავალი ჰუმანიზმი და ბედნიერების მორალი და ამ უკანასკნელს გაამარჯვებინა.

ამ მხრივაც ილია ჭავჭავაძის აზროვნება სრულიად ეთანხმება დასავლეთ ევროპის XIX საუკუნის მოწინავე ადამიანების აზროვნებას, რომელიც ამ საკითხში საუკეთესოდ ტეოფილ გოტიემ გამოხატა: „ქრისტე ჩემთვის ამ ქვეყნად არ მოსულა და მე წარმართი ვარ, როგორც ალკიბიადე: გოლგოთის მწვერვალზე ვნების ყვავილები არასოდეს არ დამიკრეფია და არც ოდესმე იმ მდინარეში მიბანავია, რომელიც ჯვარცმულის მკერდიდან მთელ მსოფლიოს თავს გადაესხა. ჩემს ამბოხებულ სხეულს არ სურს სულის ბატონობის აღიარება, ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა. მე ქანდაკება უფრო მომწონს, ვიდრე მოჩვენება; ნათელი დღე უფრო, ვიდრე სალამოს მწუხრი“.

მაგრამ იყო ერთი დარგი, სადაც ილია ჭავჭავაძე შუა საუკუნეების ასკეტებს უახლოვდებოდა თუ თავისი იდეოლოგიით არა, ყოველ შემთხვევაში თავისი განცდებით; ეს იყო ეროვნული მოღვაწეობის დარგი, **მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო, სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი როგორც მსხვერპლთ შეწირვა.** ის ამბობდა, რომ „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული, რომ დიდი არის ღვთის წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასავე შეეწირება“. ის იმეორებდა ერთი გამოჩენილი მწერლის სიტყვებს, რომ, **რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსან გულში მას მაინც დიდი ადგილი უჭირავსო**. თუმცა ილიას უახლოესი თანამშრომელი და პირველი ბიოგრაფი გიგა ყიფშიძე გვარწმუნებს, ბავშვობაში ის ბერად შედგომაზე ოცნებობდაო, მაგრამ შემდეგ არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში არაფერი გამოუმჟღავნებია განდეგილობის შესაფერი. პირიქით, სტუდენტობის დროს ის იტალიაშიც კი აპირებდა წასვლას გარიბალდის რაზმში ჩასაწერად. ცნობილია, რომ მისი სუფრა არა ჰგავდა სამონასტრო ტრაპეზს; მას უყვარდა ქალები, შეიძლება ახალგაზრდობაში უფრო პლატონურად, ვიდრე სიბერეში. მას უყვარდა აზარტული თამაშობა. რამდენჯერმე ის ბარიერთან მდგარა, როგორც ვნებიანი დუელისტი, მაგრამ როგორც მებრძოლ პატრიოტს მას მღვიძარე სული ჰქონდა ექვთიმე მთაწმინდელივით:

**მას აქეთ რაკი შენდამი**
**ვცან მე სიყვარული,**
**ჰოი, მამულო, გამიკრთა**
**მე ძილი და შვება!**
**შენს ძარცვის ცემას მე**
**ყურს ვუგდებ**
**სულგანაბული,**
**ღამე თენდება ეგრედ**
**ჩემი და დღე ღამდება.**

ეს მღვიძარე პატრიოტიზმი სრულიადაც არ გულისხმობდა სხვა ერების დაჩაგვრას ან უპატივცემულობას: ის მხოლოდ თავდაცვის იარაღი ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ილია ჭავჭავაძე ნამდვილი ჩრდილო-დასავლეთელი იყო თავისი კულტურული ორიენტაციით. მას მოსწონდა არა სლავიანოფილებისა და მილიტარისტების რუსეთი, არამედ პროგრესის გზით მიმავალი, დემოკრატიული და რევოლუციური რუსეთი, რომლის საუკეთესო გამომხატველად ის რუსულ მწერლობასა და მეცნიერებას სთვლიდა“.

◀ იყო კატკოვების, იანოვსკების, რუსი ექსარხოსების, პატკანოვების, მუხრან ბატონების შემოტევისაგან.

**„სხვისი ნუ გინდა რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა,** — ამბობს ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში“, — **ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუით მყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია**“. ისეთ ისტორიულ მოღვაწეებში, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, ილია ჭავჭავაძეს ისე არაფერი არ აკვირვებდა, როგორც „მისი კაცთმოყვარეობა, პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა, საკვირველი და საოცარი მაგალითი მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ **ილიას აზროვნება სრულიად თავისუფალი იყო ყოველი განყენებული კოსმოპოლიტიზმისა, ყოველი გულისამაჩუყებელი სენტიმენტალობისაგან, მას ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც „ცრუპენტელა ლიბერალები“, „ლიბერალობის ბერიკები“, რომელნიც მზად იყვნენ, თავიანთი ეროვნული ვინაობის და ინტერესების დაცვაზე ხელი აეღოთ იმის შიშით, ვაითუ ნაციონალისტობა და შოვინისტობა დაგვწამონო.**

ილიას ინტელექტურ პატიოსნებას მოწმობს ის გარემოება, რომ ის სრულიადაც თავისი დროის ქართველობის იდეალიზაციას არ ახდენდა ზოგიერთი გონებაშეზღუდული ნაციონალისტივით. საკმაოა ამის საილუსტრაციოდ მისი „ბედნიერი ერი“ ან „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ გავიხსენოთ, ეს უმძაფრესი სატირა, რომელიც ოდესმე რომელიმე პოეტს თავისი ერის ზნეობრივი მანკიერების წინააღმდეგ დაუწერია. ის ებრძოდა მოღალატეობას, ქვემძრომლობას, ენატანიაობას, სოციალური ინსტინქტების დაშლას, ერთი სიტყვით, იმ ზნეობრივ ანარქიას, რომელმაც XIX საუკუნის ქართველობის მაღალი წრეები მოიცვა, ის მათ სულიერი სიმტკიცის და ხასიათის მთლიანობის იდეალს უყენებდა თვალწინ. **„მძლედ მოზურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ ხასიათის კაცნი არიან, ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა სრულობა, დიდ ხასიათობა, იმისდა მიუხედავად ტრიალი ემარჯვებათ თუ ემარცხებათ“,** — ამბობს ის თავის წერილში დიმიტრი ყიფიანის შესახებ. **„მხოლოდ დიდ ბუნებიანთა კაცთა თვისება ერთხელ რწმენილი და აღიარებული, გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად ულირთ, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე“**, — წერს ის ლუარსაბ მეფის დღესასწაულის გამო.

თუ ილია ჭავჭავაძე მოწინავე ევროპულ აზროვნებას დაუკავშირდა თავისი ძირითადი იდეებით, სახელდობრ პროგრესის ანტიასკეტური მორალის, ჰუმანიზმის, საღად გაგებული პატრიოტიზმის იდეებით, მით უმეტეს ის მას დაუკავშირდა იმ იდეით, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს მის მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში: ესაა იდეა დემოკრატიისა არა ვიწრო კლასობრივი, არამედ ფართო ჰუმანისტური და კულტურულ-ეთიკური გაგებით. მას სწამდა, რომ ჩაგრული ერების განთავისუფლება მოხდებოდა შრომის განთავისუფლებასთან ერთად, ეს რწმენა მან თავის „აჩრდილში“ გამოხატა. მას სწამდა, რომ „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშის გაშლა“ შეაფერხებდა ისტორიას. ეს რწმენა მან გამოსთქვა თავის ლექსში „1871 წლის 23 მაისი“ („პარიზის კომუნა“). ილიას პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიზმი დღეს უდავოდ არის ცნობილი და ზედმეტ განმარტებას აღარ საჭიროებს, მაგრამ შეიძლება ბევრისთვის ასევე ნათელი არ იყოს ის როლი, რომელიც მან წმინდა მხატვრული აზროვნების დემოკრატიზაციის საქმეში შეასრულა. **მან შეურიგებელი ტერორი გამოუცხადა დაძველებულ ორთოგრაფიას და გილიოტინაზე გაგზავნა ყველა ეს დრომოჭმული უზრჯგვილები, ჰიები და ჰოები, ვინაიდან მას კარგად ესმოდა, რომ არქაული მეტყველება არქაული აზროვნების საფარი იყო. ძნელია მეორე ქართველი მწერლის დასახელება, რომელსაც ჩვენი სალიტერატურო ენა ასე გაემდიდრებინოს ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით და სიტყვის მასალით, როგორც ეს მან ჰქმნა „ოთარაანთ ქვრივში“, „ქვათა ღაღადში“ და სხვ.**



**მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო, სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი როგორც მსხვერპლთ შეწირვა. ის ამბობდა, რომ «ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული, რომ დიდი არის ღვთის წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასავე შეეწირება»**




ისტორია იგი დიდებული ტაძარია, სადა უწირავს ერთიან სულსა ერისას და სადა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმიდესი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, როგორც საშვილიშვილო ანდერძი.

ქართული ლიტერატურის ევოლუციის თვალსაზრისით არანაკლებ საგულისხმოა ის, რომ მან სალიტერატურო ჟანრების და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა: ძველ ქართულ მწერლობაში გაბატონებულ ისტორიულ და რომანტიულ ეპოსს, რელიგიურ ჰიმნებს და ოდებს, სადაც მაღალი ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრება, სულიერი მისწრაფება და გემოვნება იყო გამოხატული, მან რეალისტური მოთხრობის, რეალისტური ლირიკის და ფილოსოფიური პოემის ჟანრი დაუპირდაპირა, სადაც თანამედროვე საზოგადოების წრეებია ასახული, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებითა და თავიანთი აზროვნებით, ან მათი ზნეობრივი იდეალებია გამოხატული. თვით ილიას, რასაკვირველია, ძალიან კარგად ესმოდა თავისი როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში: **„სამოციან წლებამდეო, —** წერს ის თავის წერილებში ქართულ ლიტერატურაზე, — **ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდკაცობის გულისთქმას, თითქო უკადრისობდა, ამათ გარე რაიმე საგანი ეპოვნა პოეზიისთვის. სამოციან წლებში იმ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენი პოეზიისას თავისი ტალღა გადაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიც არის ადამიანური გულისთქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არა მეტი, ნაკლები მარგალიტი არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა, რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა“.**

ილია ჭავჭავაძეს მჭმუნვარე და ვნებიანი სული ჰქონდა, მისი პოეტური ტემპერამენტი იმდენად სტიქიონისებრ ძლიერი იყო, რომ მკითხველი ადვილად ვერ ამჩნევს მის ნაკლს, მუსიკალური სმენის სისუსტეს, თუმცა მისი მხატვრული ნაწარმოებნი რაიმე სოციალური, მორალური ან ფილოსოფიური პრობლემის გარშემო ტრიალებენ, მაგრამ რადგან მას გასაოცარი პლასტიკური ხილვის ნიჭი აქვს, ის იძლევა სრულიად გამოკვეთილ და ნათელ კონტურებს, გამჭვირვალე ატმოსფეროში გახვეულთ. ის პეიზაჟის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია ქართულ ლიტერატურაში. ამ მხრივ წინამორბედთაგან მხოლოდ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი, მემკვიდრეთაგან მხოლოდ ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა შეედრებიან. მის პეიზაჟს ქართული აზროვნების დამახასიათებელი ბუნების კულტი ახლავს თან. საკმაოა, ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ბუნების აღწერა „კაკო ყაჩაღის“ დასაწყისში ან „ელეგიაში“, ირემზე ნადირობა „გლახის ნაამბობის“ შესავალში, „განდეგილის“ და „აჩრდილის“ მონუმენტური ფონი, ბოლოს პეპიას სიკვდილი კავკასიონის მთების კალთებზე, სადაც მზე სანთლისა და კელაპტრის მაგიერობას სწევს, ხოლო დილის ნამის ორთქლი — საკმევლისა. მას იშვიათად ღალატობს მხატვრული ზომიერების გრძნობა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ის სოციალური უსამართლობის ან მორალური დეფექტების წინააღმდეგ ილაშქრებს, ან რაიმე აჩემებული აზრის მხატვრულად ასახვას ცდილობს. სხვაფრივ **მას ესმის, რომ ადამიანი რთული მოვლენაა, რომ ყოველს სულიერში ღვთაებრივი ნაპერწკალი ღვივის, რომ სიკეთე და ბოროტება ამ ქვეყანაზე თანაბრადაა შეწონილი, თუ ლუარსაბის და დარეჯანის სახეები ცოტა არ იყოს გაშარჟებულია, ვინაიდან „კაცია ადამიანში“ ილია, უწინარეს ყოვლისა, სოციალური სატირის შექმნას ცდილობს, ბასრი იარაღის გაჭედვას დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების შესამუსრავად**. სამაგიეროდ დათიკოს სახე „გლახის ნაამბობში“ დიდი მხატვრული მიუდგომლობითაა გადმოცემული. დათიკოს რაინდული ქცევა მის მიერვე დაღუპული პეპიას და გაბოს მიმართ, მისი ვაჟკაცური სიკვდილი გაბოსთან შეტაკების დროს გასაოცარი დამაჯერებელი სიძლიერითაა აღწერილი, და ეს გარემოება მკითხველს რამდენიმედ მაინც არიგებს მასთან.

პლასტიკურ ნიჭთან ერთად, ილია ჭავჭავაძეს სოციოლოგიური განზოგადების ნიჭი აქვს თავის მოთხრობაში „საღრჩობელაზედ“, სადაც მან ყალბი კულტურის მიერ შეურყვნელი, გულალალი გლეხის ტიპი მოგვცა, მან დასვა, აგრეთვე, **პრობლემა საზოგადოების პასუხისმგებლობისა ინდივიდუალური დანაშაულობისათვის**; ამ პრობლემის დასმა და გადაჭრა ამტკიცებს, რომ ის იცნობდა ევროპის მოწინავე ფილოსოფიური და სოციოლოგიური სკოლების შეხედულებას ამ დარგში. ისეთივე, როგორც თავისი „გუთნის დედით“ და „ოთარაანთ ქვრივით“, ამ პაწია მოთხრობითაც ილიამ დაამტკიცა, რომ კარგად იცნობდა ქართველი გლეხის ფსიქოლოგიას და მსოფლშეგრძნებას. **„განდეგილში“, რომელიც ქართული ხალხური ლეგენდის საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ საერთაშორისო თემის ქართულ პარალელს წარმოადგენს, მან დასვა ზოგადი საკაცობრიო პრობლემა *საუკუნო* ბედნიერების მიღწევისა და თავისებური პასუხიც გასცა მას. მან აღიარა, რომ წარუვალი ნეტარების მოპოება არ შეიძლება ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფით და განადგურებით.**

თავის პუბლიცისტურ ნაწერებში **ის ოპტიმიზმისა და აქტივიზმის დამცველად გამოვიდა**. ეგრეთ წოდებული ორგანული სოციოლოგიური სკოლის წინააღმდეგ მან ის აზრი გამოთქვა, რომ **ეროვნების დაბადება და სიკვდილი უქმი სიტყვაა, რომ მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის:** ინტენსიური კულტურის განვითარებას კაცობრიობა დაძაბუნებისა და დაუძლურებისკენ კი არ მიჰყავს, არამედ ენერგიის გაშლისკენ; ის ადამიანის გაფოლადებასა და გამოჯიქებას იწვევს, ის მას სწვრთნის არსებობისთვის საჭიდაოდ. ამით აიხსნება, რომ ილიას თავისი სამშობლოსთვის ისე არაფერი არ ენატრებოდა, როგორც ყოველმხრივ განვითარებული სულიერი და მატერიალური კულტურა. ერის ბიოლოგიურ ძალას ის განსაკუთრებით გვირისტით შეკერილ, ფოლადივით გამოწრთობილ გლეხკაცობაში ხედავდა, რომლის გრძელი კვნესაც კი სიმღერაში გადადის. **მდაბიო ხალხს სთვლიდა ის საქართველოს ისტორიის მთავარ უსახელო გმირად. მას სწამდა, რომ ქართველი ერი გადაშენებას სოფლის დემოკრატიამ გადაარჩინა, ამ დემოკრატიის საღ ეკონომიურ საფუძველს კი საქართველოს ისტორიული წარსულის საუკეთესო ეპოქებში, მისი აზრით, სათემო და საკომლო მიწათმფლობელობის სწორი განაწილება წარმოადგენდა**. ის ამბობს, რომ **საქართველოს უბედურება დაიწყო იმ დროიდან, როცა „ამ უკეთეს მხარეს ჩვენი ეკონომიური წყობისას ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში“**

(„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“). ილიას სწამდა, რომ ქართულ დემოკრატიას გაცვეთილი არ ჰქონდა თავისი ძალ-ღონე და დიდი შემოქმედებითი ენერგია შესწევდა მომავალი მშენებლობისათვის. **„ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა,** — ეუბნებოდა ის თავის ცნობილ სიტყვაში წინამძღვრიანთკარელ გლეხებს, **— არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთ-რჯული, მკლავძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონე მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია**“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში არ წარმომდგარა არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ილია არ შეხებოდეს. ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული კულტურის აღორძინების საუკეთესო წარმომადგენელია, ღირსეული მემკვიდრე დიდი ისტორიული ქართველი მოღვაწეებისა.

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**THE NEW YORK POST-ის პუბლიკაციაზე დაყრდნობით LIFE იუწყება, რომ გამოძიება 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პოლიციელებმა დაადგინეს, რომ ქალმა 2017 წელს მამაკაცს ნებრასკიდან 100 დოლარად შესთავაზა თავის 8 წლის გოგონასთან სექსუალური კავშირის დამყარება.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## 5000-მა პედერასტმა წაბილწა საბერძნეთი

### სალონიკის გეიაღლუმის ორი მონაწილე ზღვაში გადააგდეს

**სალონიკის მოქალაქეებმა ალყაში მოაქციეს გეიაღლუმის ორი მონაწილე — ბერძენი და ბრაზილიელი — და ზღვაში მოადენინეს ტყაპანი, — იუწყება „რუსსკიე აფინი“.**




ინციდენტის ოთხი ორგანიზატორი პოლიციამ დააპატიმრა. დაკავებულებმა განმარტეს, რომ ისინი „აღაშფოთა ნაირფერმა დროშამ, რომელიც მამათმავლებს ამაყად ჰქონდათ აღმართული“. პოლიციელების განცხადებით, ამ წყვილს ძალადობის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა და თავს კარგად გრძნობდნენ.

გეი აღლუმი, რომლის ორგანიზატორია ლგბტ თემის სალონიკის ორგანიზაცია, მეშვიდედ გაიმართა. წლეულს პედერასტთა მსვლელობაში 5000 ორიენტაციაარეული ადამიანი მონაწილეობდა.



## უკრაინაში რეციდივისტმა პედოფილმა 10 წლის გოგონა გააუპატიურა და მომაკვდავი ბუჩქებში მიაგდო

**გოგონა საავადმყოფოშია მოთავსებული, მისი მდგომარეობა მძიმეა. ბოროტმოქმედი ცხელ კვალზე დააპატიმრეს.**

ეს საშინელი დანაშაული დნეპროპეტროვსკის ოლქის ნოვომოსკოვსკის რაიონში მოხდა. პოლიციას შეატყობინეს, რომ უცნობმა პირმა 10 წლის გოგონა გააუპატიურა. ბავშვი შემთხვევით გამვლელებმა აღმოაჩინეს. გოგონა ძლივს ფეთქავდა, გაშიშვლებული და გასისხლიანებული იყო. უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსის მოადგილის, **ვიაჩესლავ აბროსკინის,** ცნობით, დაკავებულია მეზობლად მდებარე დასახლების 28 წლის მცხოვრები, რომელიც 2010 წელს გასამართლებული იყო 10 წლის ბიჭის ძალადობით გაუპატიურების ბრალდებით. მან ახლახან მოიხადა სასჯელი.

## სოდომური პრესინგი: კანადის უმაღლეს სასწავლებელს აკრედიტაცია გაუუქმეს ქორწინებაზე ტრადიციული შეხედულების გამო

**კანადის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქრისტიანულ უნივერსიტეტ Trinity Western-ს გაუუქმდა აკრედიტაცია სექსუალურ ურთიერთობაზე ტრადიციული შეხედულებების გამო, — იუწყება Realist-ი.**

კანადის სამართლიან საზოგადოებათა ფედერაციამ მიიჩნია, რომ უნივერსიტეტის პოზიცია დისკრიმინაციულია ლგბტ-თემის მიმართ.

დაბალი ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ქრისტიანულ სკოლებს არ შეიძლება ჩამოერთვას აკრედიტაცია მათი შეხედულებების გამო. უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება 7 ხმით 2-ის წინააღმდეგ.

სასულიერო მოღვაწე **კოლმანი**, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვისა და ევროპული სამართლის აღიარებული სპეციალისტია, მიგვითითებს, რომ რელიგიისა და გაერთიანებათა თავისუფლებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ რელიგიურად მოტივირებული ორგანიზაციებისთვის, არამედ დემოკრატიისთვის. ადვოკატის აზრით, უნივერსიტეტისთვის აკრედიტაციის აკრძალვა იმის მანიშნებელია, რომ თავისუფლებას საფრთხე ემუქრება.

ცოტა ხნის წინათ ქრისტიანული ტელეარხი „ჰომოფობიური“ კომენტარებისთვის დააჯარიმეს.






## გარყვნილმა დედამ შვილი გაწირა

**აშშ-ის ტეხასის შტატში დააპატიმრეს 44 წლის კერი სიუ კელი, რომელსაც ბრალად წაუყენეს თავისი 8 წლის გოგონას გაყიდვის მცდელობა „სექსუალური მომსახურებისთვის“.**

The New York Post-ის პუბლიკაციაზე დაყრდნობით Life იუწყება, რომ გამოძიება 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პოლიციელებმა დაადგინეს, რომ ქალმა 2017 წელს მამაკაცს ნებრასკიდან 100 დოლარად შესთავაზა თავის 8 წლის გოგონასთან სექსუალური კავშირის დამყარება.

მამაკაცი დაუკავშირდა პოლიციას და აცნობა ამ უბინძურესი შეთავაზების თაობაზე. მან ნება დართო პოლიციის თანამშრომელს, მისი სახელით ეწარმოებინა მოლაპარაკება ამ ქალთან. ოპერატიული თვალთვალის შემდეგ კელი 4 ივნისს დააპატიმრეს. დაკითხვის დროს მან აღიარა დანაშაული. 12 ივნისს იგი გრეგის ციხეში გადაიყვანეს.

დაპატიმრების შემდეგ გაირკვა, რომ დედას ჩაწერილი ჰქონდა ეროტიკული რგოლები თავისი შვილის მონაწილეობით.

## კაცის ესა ყოფილა! კანადელ მამაკაცს 24 ცოლი და 149 შვილი ჰყავს

**კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა 61 წლის მრავალცოლიან უინსტონ ბლეკმორს. Daily Mail იუწყება, რომ იგი დაპატიმრებას გადაურჩა.**

2017 წლის ივლისში მას დაუდასტურდა მრავალცოლიანობა: მას 24 ცოლი ჰყავდა; მის სიძეს, **ჯეიმს ოლერს** კი, ქორწინება ერთდროულად 5 ქალთან ჰქონდა გაფორმებული. მაშინ ბლეკმორს ექვსთვიანი შინაპატიმრობა მიუსაჯეს, ამასთანავე, ნებადართული ჰქონდა სამსახურში სიარული და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან მკურნალობა. ოლერს სამთვიანი შიდაპატიმრობა მიუსაჯეს. **ბლეკმორმა** 175 საათის მოცულობის საზოგადოებრივი სამუშაოები უნდა შეასრულოს, **ოლერმა** — 75 საათის ოდენობის, მათვე დაევალათ 12 თვის განმავლობაში რეგულარულად პოლიციის უბანში გამოცხადება.

მოსამართლე ქალბატონმა **შერი ენ დონეგენმა** აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შრომისმოყვარე და კანონმორჩილი მოქალაქეები არიან, არ შეუძლია მათი შეწყალება, რადგან მათი ცოლებიდან ზოგიერთს მხოლოდ დაქორწინების მომენტისთვის შეუსრულდა 15 წელი. **„მან (ბლეკმორმა) განაცხადა, რომ ვერავითარი სასჯელი ვერ შეუცვლის რელიგიურ შეხედულებებს. არაფერი ულიარებია და არც აპირებს აღიარებას“,** — დასძინა მოსამართლემ.

იუწყებიან, რომ ბლეკმორს 149 შვილი ჰყავს.

ეს მამაკაცები მორმონები არიან და ცოტა ხნის წინათ თავიანთი ეკლესიის ეპისკოპოსები იყვნენ. ცხოვრობენ ბაუნტიფულის დასახლებაში, თემში, რომელიც 1946 წელს არის დაფუძნებული და რომელიც პოლიგამიის მომხრე 1500 ადამიანს აერთიანებს.

მრავალცოლიანობა კანადაში მაქსიმალურად ხუთწლიანი პატიმრობით ისჯება.



ნარკოტიკები და პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპიუმის გამოყენებამ ქვეყანაში საერთოეროვნული მასშტაბი მიიღო და ყველა სოციალური ჯგუფი მოიცვა: უმდაბლესი ფენებიდან — დედაქალაქის მოხელეებისა და არმიის ჩათვლით. ჩინელი ერი სწრაფად დაეშვა დეგრადაციისა და გადაშენების დაღმართზე. თითქმის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი ნარკომანი გახდა, მათთან ერთად — ყველა თანამდებობის პირის 50-60 პროცენტი. 20-დან 30 პროცენტამდე პროვინციელი და 10-დან 20 პროცენტამდე დედაქალაქელი მოხელე „წამალზე დაჯდა“. ნარკოტიკების მოხმარება ეროვნული ტრაგედია შეიქნა.**

# ოპიუმის ომები: მიზეზები და შედეგები

**დასავლელი „კეთილმოსურნეები“ დაჟინებით მოითხოვენ ჩვენგან ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას, ფაქტობრივად, ნარკოტიკების ლეგალიზაციას. რისთვის სჭირდებათ ეს? დასავლეთს კარგი გამოცდილება აქვს ნარკოტიკების იარაღად გამოყენებაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში. ამჯერად მოგითხრობთ, თუ რა უბედურება დამართა ჩინეთს ბრიტანეთის იმპერიამ, როცა იარაღის ძალით აიძულა, ოპიუმის მოხმარება გაევრცელებინა. ნუ ვენდობით და ნუ დავიჯერებთ დასავლეთელების ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ადამიანების უფლებებზე და „საცოდავ“ ნარკომანებზე. მათ მზაკვრული ზრახვები აქვთ, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მასალიდან. დრო მიდის, მიდგომები არ იცვლება.**

XIX საუკუნის დასაწყისში ჩინეთს ჰქონდა აუცილებელი რესურსების ბაზა, რომელიც არა მხოლოდ მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების წყარო იყო, არამედ ეკონომიკურ ძრავად წარმოგვიდგებოდა მსოფლიო ასპარეზზე, რამაც საშუალება მისცა, დაპატრონებოდა ევროპის ბაზრებს, რომლებიც აჭრელებული იყო მრავალფეროვანი ჩინური პროდუქციით. ამ ნაწარმს ეტანებოდა მომხმარებელი, რადგან გამოირჩეოდა მაღალი ხარისხითა და განსხვავებული ეროვნული სტილისტიკით. ევროპელების დამოკიდებულება „აღმოსავლურ მოდაზე“ აღიზიანებდა ევროპული ელიტის „ზედა“ ფენას, რომელსაც არ იზიდავდა სხვისი ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის, განსაკუთრებით, „ცისქვეშეთის“ ქვეყნის გავლენის ქვეშ ყოფნის პერსპექტივა.

საქმე ის არის, რომ მაშინ დიდი ბრიტანეთი, უდიდესი კოლონიური იმპერია, მსოფლიოში წამყვანი საზღვაო და სავაჭრო სახელმწიფო იყო. მყარი მდგომარეობის მიუხედავად, იგი და სხვა ევროპული ქვეყნები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად განევრცოთ ექსპორტის საზღვრები და შეექმნათ ახალი კოლონიები.

აკრძალული ხილი ტკბილია: ევროპელთა სავალალოდ, ჩინეთი განთქმული იყო თავისი განვითარებული ბაზრით, რომლისადმი წვდომა ევროპისთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ჩინელებს აღმართული ჰქონდათ მრავალი ბარიერი უცხოეთის გავლენისგან თავიანთი ქვეყნის დასაცავად. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ჩინელები ევროპელებთან ერთადერთი პორტის — გუანჯოუს — მეშვეობით ვაჭრობდნენ. მეტიც, უცხოელებს აკრძალული ჰქონდათ ვაჭრობა ჩინეთის ტერიტორიაზე (გამონაკლისი დაშვებული იყო მხოლოდ იტალიური შუშითა და რუსული ქურქით მოვაჭრეებისთვის). გარიგების უფლება ჩინური სავაჭრო კომპანიების შეზღუდულ რაოდენობას ჰქონდა, მათ უმკაცრესად აკონტროლებდნენ, ნებისმიერი დარღვევა აუცილებლად ისჯებოდა.

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ევროპის ექსპანსიის გააქტიურებას იწვევდა, იყო ვერცხლის მარაგის დალექვა ჩინეთში: თავიანთი საქონლის სანაცვლოდ, ჩინელები, რომლებმაც საკუთარი ნაწარმის ფასი კარგად იცოდნენ, ითხოვდნენ მხოლოდ ძვირფას ლითონს. ინგლისისთვის ეს მიუღებელი იყო, რადგან ვერცხლი იმხანად ქვეყნის საფინანსო სისტემის ქვაკუთხედად იყო მიჩნეული.** შედეგად, გირვანა სტერლინგის კატასტროფულად გაიაფების გამო ინგლისელები რთული ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ეწყობოდა მრავალრიცხოვანი მოლაპარაკებები ჩინეთთან „აღმოსავლური“ ეკონომიკური ურთიერთობის მოგვარების საკითხებზე, მაგრამ ყველა მცდელობა ამაო გამოდგა. იმპერატორი **ციანლუნი** ინგლისის მეფე **გეორგ III-ს** სწერდა: **„ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რასაც მოვისურვებთ, და ჩვენ არ გვჭირდება ბარბაროსების საქონელი“.**

მაგრამ ინგლისელი ვაჭრები, მთავრობის წინამძღოლობით, თავგამოდებით ცდილობდნენ, ეპოვათ ის საქონელი, რომელიც მიიზიდავდა წუნია და ეგოცენტრულ ჩინელებს.

და მიაგნეს... **იგი აღმოჩნდა ოპიუმი, რომელიც იზრდებოდა ინდოეთის ბენგალიის პროვინციაში. ეს ნივთიერება ჩინეთის იმპერიისთვის უცხო არ იყო: მას, როგორც წამალს, ბევრ სოფელსა და პროვინციაში გამოიყენებდნენ. ინგლისელებმა შეძლეს ამ სამკურნალო პრეპარატის ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებზე მძლავრი ზემოქმედების იარაღად გარდაქმნა.**

1773 წელს ბრიტანეთის ოსტ-ინდურმა კომპანიამ მოიპოვა ბენგალიური ოპიუმის მონოპოლიური შესყიდვის უფლება, 1775 წელს კი შეძლო, გადაელახა ჩინეთში ოპიუმით ვაჭრობისა და მოხმარების არსებული ბარიერები და დაეწყო ოპიუმით არალეგალური ვაჭრობა „ცისქვეშეთში“. ეს „საქონელი“ მხოლოდ ვერცხლზე იყიდებოდა, რაც ნიშნავდა, რომ ინგლისმა შეძლო ჩინეთის ბაზრის დაქვემდებარება და ამით სავაჭრო ბალანსის გაწონასწორება — „ვერცხლის კაპიტალის“ ქვეყანაში ჩადინება და ეროვნული ვალუტის განმტკიცება.

ინგლისელების ამ ქმედების საწინააღმდეგოდ **ჩინეთმა დასახა ღონისძიებები ოპიუმის კონტრაბანდული ვაჭრობის წინააღმდეგ, მაგრამ იმპერატორის ბრძანებულებების მეშვეობით ნარკოტიკებით ვაჭრობის აკრძალვა წარუმატებელი გამოდგა, სამაგიეროდ, ჩინეთისა და ინდოეთის საზღვარზე მასშტაბური საომარი კონფლიქტების დაწყების მიზეზად იქცა.**

ოპიუმის გამოყენებამ ქვეყანაში საერთოეროვნული მასშტაბი მიიღო და ყველა სოციალური ჯგუფი მოიცვა: უმდაბლესი ფენებიდან — დედაქალაქის მოხელეებისა და არმიის ჩათვლით. **ჩინელი ერი სწრაფად დაეშვა დეგრადაციისა და გადაშენების დაღმართზე. თითქმის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი ნარკომანი გახდა, მათთან ერთად — ყველა თანამდებობის პირის 50-60 პროცენტი. 20-დან 30 პროცენტამდე პროვინციელი და 10-დან 20 პროცენტამდე დედაქალაქელი მოხელე „წამალზე დაჯდა“. ნარკოტიკების მოხმარება ეროვნული ტრაგედია შეიქნა.**



**ინგლისელებმა ოპიუმი აქციეს ჩინეთზე ზემოქმედების მძლავრ იარაღად. ოპიუმის გამოყენებამ ქვეყანაში საერთოეროვნული მასშტაბი მიიღო და ჩინელი ერი სწრაფად დაეშვა დეგრადაციის დაღმართზე. ნარკოტიკის მოხმარება ეროვნული ტრაგედია შეიქნა. შედეგად ჩინეთი დიდი იმპერიიდან დასავლეთის ქვეყნების ნახევრადკოლონიად იქცა, რომლიდანაც ბრიტანელებმა ამოქაჩეს უმდიდრესი რესურსები და იაფი სამუშაო ძალა. იმპერია დალპა შიგნიდან, სახელმწიფოს სუვერენიტეტს კი მთლიანად ინგლისელები დაეპატრონენ**

იმპერატორმა კონტრზომა მიიღო და 1839 წელს ქვეყნის ბაზარი ინგლისელი და ინდოელი ვაჭრებისთვის დახურა. ამ განკარგულების გამოცემა 1840 წლის დეკემბერში დიდი ბრიტანეთის მიერ ცინის იმპერიისთვის ომის გამოცხადების საფუძველი გახდა.

ოპიუმის პირველი ომი ორ წელიწადს გაგრძელდა (1840-1842 წწ.). 1840 წელს ჩინეთის სანაპიროს მიადგა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ესკადრა, რომელმაც აქტიური საომარი მოქმედება დაიწყო. ლონდონმა ჩინეთის მთავრობას მოსთხოვა: მიყენებული ზარალის ანაზღაურება კონფისკაციისა და განადგურების საზღაურად; შემდეგ — სამხედრო ექსპედიციის ორგანიზებასა და განხორციელებაზე დახარჯული თანხის ეკვივალენტური რაოდენობის გადახდა; ბოლოს, სავაჭრო ურთიერთობის ფორმირება თანაბარ ეკონომიკურ პირობებზე.

პეკინმა უარი თქვა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, რომელიც ინგლისელებმა ჩაახშეს: ინგლისელების არმიამ არა მხოლოდ ხელთ იგდო სტრატეგიული ობიექტები, არამედ დედაქალაქის კარიბჭესაც მიადგა. დაიწყო გაჭიანურებული მოლაპარაკებები, რომლებიც 1842 წლის 28 აგვისტოს ნანკინის არათანასწორუფლებიანი მშვიდობიანი ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. ხელშეკრულების თანახმად, ჩინეთს ინგლისელებისთვის უნდა დაეთმო რამდენიმე ნავსადგური მუდმივი ვაჭრობის საწარმოებლად, სამუდამო მფლობელობაში უნდა გადაეცა ჰონკონგის, ასევე, შეესრულებინა დიდი ბრიტანეთის მიერ ადრე წამოყენებული მოთხოვნები.

ამასთანავე, ოპიუმით ვაჭრობის საკითხზე არავითარი მოთხოვნა წამოყენებული არ ყოფილა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ოპიუმის კონტრაბანდის მოცულობა რამდენჯერმე გაიზარდა. ოპიუმის ომს კი სამოქალაქო ომი მოჰყვა. გაირკვა, რომ ნანკინის ხელშეკრულება არ გამოხატავდა ინგლისის ყველა ინტერესს. ამიტომ იყო, რომ ყირიმის ომის შემდეგ ინგლისელები შეუდგნენ ჩინეთთან ახალი სამხედრო კონფლიქტის დაწყების მიზეზების ძებნას.

მორიგი, რიგით მეორე, ოპიუმის ომი (1856-1860 წ.წ.) ინგლისსა და ჩინეთს შორის დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩინეთმა დააპატიმრა და მეკობრეობა დააბრალა ჰონკონგის გემის „ეროუს“ ეკიპაჟს. გემი ცურავდა ბრიტანეთის დროშით. 1857 წლის დასაწყისში ინგლისის არმიამ ხელთ იგდო საპორტო ქალაქი გუანჯოუ, მაგრამ, ინგლისში დაწყებული კონფლიქტის გამო, ჩინეთის ქალაქების დაპყრობა შეჩერდა, ხოლო 1858 წლის დასაწყისში მიიღეს გადაწყვეტილება, აღედგინათ მოლაპარაკება, რომლისადმი ინტერესი გაუჩნდათ საფრანგეთს, აშშ-სა და რუსეთს. შედეგად ჩინეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც „ტიანცზინის შეთანხმების“ სახელით არის ცნობილი.

**დასავლელი მოწინააღმდეგეების ზემოქმედების შედეგად, ჩინეთი იძულებული შეიქნა, დამატებით რამდენიმე ნავსადგური გაეხსნა, ელიარებინა მისიონერული მოღვაწეობა და ქვეყანაში უცხოელების თავისუფლად გადაადგილების უფლება. შეთანხმების ასამოქმედებლად საჭირო იყო იმპერატორის ნება. ეს მომენტი გამოიყენა ჩინეთის მხარემ და გააჭიანურა „ტიანძინის შეთანხმების“ რატიფიკაცია. დასავლეთის სახელმწიფოები კი ცდილობდნენ ამ პროცესის დაჩქარებას საომარი მოქმედების მუქარით, რომელსაც ჩინეთი ყურადღებას არ აქცევდა და ამგვარად აპროტესტებდა მისთვის უცხო სისტემას.**

ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედების ახალი ტალღა ჩინეთის წინააღმდეგ 1860 წლის ზაფხულში აგორდა. ამჯერად ფლოტთან ერთად ექსპანსიაში სახმელეთო ჯარებიც ჩაერთო. დემორალიზებული ჩინეთი პოზიციას პოზიციაზე თმობდა. დასავლეთის ჯარი ახალ ტერიტორიებს იპყრობდა, მალე პეკინსაც მიადგა, ბარბაროსულად დაარბიეს იმპერატორის სასახლე და მოითხოვეს ახალი ხელშეკრულების დადება, რომელიც მალევე გაფორმდა „პეკინის ხელშეკრულების“ სახელწოდებით. ჩინეთი დათანხმდა კონტრიბუციის გადახდას, უფლება დართო ადგილობრივი მუშახელის ქვეყნიდან გაყვანის, დამატებით რამდენიმე პორტის გახსნას საერთაშორისო ვაჭრობის საწარმოებლად და გარკვეული ტერიტორიის ევროპელებისთვის გადაცემას.

**ინგლისელებმა ოპიუმი აქციეს ჩინეთზე ზემოქმედების მძლავრ იარაღად. ოპიუმის გამოყენებამ ქვეყანაში საერთოეროვნული მასშტაბი მიიღო და ჩინელი ერი სწრაფად დაეშვა დეგრადაციის დაღმართზე. ნარკოტიკის მოხმარება ეროვნული ტრაგედია შეიქნა. შედეგად ჩინეთი დიდი იმპერიიდან დასავლეთის ქვეყნების ნახევრად კოლონიად იქცა, რომლიდანაც ბრიტანელებმა ამოქაჩეს უმდიდრესი რესურსები და იაფი სამუშაო ძალა. იმპერია დალპა შიგნიდან, სახელმწიფოს სუვერენიტეტს კი მთლიანად ინგლისელები დაეპატრონენ.**

**ოპიუმის ომების ისტორიამ დაარწმუნა ჩინეთი, განეხორციელებინა ნარკოტიკების საწინააღმდეგოდ ბრძოლის უმკაცრესი პოლიტიკა, მაგრამ ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და ორგანიზებული დანაშაული დღესაც პრობლემად რჩება.**

XIX საუკუნის ოპიუმის ომებს ჩინელები აღიქვამენ, როგორც ეროვნულ ჭრილობას და ამ მოვლენების პერიოდს „დამცირების საუკუნედ“ ნათლავენ.

**XIX საუკუნის ოპიუმის ომებს ჩინელები აღიქვამენ, როგორც ეროვნულ ჭრილობას და ამ მოვლენების პერიოდს «დამცირების საუკუნედ» ნათლავენ**

ყველაზე ყველაზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალური სამხედრო ძლიერების 2017 წლის სარეიტინგო სია შედგენილია 50 ფაქტორის მიხედვით და ეყრდნობა 133 ქვეყნის მონაცემებს. შეფასდა თითოეული ქვეყნის შეიარაღებული ძალების სახეობები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამუშაო ძალას. გათვალისწინებული იყო გეოგრაფია, ლოჯისტიკური პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები და ადგილობრივი მრეწველობის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნებმა მიიღეს ბონუსები, თვით ბირთვული მარაგები გათვალისწინებული არ ყოფილა.

# 10 ყველაზე მძლავრი არმია მსოფლიოში

**გლობალური სამხედრო ძლიერების 2017 წლის სარეიტინგო სია (Global Firepower's 2017 military strength ranking) შედგენილია 50 ფაქტორის მიხედვით და ეყრდნობა 133 ქვეყნის მონაცემს. შეფასდა თითოეული ქვეყნის შეიარაღებული ძალების სახეობები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამუშაო ძალას. აგრეთვე, გათვალისწინებული იყო გეოგრაფია, ლოჯისტიკური პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები და ადგილობრივი მრეწველობის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნებმა მიიღეს ბონუსები, თვითონ ბირთვული მარაგები გათვალისწინებული არ ყოფილა.**

ამასთანავე, ქვეყნებს, რომლებსაც არ აქვთ გასასვლელი ზღვაზე და, შესაბამისად, არ ჰყავთ სამხედრო-საზღვაო ფლოტი, დაუწერეს „მინუსი".

„ბალანსი — ეს არის გასაღები, ანუ დიდი და მძლავრი სამხედრო ძალა ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, რომელიც გამტკიცებულია დასაცავი ტერიტორიის მდგრადი ეკონომიკითა და ეფექტიანი ინფრასტრუქტურით. ყველა ეს ნიშან-თვისება გამოიყენეს სარეიტინგო სიის შედგენისას", — წერენ სარეიტინგო სიის შემდგენლები.

აი, ყველაზე მძლავრი სამხედრო ძალის მქონე მსოფლიოს სახელმწიფო:



## 7. იაპონია

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,2137
* მოსახლეობა — 126,7 მლნ
* სამხედრო მოსამსახურეები — 311 ათასი
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 1594
* გამანადგურებლები — 288
* ტანკები — 700
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 131 (4 ავიამზიდი)
* თავდაცვის ბიუჯეტი — 43,8 მლრდ დოლარი.



## 4. ინდოეთი

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,1593
* მოსახლეობა — 1,3 მლრდ
* სამხედრო მოსამსახურეები — 4,2 მლნ
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 2 102
* გამანადგურებლები — 676
* ტანკები — 4 426
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 295 (სამი ავიამზიდი)
* თავდაცვის ბიუჯეტი — 51 მლრდ დოლარი.



## 10. ეგვიპტე

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,2676
* მოსახლეობა — 94,6 მლნ
* სამხედრო მოსამსახურეები — 1,3 მლნ
* გამანადგურებლები — 337
* ტანკები — 4110
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 31 (ორი ავიამზიდი)
* თავდაცვის ბიუჯეტი — 4,4 მლრდ დოლარი.



## 6. დიდი ბრიტანეთი

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,2131
* მოსახლეობა — 64,4 მლნ
* სამხედრო მოსამსახურეები — 232 675
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 856
* გამანადგურებლები — 88
* ტანკები — 249
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 76 (ორი ავიამზიდი)
* თავდაცვის ბიუჯეტი — 45,7 მლრდ დოლარი.



## 3. ჩინეთი

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,0945
* მოსახლეობა — 1,4 მლრდ
* სამხედრო მოსამსახურეები — 3,7 მლნ
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 2 955
* გამანადგურებლები — 1 271
* ტანკები — 6457
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 714 (ერთი ავიამზიდი)
* თავდაცვის ბიუჯეტი — 161,7 მლრდ დოლარი.



## 9. გერმანია

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,2609
* მოსახლეობა — 82,5 მლნ
* სამხედრო მოსამსახურეები — 201 ათასი
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 698
* გამანადგურებლები — 92
* ტანკები — 543
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 81
* თავდაცვის ბიუჯეტი — 39,2 მლრდ დოლარი.



## 5. საფრანგეთი

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,1914
* მოსახლეობა — 66,8 მლნ
* სამხედრო მოსამსახურეები — 387 ათასი
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 1305
* გამანადგურებლები — 296
* ტანკები — 406
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 118 (4 ავიამზიდი).
* თავდაცვის ბიუჯეტი —35 მლრდ დოლარი.



## 2. რუსეთი

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,0929
* მოსახლეობა — 142 მლნ
* სამხედრო მოსამსახურეები — 3,4 მლნ
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 3 794
* გამანადგურებლები — 806
* ტანკები — 20 216
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 352 (ერთი ავიამზიდი)
* თავდაცვის ბიუჯეტი — 44,6 მლრდ დოლარი.

## 8. თურქეთი

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,2491
* სამხედრო მოსამსახურეები — 743415
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 1018
* გამანადგურებლები — 207
* ტანკები — 2445
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 194
* თავდაცვის ბიუჯეტი — 82 მლრდ დოლარი.



## 1. აშშ

* სიმძლავრის რეიტინგი — 0,0857
* მოსახლეობა — 323 მლნ
* სამხედრო მოსამსახურეები — 2,3 მლნ
* სამხედრო თვითმფრინავების საერთო რაოდენობა — 13 762
* გამანადგურებლები — 2 296
* ტანკები — 5 884
* სამხედრო-საზღვაო აქტივები — 415 (19 ავიამზიდი)
* თავდაცვის ბიუჯეტი — 587,8 მლრდ დოლარი.



მოამზადა ნიკა კორინთელმა

**სტადიონებზე მატჩებს 2,5 მლნ-მდე მაყურებელი დაესწრო (3 ივლისის მონაცემებით), საშუალოდ, მატჩს 46 ათასი ადამიანი. მატჩებზე დასასწრები ყველაზე მეტი ბილეთი კი, მასპინძელი ქვეყნის შემდეგ, აშშ-ის მოქალაქეებმა შეიძინეს — 89 ათასი. შემდეგ მოდიან ბრაზილიელები — 72 ათასი, კოლუმბიელები — 65 ათასი და გერმანელები — 62 ათასი. ამ სიაში ინგლისელები, რომლებსაც ხელისუფლება მოუწოდებდა, უარი ეთქვათ რუსეთში ჩასვლაზე მე-7 ადგილზე არიან — 32,3 ათასი.**

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ფანტასტიკური ჩემპიონატი ფანტასტიკური ატმოსფეროთი»

**მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატი სატურნირო საფინალო ეტაპზეა ნათამაშები 54 მეტჩი 64-დან და უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, მიუხედავად დასავლეთის გააფთრებული მცდელობებისა, არ დაეშვათ რუსეთში მსოფლიოს უდიდესი საფეხბურთო ფორუმის ჩატარება, შემდეგ ბოიკოტი გამოეცხადებინათ და იზოლაციაში მოექციათ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ტურნირი და მისი ორგანიზატორები, შეიძლება ითქვას, რომ „მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი 2018“ წარმატებულია.**

ამას თვით დასავლური მედიასაშუაშებები აღიარებენ, გამონაკლისია მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი. ამ არხის ე.წ. ფეხბურთის კომენტატორებმა, რომლებმაც ჩემპიონატის გახსნის ცერემონიასა და რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის სტარტზე გამართული მატჩის მიმდინარეობისას, ფეხბურთის გარდა, თითქმის ყველაფერზე ილაპარაკეს — დაპირისპირებაზე რუსეთსა და უკრაინას შორის, სირიის კონფლიქტზე და ა.შ. რუსეთი ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დაადანაშაულეს, მაგრამ, როგორც ჩანს, საერთაშორისო პოლიტიკაშიც ისე ერკვევიან, როგორც, მაგალითად, ისტორიაში...

სპორტი ადამიანებს აერთიანებს, საზოგადოებრივი მაუწყებლების კომენტატორები კი უადგილო ქილიკითა და საერთაშორისო კონფლიქტებზე ლაპარაკით მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისთვის, რომელსაც 3 მლრდ-ზე მეტი ტელემაყურებელი ადევნებს თვალს, პოლიტიკური შოუს ელფერის მიცემას ცდილობდნენ. 28 ივნისს კი ბელგია-ინგლისის მატჩი წაიყვანეს ჰოლანდიის „ვიტესში“ მოთამაშე ქართველ ფეხბურთელ **გურამ კაშიასთან** ერთად. რომლის მიერ ლგბტ პირებისთვის მხარდაჭერის გამოცხადების გამო საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ლამის საყოველთაო ბოიკოტი გამოუცხადეს. თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების შეფასებას სთხოვენ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებსაც ისევე, როგორც თვითონ, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები, ტელეეკრანზე თუ აქვთ ნანახი, იმ ფეხბურთელების თვალსაზრისი კი, რომლებიც მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებში რეალურად მონაწილეობდნენ და ბურთებიც აქვთ გატანილი მოწინააღმდეგის კარში, იზოლირებულნი არიან. მაგალითად, **მურთაზ ხურცილავა** (1966 და 1970 წლების მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე), **რევაზ ძოძუაშვილი** (1970 წ.), **თენგიზ სულაქველიძე** (1982), **გელა კეტაშვილი** (1990), და, რა თქმა უნდა, **ალექსანდრე ჩივაძე** (1982 და 1986 წლები, 1 გოლი), მაგრამ ისინი ხომ საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ, ბნელი საბჭოთა კავშირის...

რაც შეეხება თვითონ ტურნირს, **სტადიონებზე მატჩებს 2,5 მლნ-მდე მაყურებელი დაესწრო (3 ივლისის მონაცემებით), საშუალოდ, მატჩს 46 ათასი ადამიანი. მატჩებზე დასასწრები ყველაზე მეტი ბილეთი კი, მასპინძელი ქვეყნის შემდეგ აშშ-ის მოქალაქეებმა შეიძინეს — 89 ათასი. შემდეგ მოდიან ბრაზილიელები — 72 ათასი, კოლუმბიელები — 65 ათასი და გერმანელები — 62 ათასი. ამ სიაში ინგლისელები, რომლებსაც ხელისუფლება მოუწოდებდა, უარი ეთქვათ რუსეთში ჩასვლაზე მე-7 ადგილზე არიან — 32,3 ათასი.**

ჩემპიონატს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი**; ბელარუსის პრეზიდენტი **ალექსანდრე ლუკაშენკო**, ბელგიის მეფე **ფილიპი**, ყაზახეთის პრეზიდენტი **ნურსულთან ნაზარბაევი**, მოლდოვის პრეზიდენტი **იგორ დოდონი**, გაეროს გენერალური მდივანი **ანტონიუ გუტერეში**, პანამის პრეზიდენტი **ხუან კარლოს ვარელა როდრიგესი**, პორტუგალიის პრეზიდენტი **მარიო აბდო ბენიტესი**, პორტუგალიის პრეზიდენტი **მარსელუ რებელუ დი სოზა**, საუდის არაბეთის პრინცი და თავდაცვის მინისტრი **მუჰამედ იბნ სალმან ალ საუდი**, სენეგალის პრეზიდენტი მაკი სალი, შვეიცარიის პრეზიდენტი **ალენ ბერსე**, სამხრეთი კორეის პრეზიდენტი **მუნ ჩჟე ინი**, დანიის პრემიერმინისტრი **ლარს რასმუსენი**, ესპანეთის **მეფე ფილიპე...**

დასავლური მედია მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ წერს, რომ ეს უდიდესი საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი დადებითად აისახა რუსეთის იმიჯზე **„რუსეთის ქალაქებში ადგილობრივების სიხარული გულწრფელია — ისინი თბილად მიესალმებიან და ეხუტებიან უცნობ ადამიანებს, მიუხედავად მათი წარმოშობისა და კანის ფერისა, ცეკვავენ და მღერიან, მხატვრების ჯგუფი გამოიმუშავებენ თანხას სახეებისა და ეროვნული დროშების ხატვით, გერმანელი პოლიციელი კი რუს კოლეგას ულოცავს ჩემპიონატის ასე კარგად ორგანიზებას“,** — წერს ესპანური გამოცემა EL Pais-ი.

ბრიტანული გამოცემა The Times-ი აღნიშნავს ჩემპიონატის კარგ ორგანიზებას, მოსკოვის მეტროპოლიტენის შესანიშნავ სისტემას და ხელისუფლების მისწრაფებას, წარმოაჩინოს ქვეყნის საუკეთესო მხარეები.



**«მინდა, მოგილოცოთ, რომ აშშ-მა მოიპოვა 2026 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლება, ჩვენ ამ შეჯიბრებას სათანადო დონეზე ვატარებთ. სიამოვნებით გაგიზიარებთ გამოცდილებას», — დაჰპირდა პუტინი ამერიკელებს. ეს ფრაზა ზუსტად აჩვენებს მსოფლიოში შექმნილ ვითარებას — პუტინმა დასავლეთის კარში კიდევ ერთი ბურთი გაიტანა**



ისლანდიელებმა რუსული სიმღერა „კალინკა“ შეასრულეს

**„ჩემპიონატის უცხოელი სტუმრები განცვიფრდნენ სისუფთავით. კიდევ — ძალიან ფართო ტროტუარებით, სახლებზეც მოწყობილია ბილიკები ველოსიპედისთვის, აგრეთვე, ტაქსის შედარებით იაფი მომსახურებით“,** — წერს Deutsche Welle.

„ვაშინგტონ პოსტი“ მსოფლიოს პოლიტიკური მიმომხილველების თვალსაზრისის გათვალისწინებით, ასკვნის, რომ მსოფლიოს 2018 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი — ეს არის **„პუტინის ტრიუმფი მსოფლიოს არენაზე“.**

გამოცემა Coal.com-ის მიმომხილველი **სემ ლი** თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველს: „ჩვენ ბევრი რამ მოვისმინეთ რუსეთის შესახებ ტურნირის დაწყებამდე. ადამიანები არ იყვნენ დარწმუნებული, ღირდა თუ არა რუსეთში ჩასვლა. მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ აქ შესანიშნავად გაატარებთ დროს. ყველა გულშემატკივარი ერთად მხიარულობს და ეს უნიკალური მოვლენაა“.

**„ეს ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატია, რომელზეც კი ვყოფილვართ. ფან- ზონები შესანიშნავია, არის ადგილები, სადაც შეიძლება გაერთოთ, კარგად დაისვენოთ“,** — განუცხადეს ტელეარხ Sky News-ს ჩემპიონატის დაწყებისთანავე რუსეთში ჩასულმა ინგლისელმა გულშემატკივრებმა.

ზოგიერთი დასავლური გამოცემის აზრით, მოსკოვი ჰგავს საზეიმო კარნავალს, სადაც ყველა ქვეყნის გულშემატკივარი ერთად ცეკვავს და მღერის. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის პატივსაცემად ისლანდიელმა გულშემატკივრებმა რუსული სიმღერა „კალინკა“ შეასრულეს.

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გარეტ საუთგეიტმა** ასე შეაფასა რუსეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი:

**„ვოლგოგრადშიც და ნიჟნი ნოვგოროდშიც ყველაფერი შესანიშნავი იყო — სტადიონები, ინფრასტრუქტურა, პირობები. სპორტული არენები განსაცვიფრებელია, ძალიან ლამაზი არქიტექტორული ნაგებობებია“.**

„ბევრ ტურნირზე ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ორგანიზება, სტუმართმოყვარეობა, მზრუნველობა არსად მინახავს. გმადლობთ, რუსეთო! ეს ფანტასტიკური ჩემპიონატია, ფანტასტიკური ატმოსფეროთი!“ — ეს კი პოლონეთის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტს, ცნობილი პოლონელი ფეხბურთელის **ზბიგნევ ბონეკის** სიტყვებია.

აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი:**

**„ჩემს შვილს უყვარს ფეხბურთი და თვალყურს ადევნებს ტურნირს რუსეთში. მათ მართლაც ფანტასტიკურად იმუშავეს მსოფლიოს ჩემპიონატის ჩასატარებლად“.**

ნიშანდობლივია რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, ფრაზა, რომელიც მან მოსკოვში ერთი კვირის წინათ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისას დეტალების შესათანხმებლად ჩასულ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველ **ჯონ ბოლტონს**, რომელმაც კომპლიმენტი უთხრა პუტინს მსოფლიოს ჩემპიონატის კარგი ორგანიზებისთვის:

**„მინდა, მოგილოცოთ, რომ აშშ-მა მოიპოვა 2026 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლება** (ეს ჩემპიონატი გაიმართება სამ ქვეყანაში — კანადაში, აშშ-სა და მექსიკაში — ნ.კ.). **ჩვენ ამ შეჯიბრებას სათანადო დონეზე ვატარებთ. სიამოვნებით გაგიზიარებთ გამოცდილებას“, — დაჰპირდა პუტინი ამერიკელებს.**

ეს ფრაზა ზუსტად აჩვენებს მსოფლიოში შექმნილ ვითარებას — პუტინმა დასავლეთის კარში კიდევ ერთი ბურთი გაიტანა.





**ნიკა კორინთელი**

# იტალიური ამბოხი ევროპის ხომალდზე



**მასმედიაში სენსაციაა — ევროპის ხომალდზე ამბოხია. იტალია მიგრანტების გამო აჯანყდა. სხვათა ინტერესების გამო მუდმივად დაჩაგრულმა რომმა მოულოდნელად დაარტყა ევროპას შიგ მზის წნულში.**

28-29 ივნისს ბრიუსელში ევროკავშირის სამიტი გაიმართა, რომელზეც განიხილეს მთელი რიგი საკითხებისა: ვაჭრობა, უშიშროება, აშშ-თან ურთიერთობა. ამ რიგში მიგრაციის პრობლემაც იყო ჩართული. იმის გამო, რომ ევროპაში ყველა საკითხს საფრანგეთთან შეწყვილებული გერმანია წარუძღვებოდა, იტალია ყოველთვის რჩებოდა ისეთ ქვეყნად, რომელიც იძულებული იყო, მიმხრობოდა სხვების გადაწყვეტილებებს. ახლა კი იტალიამ ბოლოს და ბოლოს კარგად გამოიყენა შესაფერისი მომენტი და მძლავრად დაარტყა მიგრაციულ თემას — დაუმიზნა მიგრანტებს და მოახვედრა ევროკავშირს.

სამიტამდე რომი ცდილობდა, გავლენა მოეხდინა კოლეგებზე და მიეღო მათი თანხმობა მიგრანტების მიმართ მკაცრი პოლიტიკის განხორციელებაზე. იგი (რომი) მოითხოვდა ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას მიგრანტების ნაკადის შესაჩერებლად, კოლეგები თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ, ჰპირდებოდნენ, რომ დაფიქრდებოდნენ, მხარს დაუჭერდნენ და სწრაფად გაეცლებოდნენ, რაც ძალიან ჰგავდა გაცქევას.

აჯანყდა რომი. იტალიის პრემიერმინისტრმა **ჯუზეპე კონტემ** განაცხადა, რომ რომი მრავალი წლის განმავლობაში ითმენდა მხარდაჭერის ფუჭ დაპირებებს, მაგრამ ამიერიდან მეტის მოთმენას არ აპირებს — იტალია ხელს არ მოაწერს მიგრანტების საკითხზე რეზოლუციის პროექტს. ამის გარეშე კი შეუძლებელია სამიტის ყველა საკითხზე შემაჯამებელი საერთო რეზოლუციის გაფორმება, რომელსაც უნდა ერთვოდეს ევროკავშირის ქვეყნების ყველა ლიდერის ხელმოწერები.

„ჩვენ ველოდებით მოქმედებას, — ამბობს კონტე, — ვერაფერზე ვერ შევთანხმდებით, სანამ მოწონებული არ იქნება ყველაფერი“.

ევროკავშირის შემთანხმებელი მანქანა მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა. **დონალდ ტუსკი** და **ჟან-კლოდ იუნკერი** დაიბნენ და ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ შემაჯამებელი პრესკონფერენცია გადაიდო. **მაკრონი** შეეცადა კონტეს დაყოლიებას, თუმცა ამაოდ მოცდა.

იტალიამ და საფრანგეთმა შეძლეს ერთობლივი დოკუმენტის შემუშავება, რომელსაც მხარი დაუჭირა რამდენიმე ქვეყანამ. ამ დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირის საზღვრებს მიღმა უნდა შექმნილიყო შეგროვების რამდენიმე ცენტრი, რომლებშიც მიიღებდნენ ლტოლვილებს, და იქიდან გაანაწილებდნენ ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომლებიც „ნებაყოფლობით“ დათანხმდებოდნენ მათ მიღებას.

იდეა ჯერჯერობით ნედლი და მყიფეა; გაურკვეველია, სად და როგორ უნდა შეიქმნას ეს ცენტრები. იტალია წინააღმდეგია არა ლტოლვილების ცენტრების შექმნის, არამედ უფრო ადრე მიღებული დუბლინის შეთანხმების, რომლის მიხედვით მთელი პასუხისმგებლობა მიგრანტების ყოფისა და დასაქმების საკითხებში ეკისრება მიმღებ ქვეყანას. იტალია მოითხოვს, რომ ეს პასუხისმგებლობა თანაბრად განაწილდეს ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე. პასუხისმგებლობა უნდა დაიკისროს ყველამ და არა მხოლოდ იმ ქვეყანამ, რომელიც მიიღებს მიგრანტებს. გასაგებია, რომ ასეთი მიდგომა არ ალაფრთოვანებს ყველა მოკავშირეს, რადგან პასუხისმგებლობას ფულის ხარჯი მოსდევს, ევროკავშირის ბიუჯეტი კი რეზინის არ არის. ამასთანავე, ასეთი გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ბიუჯეტში შესატანი ყველასთვის გაიზრდება, რაც არავის სურს. გაჩნდა მოლაპარაკების კლასიკური ჩიხი. იტალიის პოზიციამ გადაფარა უნგრეთის, ავსტრიისა და პოლონეთის პოზიცია. მათ მიგრანტების საკითხში უფრო კატეგორიული პოზიცია აქვთ — თავიანთ ქვეყნებში მიგრანტების მიღებას აღარ აპირებენ.

გერმანიის კანცლერმა მერკელმა თავის კოლეგებს მოუწოდა, არ შეჩერდნენ მხოლოდ ერთ საკითხზე, ყველა საკითხი ერთობლიობაში გადაწყვიტონ. ამ მარტივი ფანდით მერკელს სურს, ყველაფერი ერთ პაკეტში მოაქციოს და კონფლიქტური თემებიც ასე გაათრიოს, მაგრამ თანხმობის მისაღწევად ერთი პარასკევილა დარჩათ. თუ ვერ მოასწრებენ, ევროკავშირის შენობის კედლები დაიბზარება.

მერკელის შეშფოთებას იზიარებს ტუსკი. მისი აზრით, თუ ევროპელი ლიდერები მიგრანტების საკითხში ვერ შეთანხმდებიან, ეს ევროსკეპტიკოსებს დამატებით არგუმენტებს მისცემს. ამ მიმართულებას განეკუთვნებიან ის კონსერვატიული ძალები, რომელთა ზურგს უკან ადგილობრივი კაპიტალი დგას. ჯუზეპე კონტე სწორედ იმ ევროპული კონსერვატიული ძალების მხარესაა, რომლებიც ძველი ევროპული კაპიტალის ინტერესებს გამოხატავენ, მეოცე საუკუნე გლობალისტებთან რომ წააგეს და ახლა რევანში სწყურიათ.

**მომზადებულია ღია წყაროების მიხედვით**

# ავტომობილების სავალდებულო ტესტირების პირობები და ტესტირების ცენტრების მისამართები



## ზოგიერთი ტექინსპექტირების ცენტრის მისამართი და ტელეფონი თბილისსა და მცხეთაში

**საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, 2018 წლის 1 ივლისიდან ყველა სახელმწიფო უწყებისა და იურიდიული პირის კუთვნილმა ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა სავალდებულო წესით უნდა გაიაროს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება.**

ავტოსატრანსპორტო საშუალებები პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარება მათი კატეგორიისა და რეგისტრაციის თარიღის (თვისა და რიცხვი) მიხედვით. მაგალითად, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება არის M1 (მსუბუქი) კატეგორიის და მისი რეგისტრაციის მოწმობის გაცემის თარიღია 28/10/2013, ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებამ ინსპექტირება უნდა გაიაროს 2019 წლის 28 ოქტომბრამდე (ამ ვადის გასვლის შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალება დაჯარიმებას დაექვემდებარება).

ავტოსატრანსპორტო საშუალებების (რომლებზეც ვრცელდება გრაფიკი) ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევაში, პერიოდული ინსპექტირება განხორციელდება რეგისტრაციის შემდგომ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ინსპექტირების შეუფერხებელი გავლა შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით მოქმედ აკრედიტებულ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებში. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელები ინფორმაციას ცენტრების ადგილმდებარეობის შესახებ მიიღებენ ვებგვერდის — www.pti.ge-ს ან ცხელი ხაზის — 1484 მეშვეობით. კონსულტაციის გაწევის გარდა, ცხელი ხაზის ოპერატორები მოქალაქეებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრებში ვიზიტის ონლაინ დაჯავშნაში დაეხმარებიან. ცხელ ხაზზე დარეკვა დამატებით გადასახადს არ ითვალისწინებს.

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლა ავტომფლობელს შეუძლია მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ ცენტრში. თუ ინსპექტირების გავლისას ავტოსატრანსპორტო საშუალებას აღმოაჩნდა ხარვეზი, მის გამოსასწორებლად მფლობელს ეძლევა 30 კალენდარული დღე (მოიცავს შაბათ-კვირასაც). თუ ამ ვადაში განმეორებითი ინსპექტირება ჩატარდება იმავე ცენტრში (მხოლოდ იმაზე, რაზეც დაფიქსირდა ხარვეზი), მომსახურება იქნება უფასო, ხოლო, თუ ინსპექტირება ჩატარდება სხვა ინსპექტირების ცენტრში, მაშინ საფასურის გადახდა მოხდება ჩვეულებრივად, დადგენილი წესით. ასევე ტესტირების სრული ღირებულების გადახდა ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ ხარვეზების გამოსწორების ვადა გასცდება 30 კალენდარულ დღეს.

აღსანიშნავია, რომ ტესტირების დროს დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორების ვადაში ავტომობილით სიარული არ იკრძალება 30 კალენდარული დღე.

ტექნიკური ინსპექტირების გავლის ვალდებულებას ექვემდებარება საქართველოში რეგისტრირებული (ქართული ნომრების მქონე) ყველა სატრანსპორტო საშუალება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

ა) 2018 წლის 3 იანვრიდან ტექნიკურ ინსპექტირებას გადიან სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო (3,5 ტ ზემოთ) ავტომობილები;

ბ) 2018 წლის 1 ივლისიდან დაიწყო სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტომანქანების ინსპექტირება;

გ) 2018 წლის 1 ოქტომბრიდან M1 — 3000 კუბურ სანტიმეტრისა ან მეტი მოცულობის ძრავების მქონე ავტომობილების ინსპექტირება;

დ) 2019 წლის 1 იანვრიდან — M1 (მსუბუქი) კატეგორიის ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ისნპექტირება.

არსებობს გამონაკლისებიც, კერძოდ, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არ ეხება:

ა) ტრანზიტული ნომრების მქონე და განუბაჟებელ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს;

ბ) O1, O2 (მისაბმელი 750 კგ-დან 3500 კგ-მდე) და L (მოტოციკლი) კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებს;

გ) ისტორიული ინტერესის სატრანსპორტო საშუალებებს (ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც დამზადებულია 1960 წლამდე; აღნიშნული ტიპისა და მოდელის სატრანსპორტო საშუალება მოხსნილია წარმოებიდან და აღარ გამოდის; ისტორიულად დაცულია და შენარჩუნებული პირვანდელი მდგომარეობით და მისი ძირითადი კომპონენტების ტექნიკურ მახასიათებლებს არ განუცდია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება);

დ) იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ამოღებულია ექსპლუატაციიდან;

ე) სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა დამამზადებლის მიერ დადგენილი მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატება 25 კმ/სთ-ს;

ვ) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც არ გამოდიან გზაზე (პირობითად: თუ ავტომობილი დგას ავტოსადგომზე რამდენიმე თვის განმავლობაში უძრავად, მფლობელს შეუძლია მას ტესტირება არ ჩაუტაროს, ხოლო, როცა გადაწყვეტს ავტომობილის ინსპექტირებას, იგი სადგომიდან ტესტირების ცენტრში აუცილებლად უნდა გადაიყვანოს ევაკუატორის მეშვეობით, რადგან გზაში არ მოხდეს მისი დაჯარიმება).

**ტექინსპექტირების ეტაპები:**

ა) 2018 წლის 3 იანვრიდან ტექნიკურ ინსპექტირებას გადიან სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო (3,5 ტ ზემოთ) ავტომობილები;

ბ) 2018 წლის 1 ივლისიდან — სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტომანქანები;

გ) 2018 წლის 1 ოქტომბრიდან M1 — 3000 კუბურ სანტიმეტრის ან მეტი მოცულობის ძრავების მქონე ავტომობილები;

დ) 2019 წლის 1 იანვრიდან — M1 (მსუბუქი) კატეგორიის ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება.

**ზოგიერთი ტექინპექტირების ცენტრი თბილისსა და მცხეთაში ვებგვერდ pti.ge-ის მიხედვით:**

**„ჭაპანი 120“**
უჯარმის ქ. 1
ტელ. 593435553

**„აუტოტესტ გეორგია“**
ალმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
ტელ. 0322 531009

**„დაჯი“**
ქერჩის ქ. 10
ტელ. 0322 141484

**გურამიშვილის და გუდამაყრის ქუჩების კვეთა**
**„ცეზარიონი“**
ტელ. 0322 651449

**მცხეთაში:**
**„ტესტერი“**
სამხედროს ქ. 2ა
ტელ. 558 556555

მოამზადა
**გიორგი გაგაშელმა**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია


http://www.geworld.ge


სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894